


1955



# მუხნიერები & ტექნიკა

საბავშვო განუ.



1 • 9 • 5 • 5

საქართველოს სსრ მუხნიერებათა აკადემია

# ბუნების დიდი გარდამქმნელი

## 6. კასპოვანი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნაშრომების ორგანო

1922 წლის ნოემბრის 18-ს ტამპოვის გუბერნიის აღმასრულებელმა კომიტეტმა (და პირი მიჩურინმა) კომისართა საბჭოსაგან დიდი ლენინის დავალებით გაგზავნილი შემდეგი შინაარსის დეპეშა მიიღო:

„ცდებოდა ახალ კულტურულ მცენარეთა მისაღებად უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს, სასწრაფოდ გამოგზავნეთ მოხსენება კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. ლენინისათვის მოსახსენებლად კოხლოვის მარტელ მიჩურინის ცდებისა და მუშაობის შესახებ. დეპეშის მიღება დადასტურეთ“.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდისათვის ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო ჯერ მომარგებული არ იყო, ჯერ კიდევ მრავალი სიძნელე იყო გადალახავი, სამამულო ომის ცეცხლი ჯერ კიდევ ყველგან არ იყო ჩამქრალი, სამეურნეო ცხოვრება მოგვარებული, საბჭოთა სახელმწიფოს დიდმა მეთაურმა ვ. ი. ლენინმა გამოიხატა დრო იმისათვის, რომ გასცნობოდა და შეეცაგა ვ. ი. მიჩურინის მოღვაწეობა და მისი თითქმის 48 წლის ნამუშევარი ჩაეყენებინა ქვეყნის სამსახურში.

ამ დროისათვის მცენარის ბუნების უდიდეს გარდამქმნელს უკვე გამოყვანილი ჰქონდა 150-ზე მეტი პიზირიდული კულტურული მცენარის ჯიში, სახელდობრ: ვაშლის — 4-5 ჯიში, მისლისა — 20, ქლიავის — 15, ალუბლის — 13, გარჯარის — 9, ვაზის — 8, ბლის — 6, აქტინიდიის — 5, მოცხარის — 6, ჭნავის — 4, ყოლოს — 4, მაყვლის — 4, აკაციის — 4, თუთის — 2, კომშის — 2, ნუშის — 2, პამიდორის — 1, შროშანის — 1.

ი. მიჩურინის შემოქმედების ეს უდიდესი მეცნიერება ხალხის სამსახურში ჯერ არ იყო ჩაყენებული, რადგან მეფის რუსეთის მთავრობა დიდი ბიოლოგის მუშაობას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, წინააღმდეგ, ხშირად ხელსაც უშლიდა და მძიმე პირობებში აყენებდა.

„...და მერე რა, 33 წლის მუშაობის შედეგად, მრავალი ჯიშის, როგორც ჩანს ძვირფას ხილის ჯიშების, გამოყვანის შემდეგ თითქმის ნული ყურად-

ღება საზოგადოებრიობისაგან და უფრო მცირე მთავრობისაგან, მიუხედავად ჩემს მიერ არა ერთი განცხადებისა ამ საქმის გამო. მატერიალურ დახმარების შესახებ ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება, — ამას რუსეთში სასარგებლო საქმეებისათვის ვერასდროს ვერ მოეწოდებოდა. და აი ბოლოს და ბოლოს, საქმე იღუპება, სანერგე მიწები უნდა, ახალი ჯიშების ორი მესამედი მოუვლელობის გამო ნაწილობრივ დაღუპულია, დაიკარგნენ სათანადო მოვლის უქონლობის გამო, უადგილობის გამო“.—წერდა ი. მიჩურინი 1911 წელს. მას ასე წერის უღლებავ ჰქონდა. ამ დროს ის დიდ გაჭირვებას განიცდიდა, ხოლო დასავლეთ ევროპის ქვეყნები და ამერიკა დიდ თანხებსაც აძლევდნენ ცალკეულ პიზირიდებში თუ მთელ ნამუშევარში, მაგრამ მან კატეგორიული თარი განუცხადა უცხოელებს, არ მიჰყვია რა: „ჩემი ნამუშევარი ჩემს ერს ეკუთვნის“. მას სწამდა მომავალი და ეს მომავალიც დაუდგა.

დიდი მკვლევარის, ბუნების დიდი გარდამქმნელის ძველად დაკოდილი გული გაამთელა ლენინ-სტალინის პარტიამ, მშრომელი ხალხის უდიდესი მეგობრების ლენინისა და სტალინის ზრუნვამ და ყურადღებამ.

ი. მიჩურინმა ამ ყურადღებასა და სიყვარულს უდიდესი შემოქმედებითი ენერგიით უბასუსხა და უკანასკნელ 15 წლის მანძილზე დედა სამშობლოს მისცა მრავალი ახალი მცენარის ძვირფასი ჯიშები; მით უმეტეს, კომუნისტური პარტიის მზრუნველობის შედეგად იგი მარტო კი აღარ იყო, არამედ მის მშობლიურ ქალაქში შეიქმნა უდიდესი საგამოცემო დაწესებულება მრავალი მეცნიერი მუშაკით, რომელნიც ი. მიჩურინის ჭეშმარიტი მოწაფენი, თანამემწენი და მისი საქმის გამგრძელებელნი აღმოჩნდნენ; ლენინისა და სტალინის მითითებებით წახალისებულ ი. მიჩურინს სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, 1935 წლის 7 ივნისამდე, დაუღალავი მუშაობა არ შეუწყვეტია. 1935 წლის აპრილში და მისის, როდესაც იგი ლოგინად ჩავარდა უკურნებელი

1069



სენით შეპყრობილი, ხშირად იძახებდა თავისთან უახლოეს თანამშრომლებს და აძლევდა მითითებას მიმდინარე მუშაობათა შესახებ.

მიჩურინი გარდაიცვალა, მაგრამ მის მიერ შექმნილი მეცნიერება — მიჩურინული მოძღვრება ცოცხალი ორგანიზმის შესახებ, საბჭოთა მეცნიერებმა კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანეს. ამ მოძღვრებამ, როგორც ჰემომატიკმა მეცნიერებამ, გადალახა ჩვენი სამშობლოს საზღვრები და მსოფლიოს ყოველ კუთხეში პოვა მიმდევარნი, რომელთაც დააარსეს მიჩურინის მიმდევართა საზოგადოებანი, რომელნიც წარამატებთ მუშაობენ მიჩურინის მეთოდების გამოყენებით და თავის ქვეყანას ამდიდრებენ კულტურული მცენარეთა ახალი, უფრო მოსავლიანი, უფრო ლამაზი, უფრო გამძლე ჯიშებით.

1925 წლის 25 ოქტომბერს პარტიული ორგანიზაციების დადგენილებით ი. მიჩურინს გადაუხადეს მოღვაწეობის 50 წლისთავის იუბილე. იგი დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით და დაენიშნა ბენსია. ამ დროისათვის უკვე იმდენი თანამშემე და მოწაფე ჰყავდა, რომ შეჯვარებათა კომბინაციები 800-ს აღწევდა და შეჯვარებათა რაოდენობა 100 ათასს. სანერგეებში კი უკვე 30000 ჰიბრიდი იყო.

1931 წლის 4 ივნისს მთავრობამ ი. მიჩურინი დააჯილდოვა ლენინის ორდენით და ქ. კოზლოვის საქალაქო საბჭოს პლენუმის შუამდგომლობის საფუძველზე ქ. კოზლოვს გადაერქვა მიჩურინსკი.

1931 წლის 3 ოქტომბერს ქ. მიჩურინსკში დაარსდა რამდენიმე საკავშირო მნიშვნელობის სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულება: ხილის საბჭოთა მეურნეობა 3500 ჰექტარ ფართობზე, ჩრდილოეთის მეხილეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, ხილ-ბოსტნეულის მეურნეობის ინსტიტუტი, ასპირანტურის ინსტიტუტი, ტექნიკუმი, მუშაკი, საცდელი სკოლა და სხვ.

ამჟამად ქ. მიჩურინსკში ფრიალ ნაყოფიერად მუშაობს ი. ვ. მიჩურინის სახელობის მეხილეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელსაც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ოლქში 23 საცდელი სადგური აქვს. ინსტიტუტი და მისი სადგურები ავრძელებენ ი. მიჩურინის მიერ დაწყებულ დიდ სამუშაოს და საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობას, მის ზღვებს ყოველწლიურად ამდიდრებენ ახალ-ახალი მაღალმოსავლიანი, ყინვისა და ვაკუუმის გამძლე, ლამაზი და გემრიელი ხილის ჯიშებით: ახალი ჯიშის ვაშლით, მსხლით, კომშით, ატმით, გარგარით, ქლიავით, ტნავით, თხილით, მაცვლით, მარწყვით, ყოლოთი, თუთით, აქტინიდიით და სხვა მრავა-

ლით. ამ ინსტიტუტს, იყენებს რა მიჩურინის მოძღვრებას საბჭოთა კავშირის ყოველი ცალკეული ოლქი სათვის ან ოლქთა ჯგუფისათვის, რომელნიც თავი სესურს ბუნებრივი პირობებით ხასიათდებიან, გამოჰყავს შესაფერი ჯიშები, სწორედ ამ განსაზღვრული პირობებისათვის დამახასიათებელი.

ი. მიჩურინის სახელობის ინსტიტუტის დირექტორის ი. ბელოხოზოვის ცნობით, რუსეთის ყოველი ოლქის, მხარისა და ავტონომიური რესპუბლიკისათვის დადგენილია სტანდარტული ჯიშები. სტანდარტულ სორტიმენტში შედის ხილეულის 1240 ჯიში, მათ შორის თვით ი. ვ. მიჩურინის მიერ შექმნილი 59 საუკეთესო ჯიში, მისი მოწაფეებისა და მიმდევრების მიერ შექმნილი 421 ჯიში, 465 ჯიში სახალხო სელექციონერთა მიერ შექმნილი და 292 საზღვარგარეთული ჯიში.

მართალია, ეს ჯიშები დამახასიათებელია განსაზღვრული ბუნებრივი პირობებისათვის, მაგრამ მიჩურინი და შემდეგ მისი მოწაფეები ცდილობდნენ, რომ ეს „შესაფერი პირობები“ რაც შეიძლება ფართო ყოფილიყო და ჯიში ვიწრო რაიონით არ შეზღუდულიყო. ამის საუკეთესო დამადასტურებელია ის, რომ მიჩურინული ჯიშები მრავალი ოლქის სტანდარტულ სორტიმენტშია შესული, მაგ., „ბუბინ შაფრანული“ — 51 ოლქის, „სლაიანკა“ — 55, „ბელგლორი-კიტაიკა“ — 50-ის, „ჩრდილოეთის სიმშენიერი“ — 25 ოლქისთვის და სხვ.

მხოლოდ ი. მიჩურინის მუშაობის შედეგად გახდა შესაძლებელი საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთის რაიონებში, სადაც წინათ ზღაპარად კი შეუძლებელი იყო ხილის ბაღებზე ოცნება, ახლა ყვარდნენ და მსხმოიარობდნენ არა მარტო ვაშლისა და მსხლის, არამედ სამშენიერის ხილეულიც: ატმის, გარგარის, ვაშის, ნესე-საზამთროს და სხვათა ბაღი, ვენახი და ზღაჩა.

აი, მიღიხარო ტიპიური ჩრდილოეთის ტყის ბილიკით. თერთრანა არყის ხე და მორთოლავი ვერხვის მშვენიერი კორომები თვალს ახალისებენ და უცბად ზღაღი — სამხრეთული ხილით დამშენებულ: ვაშლი და მსხალი, რენკლოდები, ჭერამი, ძირს მიწაზე გართხმული ნესვი და საზამთრო.

და განა მადლობით არ მოიხსენიებს საბჭოთა ხალხი ამ დიდი საქმის შემოქმედს და ოსტატს? სწორედ ამიტომ 1934 წლის 20 სექტემბერს საბჭოთა ხალხმა ი. მიჩურინს გადაუხადა სიცოცხლის 80 წლისა და შესანიშნავი მოღვაწეობის 60 წლისთავის იუბილე.



ამხანაგმა ი. სტალინმა მიჩურინს გაუზავნა დეპეშა:

„ამხანაგ მიჩურინს, ივანე ვლადიმერის ძეს, სულით და გულით მოგესალმებით ივანე ვლადიმერის ძე თქვენი ნაყოფიერი მუშაობის 60 წლის-თავზე ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. გისურვებთ ჯანმრთელობას და ახალ წარმატებას მეხილეთობის გარდაქმნის საქმეში. მაგრად გართმევთ ხელს.

**ი. სტალინი“**

ამ დღეებში მსკოვანი მოღვაწე ალაფრთოვანა და საპასუხო დეპეშაში წერდა: „თქვენი დეპეშა... ჩემთვის ყველა სხვა ჯილდოზე ძვირფასია...“ მიჩურინმა ამ დეპეშაში დაინახა მისი მოღვაწეობის არა მარტო დაფასება, არამედ ის, რომ მისმა სიცოცხლემ ტყუილად არ ჩაიარა, მიაღწია დიდ მიზანს, მისმა იდეებმა გაიმარჯვეს, დაფასდა მისი 60 წლის დაუღალავი შრომა და მთელ ხალხთან ერთად ზეიმობდა იგივე... სიცოცხლეშივე მოესწრო დიდ დაფასებას, მაგრამ ოქტომბრის რევოლუციამდე მრავალი მწარე დღე განვლო. განვლილი 80-წლიანი გზის 45 წელზე მეტი ნარეკლით იყო მოფენილი და ამ გზაზე მრავალი მწარე წუთი განვლდა. ეს წუთები განსაზღვრებით მწარე იყო მაშინ, როდესაც მიჩურინს მეფის მთავრობამ პატარა დახმარებაზე უარი უთხრა და შეერთებული შტატებიდან კი პროფესორის სახით მაკლერი ეწვია, რომელმაც წინადადება მისცა მოგვეყვინო მთლიანად შენი ნამუშევარი და წამოდი ამერიკაში... დიდი პატრიოტის წინაშე დასასა იოლი გზა ცხოვრებისა და სიცოცხლისა, მაგრამ ი. მიჩურინმა ამაყად უპასუხა: მე ჩემს ერს ვეყოფენიო და განაგრძო მუშაობა მეტი თავდადებითა და გულმოდგინებით.

ივანე ვლადიმერის-ძე მიჩურინი დაიბადა 1855 წლის 28/15 ოქტომბერს რიასანის გუბერნიის არონის მახრამში მცხოვრებ ღარიბ აზნაურის, თითქმის სრულიად უმამულ-დედულო ვლადიმერ მიჩურინის ოჯახში. დედა ადრე მოუკვდა და თითქმის უპატრონოდ დარჩენილი ბავშვი მთელ დროს პატარა კარის ბაღში ატარებდა. მამისაგან შეისწავლა მცნობა, დარგვა, გასხვლა და სხვ. სწორედ აქ ჩაესახა მებღელეობის პირველი ცოდნა და სიყვარული, რომელიც მას მთელი ცხოვრების გზაზე გაჰყვა.

სიღარიბის გამო არამცთუ უმაღლესი, არამედ საშუალო სასწავლებელიც ვერ დაამთავრა, ე. წ. სამაზრო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ გიმნაზიაში შევიდა, მაგრამ იმავე წელს მოუდეს შარი და გამოირიცხეს, რადგან მისმა ბიძამ, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ პატრონობდა, ვინაზიის დირექტორს მისი მიღებისათვის ქრთამი ვერ მისცა.

პატარაობიდანვე საჭირო იყო თვით სწავლა. ლუკმა-პურისათვის და 1872 წლის ბოლოს იშოვა ქ. კოზლოვში (ამჟამად მიჩურინსკი) რკინიგზის კანტორის მოხელის სამსახური, შემდეგ იგი მოლარეა, ხან გამსვლელი ოსტატი, ხან სადგურის უფროსის მოადგილე და სხვ; რკინიგზის სამსახურში 20 წელზე მეტი გაატარა. ამავე დროს თავის იმ პატარა ბაღში, რომელიც გააშენა, წელიწადში მანთად იჯარით აღებულ პარტახტზე სამსახურის შემდეგ გვიანობამდე მუშაობდა ცოტათუნე ზედმეტი ფული რომ ეშოვა ბაღის იარაღისა და თესვლების შესაქმნად.

ჯამაგირი არ ყოფნიდა და ზეინკლობა და საათების შეკეთება დაიწყო. იძენდა ძველ საათებს, შეაკეთებდა და ჰყიდა. გათენებამდე მუშაობდა ოღონდაც ერთი-ორი გროვი ეშოვა თავისი საყვარელი საქმის წინ წაწევისათვის. მალე ბაღში მისი სამუშაო ისე გაიზარდა, რომ პატარა ნაკვეთზე ვეღარ ეტეოდა. საჭირო იყო ახალი ფართობი. სწორედ ამ დროს კოზლოვში იყიდებოდა კარმიდამო ბაღით. ი. მიჩურინმა ბანკის საშუალებით, 18 წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ გადახდის პირობით, ეს კარმიდამო შეიძინა. სწორედ ამ კარმიდამოს ბაღში გამოიყვანა ის ჯიშები, რომლებმაც სახელი გაუთქვა. მაგრამ თავიდანვე ია-ვარდით კი არ მოიფინა გზა, თავიდანვე კარგი ჯიშები კი არ გამოიყვანა, არამედ სანამ ის სწორ გზაზე დადგებოდა, სანამ ის იმ სწორ მეთოდს გამოიხატავდა, რომელსაც ამაჟამდ მიჩურინულ მეთოდს ვუწოდებთ, ბევრი ოფლიც მოიწურა და ბევრი ტკივილიც განიცადა.

პირველად ი. მიჩურინი გასული საუკუნის მეორე ნახევარში ვაბატონებული გერმის აკლიმატიზაციის თეორიის მომხრედ გვევლინება. ის, მისდევს რა გერმის მოძღვრებას, რომ საკარისა სახმარეთის ჯიშების კვირტი ამყნო ჩრდილოეთში და გაზარდო, რომ ეს ნამყენები ყინვის გამძლეობას შეიძენნო და სხვ. მოქმედებდა რა ამგვარად, მიჩურინი ამყნობდა და ზრდიდა სახმარეთის ნაწი ჯიშის მსხლეხს და 1888 წელს უკვე 51 „აკლიმატიზირებულ“ ჯიშს ასახელებს; მაგრამ მწარე გამოცდილებამ მალე დაარწმუნა გამოყენებული მეთოდის მცდარობაში და 1905 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში უკვე ამტკიცებს, რომ „მცენარეთა აკლიმატიზაცია შესაძლებელია მხოლოდ თესვით, არც ერთ უტესოურ ჯიშში, თუ მას ჯერ კიდევ თავის სამშობლოში არა აქვს თვისება ვადიტანოს დაბალი ტემპერატურა, ტემპერატურის იმ მინიმუმის ფარდით, რომელიც დამახასიათებელია იმ ადგილისათვის, სადაც მცენარეა გადატანილი, არ შეიძლება მისი აკლიმატიზაცია, კვირტის კალმის

ნაბარტყის თუ სხვა ამგვარი ნაწილების გადატანით. თავი არ უნდა მოეტიყუოთ მცდარი იმედებითო". შემდეგაც დასაკენის:

„ყოველ მცენარეს აქვს თვისება აგებულების ცვალებადობისა, ეგუება რა ახალ გარემოს არსებობის აღრეულ სტადიაზე. ეს თვისება ძლიერად თავს იჩინებს ბოლომდე თესლიდან აღმოცენების პირველ დღეებთან, შემდეგ ნელდება და თანდათანობით ქრება პირველ 2-3 წელს, იშვიათად 5 წლამდე ახალი ჯიშის მსხმოიარობამდე, შემდეგ ხეხილის ახალი ჯიში იმდენად მყარი ხდება ცვალებადობისადმი და გამძლეობისადმი, რომ მასზე აკლიმატიზაციის არავითარი ხერხები აღარ გასჭირის (XXII)“.

ეს დიდი დასკვნა იყო, მაგრამ ი. ვ. მიჩურინი ამით არ კმაყოფილდებოდა; აღმონაცენი საკმარისი არ იყო აკლიმატიზაციისათვის, რაც მთავარია, ახალი ჯიშის გამოყვანისათვის, არამედ ის აღმონაცენის თესლნერგს უცქერდა როგორც მასალას, რომელსაც ჰქონდა უნარი აღზრდისა და აღმზრდელის სურვილებისამებრ შესაფერი ბირობების შექმნის შედეგად გარდაქმნისა. უცვლიდა რა ბირობებს, მოვლის სხვადასხვა წესით მცენარეში შეჰქონდა სათანადო ცვლილებანი. შემდეგში მიჩურინმა თავისი მუშაობით დადასტურა, რომ სანამყენე და საძირ ურთიერთზე უდიდეს გავლენას ახდენდა და საძირის თვისებანი შეიძლება გადაეცეს სანამყენეს და სანამყენისა—საძირს, მაგრამ აქაც ი მიჩურინი გარემოს თავის ადგილს აკუთვნებს, ეს გავლენა და ცვალებადობაც დამოუკიდებელი გარემოსი და განსაკუთრებით ნიადაგობრივ ბირობებისა არ უნდა განიხილებოდეს.

ი. მიჩურინის პრინციპი აკლიმატიზაციისა მთლიანად დარგინისტულია და, მასმასადამ, ბიოგენული და უკვე პირველი თავისი ნამუშევრებით საკმაოდ შეარყია ეს ლამაზისტული შეხედულებანი მცენარეთა აკლიმატიზაციაზე, ჯიშების წარმოქმნაზე.

ასევე მან ჰიბრიდიზაციის სრულიად ახალი გზები შექმნა. ფორმალური გენეტიკა მენდელიზმ-მორგანიზმი უძლურია წინასწარ გაითვალისწინოს რა ტიპის ორგანიზმს მიიღებს. ი. მიჩურინმა კი ჩამოაყალიბა მშობლების წყვილის შერჩევის ისეთი პრინციპი, რომლის საშუალებით წინასწარ შეიძლება დაისახოს გზა ჩაფიტრებულ, გარკვეულ თვისებების მქონე ჯიშის აღსაზრდელად.

საძირისა და სანამყენის ურთიერთზეგავლენის სწავლების შემდგომი განვითარება იყო დიდი აღმოჩენა მენტორის შესახებ. მეცნარეებმა საუკუნის

დასასრულს ი. მიჩურინმა შეაჯვარა ყირიმული ჯიშის კანდილ-სინაპი ჩინურ ვაშლზე. მიზნად დასახული მიეღო ყინვაგამძლე კანდილ-სინაპის ბური ჯიში. მიიღო თესლნერგი, საკმაოდ კარგი იერისა და თითქოს იმედინიც, მაგრამ შეამჩნია, რომ თესლნერგი კანდილ-სინაპისკენ იხრებოდა, მაგრამ, ი. მიჩურინი რისი მიჩურინი იქნებოდა, რომ შეშინებულიყო და ცდაზე ხელი აეღო. მან გადაწყვიტა თესლნერგის განვითარება უშეგვრად თავისი სურვილებისამებრ წარემართა, ე. ი. თესლნერგისათვის შეენარჩუნებინა ჩინური ვაშლის ყინვაგამძლეობა და ნაყოფის სილამაზე, გემო, სიდიდე კანდილ-სინაპისა. მან ეს ბრწყინვალედ შეძლო და მიიღო შესანიშნავი ჯიში კანდილ-კიტაიკა. 1907 წელს ი. მიჩურინი ამ მუშაობის შესახებ წერდა, რომ თესლნერგის კვირტები დავამყენე იმ ჩინურ ვაშლს, რომელზედაც პირველად მივიღე ჰიბრიდული ნაყოფი და მეორე წელს, თესლნერგის კვირტიდან ამოზრდილ ყლორტებს გარდა, ხეზე მისი დედა ტოტებიც დაეტოვეთ. შემდეგმა დაკვირვებამ დაარწმუნა, რომ ყინვისაგან თესლნერგის ყლორტები არ ზიანდებოდნენ, საძირზე მოახდინა გავლენა, დამყნილ თესლნერგის კვირტიდან განვითარებულ ყლორტს თავის თვისებანი გადასცა. ამ მუშაობამ ჩაუყარა საფუძველი მენტორის წესით მუშაობას მენილეობაში და საერთოდ მემცენარეობაში.

ასევე ფართოდ იყენებდა თავის ხანგრძლივ მუშაობაში შორეულ ჰიბრიდიზაციას და ჯერ კიდევ 1913 — 17 წლებში ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება შორეულ ჰიბრიდიზაციის შესახებ. „რამდენადაც შორს დგანან ურთიერთისაგან შესაჯვარებელი წყვილი მწარმოებელი-მცენარენი სამშობლოსა და მათ გარემოს ბირობებით, იმდენად ჰიბრიდული თესლნერგები ადვილად ეგუებიან გარემოს ბირობებს ახალ ადგილ-სამყოფელოში“—ო.

ამგვარად ი. მიჩურინი თავისი ცხოვრების ყოველ ეტაპზე მეტად ღრმა მუშაობის შედეგად, დიდი დაკვირვებებისა და ცდების შედეგად იძლეოდა დებულებებს, რომლებიც სრულიად ახლებულიად აყენებდა ცოცხალი ორგანიზმის განვითარების საკითხებს და რომელთაც უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდათ, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცარიზმის ბირობები საშუალებას არ იძლეოდა ი. მიჩურინის მიღწევანი სახალხო კუთვნილებად გამხდარიყო.

ი. მიჩურინის გარდაცვალების შემდეგ, მისი დიდი მემკვიდრეობა შემოქმედებით იქნა ათვისებული და გამოყენებული. ამის ერთ-ერთი დამადასტურებელია თუნდაც ის ცნობები, რომლებიც საიუბი-

ლეთ თარიღთან დაკავშირებით გამოატყვევს ი. ვ. მიჩურინის სახელობის მეხილეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ი. ბელონოვმა.

„იყენებენ და შემოქმედებით ავითარებენ რა მიჩურინის მეთოდებს მცენარის ბუნების გარდაქმნის შესახებ, მეხილეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა და მისმა საცდელმა სადგურებმა (23) უდიდესი ჰიბრიდული ფონდი შექმნეს, რომელიც 500 ათასს აღემატება. უკანასკნელ წლებში ამ ფონდიდან გამოყოფილია და კვლევამათარსა სახელმწიფო და საწარმოო ჯიშთგამოცდის ქსელში ხილელულის 365 ახალი ჯიში, რომელნიც გამოირჩევიან მაღალი სამეურნეო-ბიოლოგიური თვისებებით, ამათში 120 ვაშლია. ვაშლის ახალი ჯიშებიდან ბევრია ადრეული ჯიში: „ადრეულა პაპიროვკა“, „სახალხო“, „ადრეულა გრუშოვკა“ და სხვ. ისინი რამდენიმე დღით უფრო ადრე შემოდის ისეთ ჯიშებთან შედარებით, როგორიც არიან: „პაპიროვკა“, „მოსკოვის გრუშოვკა“. მოსავლიანობით. შეფერილობით, ნაყოფის სიდიდით და გემოვნებით ვაშლის ეს ახალი ჯიშები აგრეთვე სუობიან ძველებს.

„ვაშლის ახალ ჯიშთა შორის სავეიანო ჯიშებიც ცოტა როდია. ესენია „ჩრდილოეთის სინაპი“, „მიჩურინის ხსოვნა“, „გამარჯვებული“ და სხვანი,

ამ ჯიშების ნაყოფები ანტონოვის ნაყოფზე უფრო კარგად ინახებიან“.

გამოყვანილია კიდევ უფრო მეტად ყინვაგამძლე ჯიშები; აგრძელებენ რა მიჩურინის მიერ წამოყენებულ სამუშაოს, ინსტიტუტმა და მისმა მრავალმა სადგურმა გამოიყვანეს ისეთი ჯიშები, რომელთაც ხილელულის ჩრდილო საზღვარი კიდევ უფრო გადასწიეს. გარგარი უკვე ხარობს რუსეთის შუაზოლის რაიონებში, ატმის შესანიშნავი ბაღებია გაშენებული სტავროპოლის ოლქში და სხვ.

იყენებენ რა მიჩურინულ მეთოდებს, საბჭოთა კავშირის მცდელები და სამეცნიერო დაწესებულებანი ამდღებრებენ ჩვენი კულტურული ფლორის საღაროს ახალ-ახალი ჯიშებით.

ამ მხრივ ფრიად წარმატებით მუშაობენ საქართველოს სახალხო მცდელები, რომელთაც გამოიყვანეს ატმის შესანიშნავი ჯიშები — გ. ბესტავაშვილი (ხიდისთავი), ე. ერისთავი (მეხილეობის საცდელი სადგური გორში, სკრაში), დ. ტაბიძე, ა. მიროტაძე (მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტი), ქ. ზახტაძე (ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების ინსტიტუტი ანასეულში), მამფორია (სუბტროპიკული კულტურების სელექციის საცდელი სადგური) და სხვა მრავალი.

## საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები

1955 წლის 30 სექტემბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში მოეწყო ნამდვილ წევრთა არჩევნები.


საერთო კრებამ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრებად აირჩია:

- პროფ. შ. ამირანაშვილი (ხელოვნებათმცოდნეობა)
- პროფ. ე. ანდრონიკაშვილი (ექსპერიმენტული ფიზიკა)
- პროფ. ქ. ზახტაძე (სუბტროპიკული კულტურები)
- პროფ. ა. ბოჭორიშვილი (ფსიქოლოგია)
- პროფ. რ. დვალი (მანქანათმშენებლობა)
- პროფ. ს. დურმიშიძე (მცენარეთა ბიოქიმია)
- პროფ. ა. ზურაბაშვილი (ექსპერიმენტული მედიცინა)
- პროფ. ი. აქაბრავა (გეოლოგია)
- პროფ. ე. მახალდინი (შიდაწვის ძრავები)
- პროფ. მ. საბაშვილი (ნიადაგმცოდნეობა)
- პროფ. ა. ქომეთიანი (ბიოქიმია)
- პროფ. გ. ძოწენიძე (გეოლოგია)
- პროფ. ა. წულუკიძე (ექსპერიმენტული მედიცინა)
- პროფ. ე. ხარაძე (ასტროფიზიკა)
- პროფ. ლ. ჭაფარიძე (მცენარეთა ფიზიოლოგია)

*ე. ანდრონიკაშვილი*

*ს. დვალი*

*ა. ზურაბაშვილი*



ფინანსის ბენის კაშხალი და წაალხადავი (ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთი), რეკონსტრუირებული საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით

## სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ინდუსტრიალიზაცია

### 1. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა

#### ბ. სვანიძე

ტენესის მეცნიერებათა აკადემია

ექვსი წლის წინ, 1949 წლის ოქტომბერში, სახალხო რევოლუციის ცეცხლსა და ქარიშხალში იშვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით დამთავრდა მრავალი წლის მანძილზე წარმოებული გმირული ბრძოლა, სამუდამოდ მიეღო ბოლო შინაგან რევოლუციასა და უცხოური იმპერიალიზმის ბატონობას.

განთავისუფლებამდე ჩინეთი ნახევრადფეოდალურ და ნახევრადკოლონიურ სახელმწიფოს წარმოადგენდა, უაღრესად ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობითა და მეტად სუსტად განვითარებული მრეწველობით. მსხვილი მემამულეები, კომპრადორული ბურჟუაზია და უცხოელი მონოპოლისტები სასტიკ ექსპლოატაციას უწევდნენ მშრომელ ხალხს და იტაცებდნენ ქვეყნის სიმდიდრეს.

რევოლუციამდელ ჩინეთში სამრეწველო პროდუქციის ძირითადი ნაწილი მოდიოდა საფეიქრო მრეწველობაზე, რომელიც უმ-

თავრესად ქ. შანხაიში იყო თავმოყრილი. მძიმე მრეწველობის ობიექტების უმეტესი ნაწილი სარემონტო საწარმოებს წარმოადგენდა და სხვა ქვეყნების კაპიტალისტებს ეკუთვნოდა. სუსტად იყო განვითარებული მეტალურგიული, ქიმიური და სამთამადნო მრეწველობის დარგები, მანქანათმშენებელი მრეწველობა ფაქტიურად არ არსებობდა. უცხოელი კაპიტალისტების წილი მთელი კაპიტალური დაბანდების სამ მეოთხედს შეადგენდა და ნაციონალური კაპიტალის წილად მხოლოდ ერთი მეოთხედი მოდიოდა. მთელი მრეწველობის მბრძანებელი სინალები ინგლისის, იაპონიისა და ამერიკის შერთებული შტატების იმპერიალისტების ხელში იყო მოქცეული. ჩინეთი წარმოადგენდა ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას, სადაც მრეწველობა სახალხო მეურნეობის მთელი პროდუქციის მხოლოდ 10 პროცენტს იძლეოდა.

იაპონელი დამპყრობლების წინააღმდეგ წარმოებული რვაწლიანი ომისა და შემდეგ სამოქალაქო

ომის პერიოდში სახალხო მეურნეობა კიდევ უფრო დაეცა, ფაბრიკები და ქარხნები დაინგრა, მრავალი ენერგეტიკული და სამთამადნო ობიექტი გამოვიდა მწყობრიდან, სოფლის მეურნეობა მიიშალა, ქალაქებსა და სოფლებში უმუშევრობა, სიღატაკე და შიმშილი გამეფდა.

ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ ჩინელი ხალხის წინაშე დადგა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და რეკონსტრუქციის გრანდიოზული ამოცანა, რაც მოკლე დროის მანძილზე განდა შესაძლებელი მრავალმილიონიანი მშრომელი მასების მხარდაჭერითა და უშუალო მონაწილეობით.

ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბლენუმმა, რომელიც 1950 წლის ივნისში შედგა, გადაწყვეტილება მიიღო უახლოესი სამი წლის განმავლობაში ქვეყნის ეკონომიური და ფინანსური მდგომარეობის ძირეული გაუმჯობესების შესახებ, რათა ამის საფუძველზე შექმნილიყო წინამძღვრები ფართო გეგმიან მეურნეობაზე გადასასვლელად, ჩინეთის ინდუსტრიალიზაციის დასაწყებად. ეს დიადი პროგრამა წარმატებით იქნა განხორციელებული 1950-1952 წლების მანძილზე, რომლებიც გადაიტყნენ სახალხო მეურნეობის აღდგენისა

და ნაწილობრივი რევოლუციური მოძრაობის წყალობით. ამ პერიოდის განმავლობაში აღდგენილ და რეკონსტრუქციებულ იქნა დანგრეული საწარმოები და გაიშალა ახალი ობიექტების მშენებლობა, სხვადასხვა ტიპის უაღრესად რევოლუციური აგრარული გარდაქმნები და ძირითადად მიოსის ფეოდალური გადასაშვები, კონტინენტული ვადადგურა გომინდანიელი კონტრეკულაციის უკანასკნელი ძალები, აღდგენილ იქნა ტრანსპორტი და კავშირგაბმულობის საშუალებანი. სოციალისტური ნაციონალიზაციის შედეგად გატარდა სახელმწიფო მონოპოლიების, ეგრეთწოდებული ბიუროკრატიული კაბიტალის ყველა სამრეწველო და სხვა საწარმოების ექსპროპრიაცია. ნაციონალიზირებულ იქნა აგრეთვე კომპარდორული ბურჟუაზიის კუთვნილი უდიდესი ბანკები, ლიკვიდირებულ იქნა უცხო სახელმწიფოებთან დადებული ყველა არათანასწორუფლებიანი ხელშეკრულება, დაწესდა სახელმწიფო კონტროლი საგარეო ვაჭრობაზე, ხელშეკრულები დარჩა მხოლოდ საკუთრება ნაციონალური ბურჟუაზიისა, რომლის უმეტესობა საშუალო ბურჟუაზიის წარმომადგენელია.

სახალხო მეურნეობის წარმატებით აღდგენამ და შემდგომმა განვითარებამ ეკონომიური ცხოვრების არჩვეულებრივი გამოცოცხლება გამოიწვია. 1952 წლის ბოლოსათვის მრეწველობის ყველა დარგში, ქვანახშირის ამოღების გარდა, მიღწეულ და გადაჭარბებულ იქნა ქვეყნის განთავისუფლებამდე ოდესმე არსებული მაქსიმალური დონე. კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო სამრეწველო პროდუქციის ზრდა 1949 წლის დონესთან შედარებით. ამ პერიოდის განმავლობაში თუჯის გამოდნობა გაიზარდა 7,6-ჯერ, ფოლადისა — 8,5-ჯერ, ქვანახშირისა — 2-ჯერ, ელექტროენერჯისა — 1,6-ჯერ, ნავთობისა — 3,6-ჯერ, ცემენტისა — 4,3-ჯერ.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა სამრეწველო ობიექტების აღდგენას ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში, სადაც მთელი მძიმე

მე მრეწველობის უმეტესი ნაწილი იყო თავმოყრილი. უკვე 1950 წლის პირველ ნახევარში ამუშავდა ან რაიონის სამრეწველო ობიექტების ცხრა მეათედი. საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დახმარებით მრეწველობის აღდგენა ახალ ტექნიკურ ბაზაზე წარმოებდა. ძველი საწარმოებო, გაფართოვდა, დაიწყო მძიმე და მუშუტე მრეწველობის ახალი ობიექტების მშენებლობა. ჩინეთის ისტორიაში პირველად დაიწყო საქსოვი მანქანების, ელექტრომომწყობილობის, დაწვავლის, რკინიგზის მოწყობილობის წარმოება. საფუძველი ჩაეყარა ტრანსპორტის, ავტომანქანების, მოტოციკლეტების და სხვა სატრანსპორტო საშუალებების წარმოებას.

აღდგენითი პერიოდის სამი წლის განმავლობაში სახელმწიფოს მხარდაჭერითა და დახმარებით კერძო კაპიტალისტურმა საწარმოებმა ჩინეთის რვა უდიდეს ქალაქში თავიანთი პროდუქციის გამოშვება 70 პროცენტით გააღვიძეს. მიუხედავად ამისა, მრეწველობის ეს სექტორი უფრო ნელი ტემპით ვითარდებოდა სოციალისტურ სექტორთან შედარებით, ამიტომ კერძო კაპიტალისტური წარმოების ხვედრითი წილი 62,7 პროცენტიდან 1949 წელს 42 პროცენტამდე შემცირდა 1952 წელს, ხოლო მომდევნო სამი წლის განმავლობაში 31 პროცენტამდე ჩამოვიდა. სახალხო მთავრობის ინიციატივით კერძო კაპიტალისტური საწარმოები თანდათანობით გადადის სახელმწიფო კაპიტალიზმის სხვადასხვა ფორმაზე იმ ვარაუდით, რომ შემდეგში საერთო-სახალხო საკუთრებამ მთლიანად შესცვალოს კაპიტალისტური საკუთრება.

აღდგენით პერიოდში მოსავლიანობის ზრდისა და წყალდიდობასთან ბრძოლის მიზნით ფართოდ გაიშალა წყალსაცავებისა და საირიგაციო სისტემების მშენებლობა. ამ მხრე სახალხო ხელისუფლების არსებობის პირველი სამი წლის განმავლობაში გაცილებით უფრო მეტი გაკეთდა, ვიდრე გომინდანიელმა ბატონობის 22 წლის მანძილზე. საბჭოთა საბჭოთა

ლესობის დახმარებით შემუშავდა იქნა მდინარე ხუაიხის წყლის რესურსების გამოყენების გეგმა, დიოზული გეგმა, რომლის განხორციელებაც 1950 წელს დაიწყო. გეგმა ითვალისწინებს მდინარე ხუაიხესა და მის შესაკადებზე 38 დიდი წყალსაცავისა და მრავალი პატრონალისტრისადაგურის მშენებლობას.

სახალხო მეურნეობის აღდგენითი სამუშაოების წარმატებით შესრულებამ მტკიცე საფუძველი ჩაუყარა გეგმიან სოციალისტურ მშენებლობაზე გადასვლის საქმეს, რის შედეგადაც 1953 წლის დასაწყისიდან შესაძლო გახდა დაწყებულიყო პირველი ხუთწლიანი გეგმის განხორციელება.

კომუნისტური პარტია, ისახავს რა მიზნად ჩინეთის გადაქცევას ინდუსტრიალურ ქვეყნად, გამოიღო მარქსისტულ-ლენინური დებულებიდან, რომ მსხვილი მრეწველობა წარმოადგენს სოციალიზმის მატერიალურ ბაზას, რომელზედაც დაყრდნობით შეიძლება განხორციელდეს სოფლის მეურნეობის სოციალისტური რევოლუციონალიზაცია. იგი ითვალისწინებს ობიექტურ ეკონომიური კანონის მოთხოვნას წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი განვითარების შესახებ მოხმარების საშუალებათა წარმოებასთან შედარებით.

1953 წელს მათ დადესი აღნიშნავდა, რომ „ამ გარდამავალ პერიოდში პარტიის გენერალური ხაზი და ცენტრალური ამოცანები იმაში მდგომარეობს, რომ საგნადაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში თანდათანობით განახორციელოს ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, თანდათანობით განახორციელოს სოფლის მეურნეობის, შინამრეწველობის და კერძო ვაჭრობისა და მრეწველობის სოციალისტური გარდაქმნები“.

ჩინეთის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის (1953—1957 წწ.) ძირითადი ამოცანაა მძიმე მრეწველობის განვითარება, ქვეყნის სო-

\* „პრედა“, 22 ივნისი, 1954 წ.

ციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის ბაზის შექმნა, სოფლის მეურნეობისა და კუსტარული მრეწველობის გადაყვანა კოოპერირების რესპუბლიკურ კაპიტალისტური მრეწველობისა და ვაჭრობის სოციალისტური გარდაქმნისათვის სათანადო ბაზის შექმნის მიზნით, ეკონომიკის კაპიტალისტური სექტორის გადაყვანა სახელმწიფო კაპიტალიზმის სხვადასხვა ფორმებზე.

საბჭოთა კავშირის მავალითისამებრ ჩინეთის ინდუსტრიალიზაცია ხორციელდება პირველ რიგში მძიმე ინდუსტრიის, წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატესი განვითარებით. პერსპექტიული გეგმები ითვალისწინებენ სახალხო მეურნეობაში მრეწველობის სფეროში წონის ზრდას 28 პროცენტადან 1952 წელს 70 პროცენტამდე უახლოესი ორი-სამი ხუთწლიანი განმავლობაში. ამავე პერიოდში მარცვლული კულტურების წლიურმა მოსავლამ 300—350 მილიონ ტონამდე უნდა მიაღწიოს, რაც მნიშვნელოვნად აღმატდება საერთო მოსავლიანობას შვედეთზე უმაღლესში, კანადასა და არგენტინაში.

პირველი ხუთწლილის განმავლობაში ქვეყნის ძირითადი რესურსები მიმართულია 694 მსხვილი სამრეწველო ობიექტის მშენებლობაზე. გარდა ამისა კიდევ გათვალისწინებულია 2 ათასზე მეტი საშუალო და მცირე საწარმოს მშენებლობა. აქედან ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდია ინდუსტრიალიზაციის მასშტაბები უკვე საწყის ეტაპზე, რაოდენ ძნელია და მასთან საპატიო ჩინელი ხალხის წინაშე მდგარი პრობლემები. მძიმე მრეწველობის განვითარება მოითხოვს უდიდეს კაპიტალურ დაზანდებებს ხანგრძლივი დროის განმავლობაში და ინჟინერ-ტექნიკოსთა მრავალი რიცხოვან კადრებს. ჩინეთის 600 მილიონიანი მოსახლეობა, დარაზმული კომუნისტური პარტიისა და სახალხო მოთხოვნის გარშემო, უმდიდრესი ბუნებრივი რესურსები, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების უზარარ

დახმარება იმის საწინდარია, რომ ჩინეთის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გზაზე არსებული სინდნელები წარმატებით იქნება გადალახული.

მარტო 1953 წელს გეგმა ითვალისწინებდა თუჯის გამოდნობის ზრდას 14 პროცენტით, ფოლადის ნაგლისა — 34,8 პროცენტით, ნავთისა — 42 პროცენტით, ელექტროენერჯის გამოშვებისა — 27 პროცენტით. ხუთწლიის პირველსავე წელს მწყობრში ჩადგა ასეული ათასი კილოვატი საერთო სიმძლავრის ელექტროსადგომები, დაიწყო რამდენიმე ათასი კილოვატი სიმძლავრის მქონე ტურბინების გამოშვება, საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი მახტები და ნავთობის ჭაბურღილები, აშენდა ანშანის მეტალურგიული კომბინატის რიგი მნიშვნელოვანი ობიექტები. მდინარე იუნდინზეუ და მათგანდა გუანტინის გრანდიოზული წყალსაცავის მშენებლობა, მწყობრში შევიდა ხუთი სანაოსნო რაბი, გრძელდებოდა ფოძილის წყალსაცავისა და მრავალი სხვა ენერგეტიკული და საირიგაციო ობიექტის მშენებლობა. ორჯერ გადიდა კაპიტალური დაზანდებანი პილარენგრომშენებლობაზე, ერთ-ერთიწლიად წარმოებდა 24 ელექტროსადგურის მშენებლობა და რეკონსტრუქცია.

კიდევ უფრო დიდი მასშტაბის მქონე სამუშაოები გაიშალა მომდევნო 1954 წელს, როდესაც სახალხო მეტი სამრეწველო ობიექტის მშენებლობა და რეკონსტრუქცია წარმოებდა, მასთან დაბანდებოდა სახსრების სამ მეთხედზე მეტი მეტალურგიული, ქვანახშირის, ნავთობის, ქიმიური, ენერგეტიკული და მანქანათმშენებელი მრეწველობის დარგებზე მოდიოდა. წლის ბოლომდე ამუშავდა 50-ზე მეტი ობიექტი, რომელთაგან აღსანიშნავია ანშანის მეტალურგიული კომბინატის ფურცელსაკლანიავი საამქრო, მჭრელი ინსტრუმენტებისა და საზომი ხელსაწყოების ქარხანა, სინთეზური საწყვავის ქარხანა ფუშუში და სხვა საწარმოები. დიდ წარმატებებს მიაღწიეს ჩინელმა მეტა-

ლურგებმა. 1954 წლის განმავლობაში თუჯის გამოდნობა გაიზარდა 37 პროცენტით და ფოლადისა — 22 პროცენტით. მეტალურგიულ ქარხნებში ათვისებულ იქნა ფოლადის 42 ახალი მარკის უქანავი, სწრაფმჭრელი და ბურთულსაკისარების ფოლადებისა. ათვისებულ იქნა აგრეთვე 28 სახის ნავლის გამოშვება. ანშანის მეტალურგიული კომბინატის ავტომატიზებული ბრძანებების რიცხვი სამამდე გაიზარდა, აშენდა უახლოესი ტექნიკით აღჭურვილი საკლანიავი საამქროები.

ჩინეთის თორმეტ პროვინციაში ფართო მასშტაბების მქონე საძიებო-გეოლოგიური სამუშაოები წარმოებდა, რის შედეგადაც დასავლეთ რაიონებში აღმოჩენილია ნავთობის ახალი მდინარი საზაღოები. უიშინის რაიონში ჩატარებული ძიების შედეგად გამოირკვა, რომ ნავთობის მარაგი ჩინეთის აკ უმდიდრეს რაიონში ხუთნახევარჯერ უფრო მეტია, ვიდრე ეს წინათ იყო ცნობილი.

სახელმწიფო ენერგეტიკულმა ობიექტებმა მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს 1954 წლის გეგმა და 23,5 პროცენტით უფრო მეტი ენერჯია გამოიშვა, ვიდრე 1953 წელს. ელექტროენერჯის წლიური გამოიშვების დონემ 1,8 მილიარდ კილოვატსათა მიაღწია. ქიმიური ქარხნების პროდუქცია 43 პროცენტით გაიზარდა.

157 ობიექტიდან, რომლებიც საბჭოთა კავშირის დახმარებით უნებდა, 1954 წელს დათვრდა 17, ხოლო მშენებლობის პროცესში იყოფებოდა 34 ობიექტი. ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთში ამუშავდა ცემენტის დიდი ქარხანა, წარმატებით შენდებოდა შენახის მძიმე მანქანათმშენებელი ქარხანა, პირველი დაზგათმშენებელი ქარხანა შენანში, საატკომობილო ქარხანა, ხარბინის ელექტრომანქანათმშენებელი ქარხანა და მრავალი სხვა მსხვილი საწარმო.

მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მიღწეული საბოიბი და ენერგეტიკული მრეწველობის ობიექტების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის საქმეში. საექსპლო-

ატაციოდ გადაეცა ნახშირის ღია სახალოები ფუნისში, სადაც ქვა-ნახშირის მოპოვების პროცესი საესეებით მექანიზებული და ავტომატიზებულია. წარმატებით მიმდინარეობდა ჩინეთში ყველაზე უფრო მდიდარი ფუშენის ქვანახშირის სახალოების დამუშავება. 1954 წელს დამთავრდა და საექსპლუატაციოდ გადაეცა 9 ვერტიკალური და ჰორიზონტალური შახტი, რომლებიც აღჭურვილია უახლესი მოწყობილობით — ქვანახშირის კომბინებით, საბურღი მანქანებით, ელექტრომაგვლებით, კონვეიერებით, ექსპლატორებით. საექსპლუატაციოდ გადაეცა ნავთობის ოცზე მეტი ჭაბურღილი, რის შედეგადაც ნავთობის ამოღებამ ერთ წახევარჯერ გადააჭარბა წინა წლის დონეს.

სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პროცესში ჩინეთი მაღალი და საშუალო კვალიფიკაციის მქონე ტექნიკური კადრების მზარდ მოთხოვნილებას განიცდის. ძველ ჩინეთში, როგორც კულტურულად და ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყანაში, მეტად მცირერიცხოვანად და სუსტი იყო ტექნიკური ინტელიგენცია. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ფართო მასშტაბები და მშენებლობის მაღალი ტემპები სპეციალისტთა დიდ რაოდენობას საჭიროებს, რისთვისაც დღითიდღე იზრდება უმაღლეს და საშუალო ტექნიკურ სასწავლებელთა ქსელი. ტექნიკური კადრების მომზადება ძირითადად წარმოებს ჩინეთის სხვადასხვა ქალაქებში არსებულ უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში და საშუალო ტექნიკურ სკოლებში. ახალგაზრდა ჩინელ სპეციალისტთა დიდი რაოდენობა მზადდება საბჭოთა კავშირისა და ევროპის სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებში.

1955 წლის ივნისში სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებამ ერთხმად დაამტკიცა კომუნისტური პარტიის გენერალური ზახის შესაბამისად დამუშავებული პირველი ხუთწლიანი გეგმა, რომლის განხორციელება ჯერ კიდევ 1955 წლიდან დაიწყო. როგორც თავდაპირვე-

ლადვე იყო დასახული, ხუთწლიის ძირითად ამოცანას წარმოადგენს სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისათვის მტკიცე ბაზის შექმნა, რაც გამომდინარეობს გ. ი. ლენინისა და ი. ვ. სტალინის მითითებებთან იმის შესახებ, რომ სოციალიზმი შეიძლება აშენდეს მხოლოდ მსხვილი მანქანური წარმოების ბაზაზე.

ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, როგორც ცნობილია, გულისხმობს წარმოების საშუალებათა წარმოების უზირატეს ზრდას, რაც თავის მხრივ მოხმარების საშუალებათა წარმოების გადიდებას აუცილებელი პირობაა. ამის შესაბამისად ჩინეთის ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს წარმოების საშუალებათა წარმოების ზრდას 126,5 პროცენტით და მოხმარების საშუალებათა წარმოების ზრდას 79,7 პროცენტით. გეგმის შესაბამისად ხუთი წლის მანძილზე ფოლადის გამოდნობა გადიდება 3,1-ჯერ, ქვანახშირის ამოღება — 1,8-ჯერ; მოქმედ საწარმოთა მწყობრში ჩადება 15 ახალი თბოელექტროსადგური, რომელთაგან თითოეულის სიმძლავრე 50 ათას კილოვატს აღემატება; ამუშავდება რამოდენიმე ათეული მძლავრი ჰიდროელექტროსადგური და მათ შორის ფინმანის ჰიდროელექტროსადგური, რომლის სიმძლავრე ძირეული რეკონსტრუქციის შემდეგ 560 ათას კილოვატს გადააჭარბებს. ხუთწლიის განმავლობაში დიდ განვითარებას მიაღწევს მძიმე მრეწველობის მთავარი ძარღვი მანქანათმშენებლობა. კერძოდ, შეიქმნება მანქანათმშენებლობის ახალი, ჩინეთში მანამდე არარსებული დარგები, როგორიცაა მძიმე მანქანათმშენებლობა, ჩარხთმშენებლობა, თვითმფრინავები, ავტომანქანების, ტრაქტორებისა და ტურბინების წარმოება. ჩინეთის შესაძლებლობა მიეცემა საკუთარი ძალებით დაამზადოს სხვადასხვა მანქანები და მოწყობილობა. ამით საიმედო საფუძველი ჩაეყრება სახალხო მურწიონების ყველა დარგის შემდგომ მძლავრ აღმავლობას. საკმარისია ითქვას, რომ 1955 წელს მანქანათ-

მშენებელი მრეწველობის სახეობა-სახეობის მშენებლობის მოცულობა 40 პროცენტით იზრდება წინა წელთან შედარებით. მშენებელთა 30 ახალი მანქანათმშენებელი ქარხანა, ტარდება 80 ქარხნის რეკონსტრუქცია, მწყობრში დგება მძიმე მანქანათმშენებელი ქარხნები, ელექტრომობილების ქარხანა, ბურთულსაკისარების ქარხანა, ორთქლის ქვაებისა და ორთქლის ძრავების ქარხანა.

ფართოდ იშლება სამთამადნო მრეწველობის ობიექტების მშენებლობა, სადაც კაპიტალური დახანდელობა 1955 წელს ერთხანჯერ გადააჭარბებს წინა წლის დონეს, გრძელდება 100-ზე მეტი შახტის მშენებლობა და იწყება მარდენილი ახალი შახტის მშენებლობა, წარმოებს რიგი არსებული შახტების რეკონსტრუქცია.

წარმატებით გრძელდება ჩინეთის მძიმე მრეწველობის უზენაეს ნელოვანეს ცენტრის — ანშანის მეტალურგიული კომბინატის მშენებლობა. გეგმის შესაბამისად ერთთორად იზრდება კომბინატის გაფართოების საშუალოა მოცულობა. წარმოებს ორი ბრძმედის ავტომატიზაციის სამუშაოები, ერთი მესხუთედით დიდდება პირველი მარტენის საამქროს წარამაღობა. ლითონის გამოდნობა კომბინატში 27 პროცენტით გადააჭარბებს 1954 წლის დონეს.

ცენტრალურ ჩინეთში დაეს ქარხნების რეკონსტრუქციისა და გაფართოების შედეგად იქმნება მსხვილი მეტალურგიული ბაზა. ჩრდილოეთ ჩინეთში ბოტოტუს რაიონში ახლად აღმოჩენილი რკინის მადნის უმდიდრესი სახალოების ბაზაზე მომავალში შეიქმნება დიდი მეტალურგიული კომბინატი. ახალი მეტალურგიული ცენტრები თუჯითა და ფოლადით უზრუნველყოფენ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისთან დაკავშირებულ სწრაფად მზარდ მოთხოვნილებებს. სწრაფი ტემპით წარმოებს ახალი ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობა ჩუნცინში, ფუშენში, ფუსინში, ტიანძინში და სხვა ქალაქებში. საკმარისია ითქვას, რომ 1954 წელს 17 ახლადგებულმა და რეკონსტრუქციასქმნილმა ელექ-

ქტროსადგურმა დაიწყო სახალხო მეურნეობის მომარაგება ელექტროენერგიით, ხოლო 1955 წელს მწყობრში შევა ორჯერ უფრო მეტი საერთო სიმძლავრის ელექტროსადგურები.

ჩინეთის მშრომელებს საბჭოთა კავშირის ხალხების სახით ყოველთვის ჰყავდა მტკიცე და საიმედო მეგობარი. ჯერ კიდევ 1924 წელს ხელმოწერილ იქნა ჩინეთ-საბჭოთა კავშირის შეთანხმება სხვადასხვა საკითხების მოწესრიგების საერთო პრინციპების შესახებ. ჩინეთის ახალ ისტორიაში ეს იყო დიდ სახელმწიფოსთან დადებული პირველი თანასწორფულზებანი ხელშეკრულება. ამ აქტმა ხელი შეუწყო სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალთა პოზიციების განმტკიცებას.

„...აქ სიმართლე და სამართლიანობა მდლიანად ჩინეთის რევოლუციის მხარეზეა, — განაცხადა ი. ზ. სტალინმა 1925 წელს პარტიის XIV ყრილობაზე. — აირატომ თანავუგრძნობთ და კვლავადაც თანავგრძნობით მოვეციდების ჩინეთის რევოლუციას მის ბრძოლაში იმპერიალისტთა უღლიანსაგან ჩინელი ხალხის განთავისუფლებისა და ერთ სახელმწიფოს ჩინეთის გაერთიანებისათვის“ (თხზ., ტ. 7, გვ. 323).

მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირის ხალხებისა და ჩინელი ხალხის მეგობრობა განმტკიცდა იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ წარმოებულ ერთობლივ ბრძოლაში. ეყრდნობოდა რა სსრ კავშირის დახმარებას, ჩინელმა ხალხმა მოსპო უცხოელი მონოპოლისტებისა და საკუთარი ფეოდალურ-კომპარადორული რეაქციონერების ბატონობა, მოიოვა თავისუფლება და მტკიცედ დააღვა სოციალისტური განვითარების გზას.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირსა და სახალხო-დემოკრატიის ქვეყნებს შორის, კერძოდ, სსრ კავშირსა და ჩინეთს შორის დამყარდა სრულიად ახალი ტიპის ურთიერთობა, რომელსაც არ იცნობდა კაპობრობის ისტორია. ეს ურთიერთობა ემყარება ინტერესების ერთიანობას, ხალხთა

მშურ თანამშრომლობას ახალი ცხოვრების მშენებლობის საქმეში, გულწრფელ სურვილს — დახმარონ ერთმანეთს საერთო კაცონომიური აღმავლობის მისაღწევად.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და სსრ კავშირს შორის 1950 წლის თებერვალში დაიდა ხელშეკრულება მეგობრობისა, კავშირისა და ურთიერთდახმარების შესახებ და რიგი სხვა შეთანხმებები. დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ჩასვლა ჩინეთში 1954 წლის ოქტომბერში და ორივე ქვეყნის მთავრობათა ერთობლივი დეკლარაციის გამოქვეყნება.

არსებული ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე სსრ კავშირმა ჩინეთს მისცა გრძელვადიანი კრედიტი 1950 წელს — 300 მილიონ ამერიკული დოლარისა და 1954 წელს — 520 მილიონი მანეთის რაოდენობით. საბჭოთა კავშირი ჩინეთს ეხმარება 156 უმსხვილესი სამრეწველო ობიექტის — მეტალურგიული კომბინატების, ფერადი ლითონების მწარმოებელი და ქვანახშირისა და ნავთობის მომამოყვებელი საწარმოების, მანქანათმშენებელი ქარხნების, ავტოქარხნების, სატრაქტორო ქარხნების, ელექტროსადგურებისა და სხვა სამრეწველო ობიექტების მშენებლობასა და რეკონსტრუქციას.

ჩინეთს სსრ კავშირმა შესთავაზა სამეცნიერო-ტექნიკური და საწარმოო დახმარება ატომური ენერჯის მშვიდობიანი მიზნით გამოყენებისათვის კვლევის განვითარების საქმეში.

1953 და 1954 წლის ხელშეკრულებები ითვალისწინებენ საბჭოთა კავშირის დახმარებით მეტალურგიული ბაზების მშენებლობას ბოტოუსა და ხანშუიში, რაც ჩინეთს შესაძლებლობას მისცემს გახადოს ფოლადის მწარმოება თანდროს და ნავლინის წარმოება ორხანჯარჯერ 1952 წლის დონესთან შედარებით. საბჭოთა კავშირის დახმარებით ახალი მძლავრი შესტებისა და გამამდიდრებელი ქარხნების მშენებლობის შედეგად ქვანახშირის მოპოვება 1953 წლის დონესთან შედარებით

60 პროცენტით გაიზარდება. შეთანხმების საფუძველზე სსრ კავშირი ჩინეთში ავსტონის მაღალკლასიფიკაციებულ საბჭოთა სპეციალისტებს. ამავე დროს ტექნიკური კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩინელი მუშები და საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი მომზადებას ვადაინ საბჭოთა კავშირის ქარხნებში.

სოციალისტური ბანაკის ორ დიდ ქვეყანას შორის არსებული მეტიდრო თანამშრომლობისა და მეგობრული ურთიერთობის შესახებ პრემიერ-მინისტრმა ამხანაგმა ჯოუ ენ-ლაიმ თქვა, რომ „ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა, რომელიც 800 მილიონ ადამიანსა და დედამიწის მთელი ტერიტორიის მეითხედს მოიცავს, — ეს არის სამარადისო, ურღვევი მეგობრობა. არავის ძალუფს ჩვენი განცალკევება. ამგვარი მეგობრული ურთიერთობა გადაუღალახვი ძალით განაგრძობს განმტკიცებას და ყოველდღიურად ვითარდება, იგი მუდმივად განაგრძობს განვითარებას მომავალ საუკუნეებსა და თაობებში“.

საბჭოთა ადამიანების გრძნობები ჩინელი ხალხის მიმართ გამოთქმულია ამხანაგ კ. ე. ვოროშილოვის სახალწლო მილოცვაში, რომელიც ვაზუტ „ყენმინჯიპაოს“ 1955 წლის პირველი იანვრის ნომერში გამოქვეყნდა: „რაც შეგვეზნება ჩვენ საბჭოთა ადამიანებს, დიდი ჩინეთის ხალხებს შეუძლიათ სასესებო მოგველოდ. ჩვენი მეგობრობა, ჩვენი გული, ჩვენი უანგარო ძმური დახმარება მუდამ თქვენთან არის, ძვირფასო ამხანაგებო!“.

საბჭოთა კავშირისა და სახალხო-დემოკრატიის ქვეყნების მშურ მიმარდაჯერა და ახალი ჩინეთის მშენებლობის ყველა ფრონტზე მოლოვებული წარმატებები ამაღლებენ მშრომელთა მილიონიანი მასების შრომით აქტივობას და პოლიტიკურ შეგნებას, უფრო მტკიცედ რაზამვენ ჩინელ ხალხს კომუნისტური პარტიის გარშემო, უფრო მეტად უწყობენ ხელს სახალხო-დემოკრატიული რეჟიმის შემდგომ განმტკიცებას.



## მშვიდობიანი მოზნებისათვის

### რადიკტიური იზოტოპები

რადიკტიური იზოტოპები დიდი რაოდენობით მზადდება როგორც ატომურ ქვაბებში (რეაქტორებში), ისე ელემენტარული ნაწილაკების დამჩქარებლებში.

რადიოიზოტოპები, რომლებიც შეიცავენ მენდელეევის პერიოდული სისტემის თითქმის ყველა ელემენტს, იზავენება ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, აგრეთვე როგორც უცხო ქვეყნებში.

საკვლევი რეაქტორები, რომლებსაც სამეცნიერო-ტექნიკური დახმარების სახით აწოდებს საბჭოთა კავშირი, საშუალებას აძლევს ქვეყნებს, რომლებიც დახმარებას ღებულობენ, კვლევითი სამუშაოების ჩატარებასთან ერთად საკუთარი ძალებით დიდი რაოდენობით დაამზადონ რადიოიზოტოპები.

რადიკტიური იზოტოპების ბირთვული გამოსივებაში გამოიყენება ტექნოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაციისათვის, მეტად მოხერხებულ საშუალებას წარმოადგენენ უკონტაქტო გამოშვებისათვის, ავტომატური კონტროლისათვის, ტექნიკის სხვადასხვა დარგებში დისტანციური რეგულაციისა და მართვისათვის.

შემწნილია და გამოიყენება სხვადასხვა აბრატები სამრეწველო დეფექტოსკოპისათვის, ცივი ნავლინის სისტემის საზომები, ხელსაწყოები სხვადასხვა დამატრების მიღების, აგრეთვე ამოწევის რეზერვუარების კედლების სხვადასხვაობის და სისტემის გაზომვისათვის (დოლობის, ქვაბების, აუზებისა), დანადგარების (ალკე ელემენტების შემცველობის განსასაზღვრავად შენადნობებში, აბრატურა ფოლადის ნავლინის

მარკირებისათვის, ნაწარმა რადიკტიური მთვლელები კონვეიერზე, რადიკტიური ღონწობებში განუწყვეტილი დისტანციური გამოშვებისათვის გაზომვის ობიექტის შიგნით შეუღწევლად, გამაბრატები ავადმყოფთა მკურნალობისათვის და ა. შ.

რადიკტიური იზოტოპების წარმოება და გამოყენება მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და მედიცინაში გაურწყვეტილი იზრდება.

### რადიოქიმიკა ეხმარება არქეოლოგიას

ამერიკავასიის და კერძოდ საქართველოს მიწა-წყალზე მრავალდ მიიბოვება ქართველთა წინაპრებისა და მათი მონათესავე ხალხების უძველესი ხანის კულტურული შემოქმედების ნაშთები. მრავალი გათხრებია წარმოებულა და მოპოვებულა სხვადასხვა ნივთები, თუ სამკაულები. ამ ნაშთების ხანის დადგენისათვის არქეოლოგიას მიეზოვება სხვადასხვა მეთოდები.

ამ ბოლო ხანებში მეცნიერებას აღმოჩენილი აქვს ერთი ზუსტი მეთოდი ზოგიერთი ნივთების ხანის დადგენისა. ეს მეთოდი რომ გამოყენებულ იქნეს, საჭიროა გამოსაკვლევი ნივთი შეიცავდეს ნახშირს, ამა თუ იმ სახით. ასე მაგალითად, სატერის ხის ქარქაში, ძვალი (რომელიც შეიცავს აგრეთვე ნახშირბადს), ქსოვილი და სხვ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მეთოდი, რომელიც მოხსენებულა რ. ლეპის წიგნში (თარგმანი ინგლისურადან „Новая сила — в атомах и людях“). ლეპი მოვიხირობს ამერიკელი მეცნიერის დოქტორ ლიბის აღმოჩენაზე, მი-

სი შინაარსი შემდეგია: პაერში მიიბოვება განსაზღვრული რაოდენობა CO<sub>2</sub>-ისა, რომელიც შეადგენს მცენარის ძირითად საკვებს. ამ ნივთიერების ნახშირბადის განსაზღვრული ნაწილი რადიკტიურია და ამ რადიკტიური ნახშირბადის ნახევრად რღვევის პერიოდი 5700 წელიწადია. ცოცხალ მცენარეში რადიკტიური ნახშირბადის ფარდობა მცენარის მთელ ნახშირბადთან განსაზღვრულია და მეცნიერების მიერ გამოკვლეული.

როდესაც მცენარე კვდება და მის მიერ CO<sub>2</sub>-ის ათვისება პაერიდან (რადიკტიურის, თუ არა რადიკტიურის) წყდება, მცენარის ნაშთში ნორმალური ნახშირბადი უტყველი რჩება, ხოლო რადიკტიური ნახშირბადი ირღვევა შემოდინიშულ ნახევრად დამულის კანონით.

ამრიგად, რაც ხანი გადის მცენარის სიკვდილის შემდეგ, მის ნივთიერებაში მყოფ რადიკტიური ნახშირბადის ფარდობა ნორმალურ ნახშირბადთან მცირდება. აი სწორედ ამ შემცირებული ფარდობიდან ვებულობენ მეცნიერები, თუ რა სიძველისა არის არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი ნივთი, საკმარისია მხოლოდ ეს ნივთი შეიცავდეს ნახშირბადს ამა თუ იმ სახით. ნივთიერების გამოსაკვლევად საჭირო რაოდენობა იზომება გრამებით. ამ მეთოდით ვებულობენ, თუ რამდენი წლისაა ნივთი.

ამ სახით ჩვენ არქეოლოგებს შეუძლიან გამოიყენონ ეს ახალი მძლავრი იარაღი წარსულის ნივთიერი კულტურის ძეგლების შესწავლაში.

ნე. გ. ხიზანაშვილი

## მაღალი მოსავლის მიღების გზა

ფოტოგრაფიას იმ მცენარისა, რომელიც აქვდა მოყვანილი, უჩვეულო ხასიათი აქვს. ეს თითქმის არის ავტოპორტრეტი მცენარისა, რომელიც თვითონ მან გადაიღო. ეს ფოტოგრაფია ასურათხატებს რადიოიზოტოპების საშუალებით მცენარეში მიმდინარე სასიცოცხლო პროცესების კვლევის მეტად ეფექტური მეთოდის — ავტორადიოფოტოგრაფიის მეთოდის გამოყენებას.

მცენარის კვების ერთ-ერთი ელემენტი, მაგალითად, ფოსფორი ინიშნება რადიოაქტიური ნიშნით, ეთქვამთ, ფოსფორის რადიოაქტიური იზოტოპით. ხვდებიან რა მცენარეში ნიადაგიდან, ფოსფორის იზოტოპის რადიოაქტიური ატომები თავს იყრიან ღეროსა და ფოთლების იმავე უბნებში, სადაც ჩვეულებრივი ფოსფორი. რადიოაქტიობას უნარი აქვს — შეგავლენა მოახდინოს ფოტოფორფიტზე. ამიტომ, თუ მცენარეს ფოტოფორფიტზე მივაღებთ, მასზე გაჩნდება გამოსახულება, რომელშიც სინათლისა და ჩრდილების ნაცვლად, მკაფიოდ გამოჩნდება ფოსფორის განაწილება მცენარის ორგანიზმში. ჩვენს სურათზე ნათელი ადგილები აღნიშნავს ფოსფორის განაწილებას პამიდორის ახალგაზრდა მცენარეში, იგი ყველაზე მეტია ფოთლებში და ფესვებში.

ეს მხოლოდ ერთ-ერთი მძლავრი მეთოდია მრავალთაგან რადიოაქტიური იზოტოპების გამოყენებისა მცენარეთა სიცოცხლის შესასწავლად.

გასულ წელს 30-ზე მეტმა სამეცნიერო დაწესებულებამ ფართო მასშტაბით ჩაატარა ცდები ნიშანდებული სუპერფოსფატი ფოსფორის სასუქების ნიადაგში შეტანის ყველაზე უფრო ხელსაყრელი ხერხებისა და ვადების დასადგენად. მიღებულია უფრო სა-

რწმუნო მონაცემები მცენარების მიერ ფოსფორის შეთვისების რაოდენობისა და ტემპების შესახებ სხვადასხვა სიღრმეზე ჩაბურვისა, ნიადაგში სასუქების სხვადასხვა განლაგების ღრისა და სასუქების გამოყენების რიგ სხვა საკითხებზე.



ცნობილი საბჭოთა ბიოლოგი აკადემიკოსი ა. ლ. კურსანოვი ამბობს:

უკვე ახლა, როცა ჩვენ, არსებითად, მხოლოდ ვიწყებთ რადიოაქტიური იზოტოპებში, როგორც მცენარეთა სიცოცხლის შესწავლის მეთოდში, არსებული პრაქტიკული შესაძლებლობების გამოყენებას, ჩვენ შეგვიძლია კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ ამ მეთოდმა შესძლო ჩვენი ქვეყნისათვის მოკლე ხანში აღმოჩინა სერვისული ვაკლენა მიწათმოქმედების განვითარებისა და წესების გაუმჯობესებაზე.

რადიოაქტიური იზოტოპების მეშვეობით საბოლოოდ გადაჭრილია გრანულირებული სასუქების გამოყენების ეფექტიურობის საკითხი, რამაც ერთბაშად ფართო გზა გაუხსნა მცენარეთა კვების ამ ხერხს, რომელიც ახლა უფრო მეტის წარმატებით გამოიყენება საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში.

ასეთივე გადაჭრილი გარდატეხის მიღწევა რადიოაქტიური იზოტოპების საშუალებით მოხერხდა დამატებითი კვების გამოყენების მიმართ, რომლის მიზანშეწონილობას დიდი ხნის განმავლობაში უარყოფდნენ. ახლა ეს ხერხი ჩვენში წარმატებით გამოიყენება მრავალ ათას ჰექტარზე, სახელდობრ, იმ კულტურების მიმართ და ევგენაციის იმ პერიოდებში, როცა არაფესვის საშუალებით კვებას მაქსიმალური ეფექტის მოცემა შეუძლოა.

რადიოაქტიურმა იზოტოპებმა აგრეთვე უჩვენეს უფრო ეკონომიური და მასთან ერთად — სასუქების უფრო ეფექტური გამოყენების საშუალება მცენარეთა კვებისათვის, რამაც გამოიწვია რიგი რაციონალური ცვლილებები ნიადაგის დამუშავებაში, სათესი მანქანების გაუმჯობესება და სხვა ღონისძიებები, რომლებიც სწრაფად შედის ჩვენი ქვეყნის მიწათმოქმედების პრაქტიკაში.

მაგრამ ამით კიდევ არ ამოიწურება ის უფართოესი შესაძლებლობები, რაც იშლება ბიოლოგებისა და აგრონომების წინაშე, რომლებიც ატომური ენერჯიას მშვიდობიანი მიზნებისათვის იყენებენ. რადიოაქტიური იზოტოპების საშუალებით ჩვენ ახლა შეგვიძლია ვაყილებით ღრმად ჩაეწვდეთ მცენარეთა ცხოველმომქმედების კანონებს—იმ ანგარიშით, რომ მკაფიოდ გავაშუქოთ სოფლის მეურნეობის მუშაკების წინაშე გზა მაღალი და მტკიცე მოსავლის მისაღებად.

## საწარმოო პროცესების გაუმჯობესების მძლავრი საშუალება

... ბატარა წყარო მოთავსებული მოძრავ ფოლადის ლენტს ზემოთ, სპეციალურ მოწყობილობაში, გზავნის ქვევით გარკვეული სიმძლავრის მიმართულ კონას. კო-

ნის სიმძლავრე იზომება ლენტს ქვემოთ დადგმული მთვლეელი მოწყობილობით. ლითონი ძლიერ წითანთქვან რადიაქტიურ სხივებს. გასაგლინავი ფოლადის ლენტის სისქის მცირედი ცვლილებაც კი ციხის გამოსივების სიმძლავრეს, რომელიც მიმდებ მოწყობილობაში ხვდება და ხელსაწყოს სარეგისტრაციო მოწყობილობაში აღირიცხება.

ასე, ამრიგად, ატომური ენერჯის საშუალებით ქარხანა „ზაპოროჟსტალში“ წარმოებს ფოლადის ლენტის სისქის კონტროლს ნაწილზე — ხელსაწყოსა და გასაგლინავ მასალას შორის უშუალო კონტაქტის გარეშე.

უკონტაქტო იზოტომური მიკრომეტრების დანერგვა ქარხანა „ზაპოროჟსტალში“ საშუალება მოგვცა გავყვედიდებია გაზომვათა სიზუსტე, შეამცირა ხელსაწყოთა დაზიანების საფრთხე დგანების ბუშაობის დროს. ეს ხელს უწყობს დგანის მწარმოებლობის გადიდებას, ვინაიდან საჭირო აღარ არის ლენტის გლინვის შენელება კონტაქტური ტიპის ძველი კონსტრუქციის მიკრომეტრის დასაბჯამად ან ზოლის სისქის გასაზომად ხელით.

რადიაქტიური იზოტომები გამოყენებულია წარმოების სხვა დარგებშიც — ხელს უწყობს უფრო ღრმად გარკვევას მეტალურგიული პროცესების კინეტიკაში, ლითონებში დიფუზიის პროცესში და ასე შემდეგ.

ქარხანაში რადიაქტიური იზოტომების გამოყენების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მკვლევარ-მეტალურგების ხელში ისინი წარმოადგენენ მძლავრ საშუალებას საწარმოო პროცესების გაუმჯობესებისათვის და პროდუქციის — თუჯის, ფოლადის, ნავთობის ხარისხის ამაღლებისათვის.

## გამმა-დეფექტოსკოპები მრეწველობაში

ლითონში შინაკანი დეფექტების აღმოსაჩენად იხმარება ლითონის კონსტრუქციების რენტგენული გასუქება.

მაგარი რენტგენული აპარატები დიდი ზომისაა და მათი გამოყენება მონტაჟის ადგილზე, მშენებლობაზე და სხვ. ძნელია. ლითონების გასუქებისათვის უფრო მოხერხებულია აპარატები, რომლებშიც რენტგენული მილაკი შეცვლილია რადიაქტიური კობალტის ნაჭრით, რომელიც მძლავრი გამჭოლი უნარის მქონე გამმასხივებს გამოჰყოფს.

ჩვენს მრეწველობაში დეფექტოსკოპის მიზნებისათვის იხმარება აპარატი „ГВП-0.5“ და „ГВП-50“.

აპარატი „ГВП-50“ დანიშნულია სამრეწველო დეფექტოსკოპისათვის სტაციონარულ პირობებში.


აპარატის გადასადგილებელი მექანიზმი, აგრეთვე ელექტრული მოწყობილობა მისი მართვისათვის დამონტაჟებულია ურიაკაზე და მოქმედებაში მოდის მანძილზე მართვის გადასატანი პულტის საშუალებით.

ქარხანაში „ზაპოროჟსტალ“ წელიწადზე მეტია გამოყენებულია მოძრავი დეფექტოსკოპური დანადგარი რადიაქტიური კობალტის წყაროთი. ამ დანადგარის მცირე ზომის მიუხედავად, იგი საშუალებას იძლევა გააშუქონ სამილიმეტრამდე სისქის ფოლადისა და თუჯის ნაწარმები, ე. ი. ორჯერ უფრო სქელი, ვიდრე რთული სამრეწველო მიზნებისათვის დანიშნული რენტგენული აპარატი შეიძლება გაშუქდეს.

## ადამიანის ჯანმრთელობისათვის

საუბარი სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ფიცი-პრეზიდენტთან ა. გ. კოტოკოვთან

ატომური მრეწველობის განვითარებამ ფართო შესაძლებლობები შექმნა ხელმოწერილ რადიაქტიური იზოტომების გამოყენებისათვის მედიცინაში.



ავადმყოფის მოსივება როტაციულ საცენტრში „გულ-400“ აპარატის საშუალებით

საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად ფართოდება ქსელი სამკურნალო დაწესებულებებისა, რომლებიც სარგებლობენ მკურნალობისა და დიაგნოსტიკის ახალი მეთოდებით, რომლებიც უზრუნველყოფილია დოზიმეტრიული აპარატურით, რადიოლოგიური მოწყობილობით და სისტემატურად მარაგდება რადიოიზოტომებით. ყოველთვე ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში იგზავნება 1500-მდე ამათი იზოტომებით.

რადიაქტიურმა იზოტომებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მოიპოვეს ავთვისებიანი და კეთილთვისებიანი წარმონაქმნების, სისხლწარმოქმნელი ორგანოების ზოგიერთი დაავადებების სამკურნალოდ, აგრეთვე დერმატოლოგიაში. სხვადასხვა რადიაქტიური იზოტომებს შორის, რომლებითაც სარგებლობენ სამკურნალო მიზ-

წებისათვის, ყველაზე დიდ როლს თამაშობს კობალტი, ფოსფორი, იოდი, ოქრო. განსაკუთრებით ფარ-ოოდ გამოიყენება რადიოაქტიური კობალტი — როგორც პრეპარატების სახით, რომლებიც შეიცავენ 1-დან 30 გრამამდე რადიოაქტიურ კობალტს და გამოიყენება ზედაპირზე განლაგებული სიმსივნეების (კანის, კუნთების, ენის) სამკურნალოდ. აგრეთვე გამოიხივების მძლავრ წყაროებად გამამაპარატებში.

ჩვენ ქვეყნის ონკოლოგიურ ინსტიტუტებში და საავადმყოფოებში გამოყენებულია რამდენიმე ტიპის გამამაპარატები ტელურადიუმით თერაპიისათვის, რადიოაქტიური კობალტის სხვადასხვა მუხტით, რომლებიც ძირითადად გამამა-სხივებს ასხივებენ აპარატების უკანასკნელი კონსტრუქციები ატარებენ სახელწოდებას „ГVT“ (თერაპევტული გამამა-დანადგარი). კობალტის მუხტი მათში თავის სამკურნალო ეფექტს რიგი წლების განმავლობაში ინარჩუნებს.

„ГVT-400“-ის საშუალებით, ოთხასი გრამი რადიუმის ეკვივალენტური კობალტის მუხტით მკურნალობენ ავადმყოფებს ფილტვების, შუასაყარის, საყლაპავი მილის სიმსივნეებით, ძვლებისა და რბილი ქსოვილების სარკომით. ეს აპარატი საშუალებას იძლევა მოსხივდეს დაზიანების კერა, რომელიც იმყოფება 10—15 სანტიმეტრის სიღრმეზე. აპარატის საშუალებით შეიძლება განხორციელებულ იქნეს თერაპიის როტაციული მეთოდი, რომლის დროსაც ავადმყოფი ზის სპეციალურ სა-

ვარძელში და ნელა ბრუნავს თავისი ღერძის გარშემო აპარატის უძრავად დადგმული ტუბუსის წინ. მკურნალობის ამ მეთოდით სარგებლობის დროს გამოსხივების დოზის განაწილება ავადმყოფისათვის ყველაზე ხელსაყრელად მიმდინარეობს.

2-5 სანტიმეტრის სიღრმეზე მყოფი სიმსივნეების სამკურნალოდ განკუთვნილია აპარატი „ГVT-20“ 20 გრამი რადიუმის ეკვივალენტური კობალტის მუხტით. ეს აპარატი იხმარება ხორხის კიბოს, სარძევე ჯირკვლის და სხვა ფორმის სიმსივნეთა სამკურნალოდ.

გამამა-თერაპიის დროს, ისე როგორც რენტგენოთერაპიის დროს, არსებითი როლს თამაშობს მოსხივების დოზა. არსებობს რამდენიმე რადიოტექნიკური ხელსაწყო, განკუთვნილი დოზირების კონტროლ-


ლისათვის. გამოიხივება აღირიცხება საიონიზაციო კამერების საშუალებით. მათი დანამარებით შეიძლება გაიზომოს დოზები როგორც მოსასხივებელი კანის ზედაპირზე, ისე სიღრმეში.

აღამიანზე მიონიზებული რადიაციის მავნე გავლენის თავიდან ასაცილებლად საბჭოთა კავშირში საკანონმდებლო წესით დადგენილია მოსხივების დასაშვები დოზები და ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები რადიოაქტიური ნივთიერებებისა სამუშაო სადგომების ჰაერში. გამოიყენება უაღრესად ნაირგვარი დამცავი საშუალებები. სპეციალური სამუშაოებისათვის სადგომებში, რომლებიც გაჭუჭყიანებულია რადიოაქტიური ნივთიერებით, საბჭოთა კავშირში, კერძოდ, იხმარება სპეციალური დამცავი კოსტიუმები ჰაერის იძულებითი მიწოდებით.

### ნაწარმის რადიოაქტიური მთვლეელი

ნელა მოძრაობს საქარხნო კონვეიერი. მასზე ერთნაირი ნაწარ-


მთვლეელი გამოიყენებით რადიოაქტიური მთვლელები. ახალი ხელ-



რადიოაქტიური მთვლეელი რიგის ლუდის ქარხნის კონვეიერზე

მების დიდი რაოდენობა აწევიან. მათ დათვლა უნდა. რიგის ერთ-ერთ ქარხანაში ამ მიზნით გადაწ-

საწყო აღნიშნავს კონვეიერის მოძრავე საგნებით რადიოაქტიური გამოსხივების შეწყვეტათა რიცხვს.





## ბრიგოლ მინეილის-ქი მუხაძე

თ. სააქაშვილი

მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიისა და მედიცინის მეცნიერებათა განყოფილების წყაღული მდივანი

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი გრიგოლ მინეილის-ქე მუხაძე დაიბადა 1879 წ. თბილისში, დარბი მისამსახურის ოჯახში. დაწყებითი სწავლა მიიღო თბილისის სასულიერო სასწავლებელში. 1896 წელს, სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, მუხაძე დიდი მატერიალური გაჭირვების მიუხედავად შედის სასულიერო სემინარიაში, პირველი ხარისხით ამთავრებს მას 1902 წელს და ნაცნობების დახმარებით მოგროვილი მცირეოდენი ფულით მიემგზავება ტომსკის უნივერსიტეტში სამედიცინო ფაკულტეტზე შესასვლელად. აქ იგი წარმატებით აბარებს გამოცდებს და ირიცხება სტუდენტად.



ტომსკის უნივერსიტეტი, ციმბირის პირველი უნივერსიტეტი, 1888 წელს იყო გახსნილი, პირველად—მხოლოდ სამედიცინო ფაკულტეტის შემადგენლობით, რომელიც შემდეგში, 1930 წელს, უნივერსიტეტს სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სახით გამოეყო. ტომსკის სტუდენტთა უმრავლესობის საარსებო წყაროს წარმოადგენდა კერძო გაკეთილები და სტიპენდია, რომელსაც სხვადასხვა საზოგადოებანიშნავდა. გრიგოლ მუხაძე პირველ წელს კერძო გაკეთილებით ცხოვრობდა, ხოლო შემდეგ მას სტიპენდია დაუნიშნეს.

ახლა, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ჩვენი მეცნიერების სრული გაფურჩქვნისა და აყვავების პერიოდში, როდესაც მთელი ჩვენი ქვეყანა მოფენილია საუკეთესოდ მოწყობილი უმაღლესი სასწავლებლებით და თვით ტომსკის უმაღლესი სასწავლებლები მძლავრი ინდუსტრიალური ციმბირის სიამაყეს წარმოადგენს, თანამედროვე თაობას დაუჩვრებლად მოეჩვენება ის, რასაც კეთილუბობ

ტომსკის უნივერსიტეტის მოაზრებაში (Известия императорского Томского университета): „უნივერსიტეტის შენობა და დამხმარე შენობები მეტად ვიწრო და უსუფთაოა. მთელი უნივერსიტეტის ჰაერი მოწამლულია მძიმე და შემაწუხებელი სუნით... საავადმყოფო, სადაც მოთავსებულია უნივერსიტეტის ჰოსპიტალური კლინიკები, რაღაც საშინელებას წარმოადგენს... აქვე იმყოფება ქირურგიული ჰოსპიტალური კლინიკა—დაბალი, ნახევრადბნელი საოპერაციო ოთახით. საავადმყოფოს ასეთ კლინიკურ განყოფილებებში თავადინებოა გარკვეულ თავგანწირვას მოიხოვს...“

ტომსკის უნივერსიტეტის პროფესორთა მოწინავე ნაწილი ბევრს ცდილობდა სტუდენტობის ცხოვრებისა და სწავლის პირობების გაუმჯობესებას, მაგრამ ცარიზმის დროს რამდენიმე მოწინავე ადამიანი ბევრს ვერაფერს გააკეთებდა ამ მიმართულებით.

ტომსკის უნივერსიტეტში მოღვაწეობდნენ რუსული მედიცინის ისეთი წარმომადგენლები, როგორც იცენ ა. კულაბკო, ა. სმირნოვი, ნ. როგოვიჩი, პ. ტიხოვი, ვ. მიში და სხვა სახელოვანი მეცნიერები, რომლებსაც გრიგოლ მუხაძე მთელი სიცოცხლის განმავლობაში სიყვარულისა და მძღოლის გრძნობით ივონებდა.

ა. კულაბკო იყო ის ფიზიოლოგი, რომელმაც პირველმა გააცოცხლა ადამიანის გემიდან სიკვდილის რამდენიმე საათის შემდეგ ამოკვეთილი გული. ა. სმირნოვი ქსოვილებსა და ორგანოებში ნერვული დაბოლოებების შესწავლის ფუძემდებელია. ნ. როგოვიჩი „...იყო ნიჭიერი გაბნეული ქირურგი, რომელმაც პირველმა რუსეთში გააკეთა მენჯის ნახევრის რეზექცია ბარძაყთან ერთად... ქირურ-

გის საუბედროდ, იგი ძალიან ადრე გარდაიცვალა...“ (ტურდენკო). პ. ტიხომეა, ქირავთული სკოლის ფუძემდებელმა ციმბირში, პირველმა დაწერა რუსულ ენაზე კერძო ქირურგიის სამტომიანი სახელმძღვანელო, რომელიც შეიცავდა ყველა ღირსშესანიშნავ მიღწევას ქირურგიის დარგში. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გაუტყვარებებს, კერძოდ, ზურგტვინის ანესთეზიის საკითხს, რომელიც საუკეთესოდ იყო შესწავლილი ტომსკში და შემდგომ საქართველოში გადმოტანილი და გამოყენებული გრიგოლ მუხახის მიერ.

მოკლედ შევიჩრდებთ აგრეთვე პროფესორ ვლადიმერ მიხეილის-ბე მიწვევას, რომელმაც, გრიგოლ მუხახის სიტყვით, დიდი გავლენა იქონია მისი, როგორც ექიმისა, პედაგოგისა და მეცნიერის ჩამოყალიბების საქმეში.

იგი ეკუთვნოდა XIX საუკუნის იმ მოწინავე რუს მეცნიერთა რიგებს, რომლებიც ღრმად გრძნობდნენ მედიცინაში პროფილაქტიკური მიმართულების აუცილებლობას.

ვლადიმერ მიშმა ჰერ კიდევ 1901 წელს, როდესაც იგი, 28 წლის პროფესორი, ტომსკის უნივერსიტეტის საექტრ დარბაზში ტრადიციის თანახმად საზეიმო ვითარებაში კითხულობდა შესავალ ლექციას, თქვა: „...და თუ მედიცინის საბოლოო მიზანი მკურნალობა კი არა, არამედ დაავადების პროფილაქტიკაა, თქვენ გაიგებთ ჩემს სურვილს ზოგიერთი პროფილაქტიკური მითითების მიტევისას...“, მაგრამ მეფის რუსეთში, სადაც წარმოებდა მშრომელთა ექსპლუატაცია გაბატონებული კლასების მიერ და არაერთი ყურადღება არ ექცეოდა მათი შრომისა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, ეს მიმართულება მედიცინაში, რასაკვირველია, ვერ განხორციელდებოდა, მიუხედავად ცალკეული პირების ცდისა. ჰუმანური მედიცინის პროფილაქტიკური მიმართულება დამახასიათებელია საბჭოთა მედიცინისათვის. იგი ხორციელდება საბჭოთა ქვეყანაში, სადაც მშრომელთა ჯანმრთელობისათვის თვით სახელმწიფო ზრუნავს.

მუხახის ცხოვრება სტუდენტობის წლებში არ იზღუდებოდა მხოლოდ სწავლით: იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

როგორც ცნობილია, 1903 წ. ტომსკში ადგილი ჰქონდა მუშათა დემონსტრაციას, რომელიც დამთავრდა პოლიციასთან შეტაკებით. დემონსტრაციის მონაწილეთა მიმართ მიღებული იყო მკაცრი რეპრესიული ზომები. დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის მუშებთან ერთად საბოცდაით სტუდენტიც იყო დაპატიმრებული. მეფის მთავრობის სასტიკი რეპრესიების საპასუხოდ, პოლიციის მხეცური მოქმედების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ტომსკის უნივერსიტეტში ჩატარდა სტუდენტთა შეკრებები. ეს შეკრებები, რომლებშიც გ. მუხახიც მონაწილეობდა, რამდენიმე დღის განმავლობაში

გრძელდებოდა და იყო დღე, როდესაც სტუდენტთა მულეზარებების გამო უნივერსიტეტში ერთი ლექცია არ ჩატარებულა. უნივერსიტეტში შემოთავაზებულმა ადმინისტრაციამ ამ კრებებში მონაწილე სტუდენტები სასამართლოს გადასცა, მათ შორის გ. მუხახიც იყო.

1908 წ. მუხახემ წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტი, რის შემდეგ იგი ორდინატორად დატოვებ იქვე — საფაკულტეტო ქირურგიის კლინიკაში. აქ მან ვ. მიშის ხელმძღვანელობით დაწერა რამდენიმე სამეცნიერო შრომა.

მუხახის მიერ ტომსკის უნივერსიტეტში მიღებულმა აღზრდა-განათლებამ ფართო გამოყენება პოვა მის შემდგომ დამოუკიდებელ მუშაობაში

1911 წ. გ. მუხახე ბრუნდება საქართველოში, რუსეთის მედიცინის მოწინავე მოღვაწეთა იდეებით გაიმსჯვალული და პრაქტიკულ-მეცნიერული მოღვაწეობისათვის მომზადებული. ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველოს მოსახლეობა დიდ გაკვირებას განიცდიდა, საერთოდ და, საექიმო მომსახურების მხრივ, კერძოდ. მუხახე ინაშენება ჭიათურის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგედ. „...რას წარმოადგენდა ჭიათურა 1910 — 14 წ.წ? ...მუშები უმეტესად ცხოვრობდნენ უტანელ პირობებში... ადგილობრივ სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად ყველა მაღაროსათვის (რომელიც რამდენიმე კომლექტით იყო დაშორებული ერთმანეთისაგან და ჭიათურისაგან) იყო მხოლოდ ერთი ფერწალი, რომელსაც სულელება არ ჰქონდა პირადად შეესრულებინათაივის მოვალეობა. დასახორბულ მუშას აწევდნენ უბრალო ფიცარზე ან სასწრაფოდ გაკეთებულ საკაცეზე და იმავე მაღაროს მუშებს ფეხით მიყვავდათ საავადმყოფოში...“ ასე აღწერდა მუხახე იმ მღვდობარობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა მაშინ. „...რას ჰქვდათ ეხლა იქ?—წერს იგი 1938 წელს საბჭოთა პატრიოტის კანონიერი სიამაყის გრძნობით, — მუშა-მოსამსახურეთათვის აგებულია კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები, გაფართოვდა საექიმო დახმარების ქსელი. საავადმყოფოში ორასზე მეტი საწოლია. ყველა მაღაროში და თვით გვირაბშიც კი მოწყობილია ჯანაუწყებები, სადაც დამავებული მუშა დროზე ლეხულობს დახმარებას“.

1912 წ. გ. მუხახე სამეცნიერო მიზნით მიდის პეტერბურგში სამხედრო-სამედიცინო აკადემიის პროპედევტული ქირურგიის კლინიკაში. აქ მუხახემ ერთი წლის განმავლობაში დაამუშავა და ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „სისხლის მიმოქცევის შემცირებული წრის გავლენა სისხლის სივარე წნევაზე“, რომელიც მას შესთავაზა აღნიშნული კლინიკის გამგემ — გამოჩენილმა მეცნიერმა ვ. თაბლამა.

1914 წ. მსოფლიო ომის დაწყებისთანავე მუხამე სტოვებს ქიათურას და მიემგზავრება თბილისში, სადაც იგი ყველაზე დიდი ჰოსპიტლის გამგე და ორგანიზატორია. ომის დამთავრების შემდეგ იგი კვლავ ქიათურაში ბრუნდება.

1919 წ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან დაარსდა ზოგადი ქირურგიის კათედრა, რომლის გამგედ არჩეულ იქნა პროფესორი გ. მუხამე.

1921 წ. მუხამეს ირჩევენ ჰოსპიტალური ქირურგიის კათედრის გამგედ.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თარიღი—1921 წელი ქართველი ხალხის კულტურული და ეკონომიური ალორძინების პერიოდის დასაწყისია. ცხოვრების სხვა მხარეების გაუმჯობესებასთან ერთად მკვეთრად გაუმჯობესდა ჯანმრთელობის დაცვის საქმეც. წარსულს ჩაბარდა ისეთი შემთხვევები, როდესაც სამედიცინო დაწესებულებები იკეტებოდა უსახსრობის გამო. გ. მუხამე მისთვის ჩვეული ენთუზიაზმით შეუდგა კლინიკის მოწყობას და ამ საქმეში დიდი უნარი გამოიჩინა.

1924 — 25 წწ. მუხამე სამკურნალო ფაკულტეტის დეკანი.

1924 წლიდან მისი უშუალო მონაწილეობით ტარდებოდა ქირურგიული კლინიკების კონფერენციები, ხოლო 1936 წ. მისივე ხელმძღვანელობით დაარსდა საქართველოს ექიმთა საზოგადოების ქირურგიული სექცია, რომელიც 1947 წ. ქირურგიულ საზოგადოებად გადაკეთდა. ამ საზოგადოების დაარსებიდან სიკვდილამდე მისი თავმჯდომარე იყო გ. მუხამე.

1932 წ. თბილისში არსებდა სისხლის გადასხმის სადგური, რომელსაც გ. მუხამე განაგებდა. ამისათვის საჭირო დიდიხარისა კადრების ორგანიზაციისა და რაიონებში სისხლის გადასხმის ფილიალებისა და კაბინეტების ჩამოყალიბების მიზნით გ. მუხამემ სხვა პროფესორებთან და თავის თანამშრომლებთან ერთად მთელი საქართველო შემოიარა. ისინი კითხულობდნენ ლექციებს, სადაც განმარტავდნენ სისხლის გადასხმის მნიშვნელობას, სისხლის გაცემის უვნებლობას ორგანიზმისათვის და სხვ.

1935 წ. სისხლის გადასხმის სადგური გადაკეთდა სისხლის გადასხმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტად, რომლის დირექტორად და მეცნიერულ ხელმძღვანელად გ. მუხამე დაინიშნა. ეს მოხდა რამდენიმე ხნის შემდეგ, რაც მოსკოვში დაარსდა მსოფლიოში სისხლის გადასხმის პირველი ინსტიტუტი.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობით სისხლის გადასხმის საქმის შესასწავლად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოეწყო ექსპედიციები.

1925 წ. გ. მუხამე ინიშნება ცენტრალური კლინიკური ინსტიტუტის დირექტორად.

1934 წ. და 1939 წლამდე მუხამე არჩეული იყო თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად. 1935 წ. გ. მუხამე მიწვეულ იქნა ექიმთა დამსახურების ინსტიტუტის სისხლის გადასხმის კათედრის გამგედ. მან აქაც სანიმუშოდ დააყენა საქმე და მოამზადა ბევრი ექიმი, რომლებმაც ეს ცოდნა ნაყოფიერად გამოიყენეს სამამულო ომში.

1941 წელს მას მიენიჭა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება. დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე მუხამემ სხვებთან ერთად დიდი ენერჯით და ენთუზიაზმით სწრაფად გარდაქმნა როგორც ქირურგიული კლინიკის, ისე სისხლის გადასხმის ინსტიტუტის მუშაობა, შექმნილი ვითარებით ნაკარნახევი ამოცანების შესაბამისად.

მუშაობისათვის საჭირო ყველა მოწყობილობით აღჭურვილმა ინსტიტუტმა გააცოცხლა მუშაობა, რის შედეგადაც მის მიერ დამზადებულ სისხლს განუწყვეტილად აწვდიდნენ როგორც ფრონტს, ისე ზურგს. ამასთან, თბილისში და საქართველოს ყველა რაიონში იმართებოდა ლექცია-სემინარები სისხლის გადასხმის საკითხებზე, ზოგჯერ — კინოფილმების ჩვენებითაც.

ინსტიტუტს არც ომის პირობებში შეუწყვეტია მეცნიერული მუშაობა და ყველა თავის წამოწყებას და რაციონალიზატორულ წინადადებებს მეცნიერულად ასაბუთებდა.


1944 წ. 23 იანვარს გ. მუხამეს ირჩევენ საქართველოს სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, ხოლო იმავე წლის 14 ნოემბერს — საკავშირო სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად.

1946 წ. გ. მუხამის უშუალო მონაწილეობით ჩამოყალიბდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიისა და პედაგოგიის ინსტიტუტი, რომლის ხელმძღვანელადაც გ. მუხამე დაინიშნა.

გრივლ მუხამეს კარგად ესმოდა კვალიფიციურ ქირურგთა კადრების მოზადების მნიშვნელობა და ამ ხაზით იღებდა მუშაობას ეწეოდა. მას თავის ირგვლივ შემოკრებილი ჰყავდა ახალგაზრდობა, რომელთა შორის დიდი პატივისცემა, სიყვარული და ავტორიტეტი ჰქონდა დამსახურებული და რომელთა უმრავლესობა ამჟამად წარმატებით მუშაობს ხელმძღვანელ და წამყვან, მეტად საპატიო საპასუხისმგებლო უბნებზე. იგი თვალს ადევნებდა თითოეული ექიმის ზრდას და უშუალოდ ხელმძღვანელობდა მათ მომზადებას; გარკვეული მომზადების შემდეგ იმის წინ, რაც ექიმს უკვე უნდა დაეწყო დამოუკიდებელი მუშაობა, ავალბდა უფროს ამხანაგებს, რომ ამ ექიმს რაც შეიძლება მეტი და რთული ოპერაციები გაეკეთებია (რასაკვირველია, უფროსი ამხანაგების დახმარებით).

გრივლ მუხამე თავის მოწაფეებს სიყვარულს და პატივისცემას უნერგავდა ავადმყოფისადმი —

1969



ადამიანისადმი, მოითხოვდა მის ყურადღებით, ყოველმხრივ გამოკვლევას, ოპერაციის საჭიროების საკითხის მრავალჯერ აწონ-დაწონას, ემყარებოდა რა პრინციპს, რომ ქირურგის ღირსებას წარმოადგენს არა ის, თუ რამდენი ოპერაცია აკეთა მან, არამედ ის, რამდენი არ გააკეთა ტყუილ-უბრალოდ.

გრიგოლ მუხაძე იყო ნოვატორი და ყველაფერი ახალი, რომელიც მას მიზანშეწონილად მიიჩნედა, მის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ კლინიკაში ხორციელდებოდა და ვითარდებოდა. აქ ზმირად ჩამოდიოდნენ ექიმები როგორც საქართველოს რაიონებიდან, ისე მეზობელი რესპუბლიკებიდან, მუშაობის გასაცნობად და ახალი მიმართულების ასათვისებლად. კლინიკაში არა ერთხელ ნახავდით ჩვენი კავშირის დიდ ქირურგებს, რომლებიც აკეთებდნენ რთულ ოპერაციებს, რაც ქირურგის ახალი მიღწევების დემონსტრაციის, მათი შესწავლის მიზნით სრულდებოდა.

რაიონებში მომუშავე ექიმებს იგი სისტემატურად უწევდა დახმარებას როგორც პრაქტიკულ-საექიმო საქმიანობაში, ისე მეცნიერული კვალიფიკაციის ამაღლებაში. ამ მიზნით გამოყოფილი იყო „მუხაძის დღეები“ გორში, სუხუმში, ოჩამჩირეში და სხვ. მისი ხელმძღვანელობით რაიონში მომუშავე მრავალმა ექიმმა შეასრულა სადისერტაციო შრომა და მიიბოვა სამეცნიერო ხარისხი.

არ დარჩენილა საქართველოს არც ერთი კუთხე, სადაც გრიგოლ მუხაძე არ ჩასულიყო და პირადად არ გაესინჯოს მრავალი ავადმყოფი.

ამგვარად, საქართველოს მთელ მოსახლეობას საშუალება ჰქონდა თავის საცხოვრებელ ადგილზევე მიეღო რჩევა-დარიგება და საექიმო დახმარება დიდ მეცნიერ გრიგოლ მუხაძისაგან.

საუკეთესო პედაგოგი პროფ. გ. მუხაძე უდიდეს ყურადღებას აქცევდა სტუდენტების ჯეროვანი მომზადების საქმეს.

მისი ლექციები იყო უღრესად შინაარსიანი, მრავალფეროვანი, ცოცხალი მასალით მდიდარი და ყველასათვის გასაგები. მისი მოწოდებების გადმოცემაში, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში ისმენდნენ მის ლექციებს, არც ერთი ლექცია არ ჰგავდა წარსულში ამ თემაზე წაკითხულ ლექციას: იგი შევსებული იყო ახალი მასალით, ახალი შეხედულებებით.

გრიგოლ მუხაძე იყო შემოქმედი მეცნიერი. მის კალამს ეკუთვნის 87 მეცნიერული ნაშრომი. მის შრომებს შორის ვხვდებით მრავალსაგანს: სხვა საინტერესო საკითხს, მაგრამ მისი თანამედვერუსი კვლევის საგანს მაინც ოთხი ძირითადი საკითხი შეადგენდა: უროლოგია, გაუტკივარება, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადება და სისხლის გადასხმა. ამ საკითხებს, რომლებსაც იგი მთელი მოღვაწეობის პერიოდში გულდასმით სწავლობდა, მან ბევრი შრომა მიუძღვნა და მეცნიერულად დასაბუთებული მკურნალობის პრინციპები დაუსხა.

აღსანიშნავია, რომ მუხაძემ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მონაწილეობა მიიღო ორტომიანი კვრით ქირურგიის სახელმძღვანელოს შედგენაში ქართულ ენაზე, რითაც დიდი დახმარება გაუწია ქართველ სტუდენტობას.

მუხაძის ხელმძღვანელობით დამუშავებულია 12 სადოქტორო, 30 საკანდიდატო დისერტაცია და მრავალი სხვა სამეცნიერო ნაშრომი; მის მიერ ზომიარებულია მრავალი მეცნიერი და პრაქტიკოსი ექიმი.

გრიგოლ მუხაძე სამართლიანად არის მიჩნეული მეცნიერული ქირურგიის ფუძემდებლად საქართველოში.

ძნელია მთელი იმ დამსახურების ამომწურავი ჭახასიათება, რომელიც გრიგოლ მუხაძეს მიუძღვის საქართველოს მოსახლეობისა და ჩვენი მეცნიერების წინაშე.

გრიგოლ მუხაძის მოღვაწეობა ღირსეულად შეფასდა საბჭოთა მთავრობის მიერ: იგი დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორდენით, საბატო ნიშნის ორდენით, მედლებით: „კავკასიის დაცვისათვის“ და „მამაკური შრომისათვის 1941-45 წწ.“ დიდი სამამულო ომის დროს.

გრიგოლ მუხაძე გარდაიცვალა 1948 წლის 8 ოქტომბერს, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილებით გრიგოლ მუხაძის სსოვნის უკვდავყოფის შესახებ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დაევალა მთელი რიგი ღონისძიებების გატარება.

გრიგოლ მუხაძემ თავისი უანგარო, გულისხმიერი, მეტად ენერგიული, მრავალფეროვანი და ნაყოფიერი მუშაობით პირადად შეასრულა მოქალაქის, საბჭოთა ექიმისა და მეცნიერის ვალი.



## და მის წინასწარმეტყველებაზე

კ. კოპიანიძე

გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატი

ამინდის მოვლენები უსხვაობა დროიდან იპყრობდა ადამიანის ყურადღებას, რადგან ადამიანის ბრძოლა არსებობისათვის და თვით სიცოცხლეც კი, ბევრად იყო დამოკიდებული ამინდზე. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ ამინდის არასასურველი მოვლენებისაგან თავის დაცვა აუცილებლად იწვევდა ადამიანში ამ მოვლენათა წინასწარმეტყველების სურვილს, თუმცა ოცნების საგანს და საბოლოო მიზანს ამინდზე ზემოქმედება — მასთან ბრძოლა წარმოადგენდა. მაგრამ ეს ბრძოლა განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფი ადამიანისათვის მოკლებული იყო მეცნიერულ საფუძვლებს და ეყრდნობოდა რელიგიურ ცრუმორწმუნეობას, რომელიც ბუნების ყოველგვარ მოვლენას ღმერთის ნებასურვილის გამოვლინებას მიაწერდა.

მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონე საფუძვლიან წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ რით არის გამოწვეული ამინდის ესა თუ ის მოვლენა, ან როგორ შეიძლება ვაწარმოთ ამ მოვლენათა წინასწარმეტყველება.

მოსალოდნელი ამინდის წინასწარ გაგებას, როგორც ცნობილია, დიდი მნიშვნელობა აქვს სახალხო მეცნიერების მთელი რიგი დარგების მომსახურების საქმეში.

ძნელად მოიძებნება მეურნეობის ისეთი დარგი, რომელზედც გავლენას არ ახდენდეს ამინდის მოვლენები, როგორც არის: წვიმა, თოვლი, ყინვები, ქარები და სხვ., განსაკუთრებით მამის, როდესაც ადგილს აქვს ამ მოვლენათა იშვიათ შემთხვევებს: უხვი ნალექების, ქარიშხლების, ამინდის წინასწარმეტყველებას ძლიერი ყინვების, სეტყვის ან

სხვა სახით. ასეთი მოვლენები ყოველწლიურად უდიდეს ზარალს აყენებს მეურნეობის სხვადასხვა დარგებს და განსაკუთრებით სოფლის მეურნეობას.

ჩვენში ცარიზმის დროს მეტეოროლოგიურ სადგურთა რიცხვი ერთეულებით და ათეულებით განისაზღვრებოდა.

განსაკუთრებული განვითარება ამ ქსელმა მოიპოვა საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში და ახლა მათი რაოდენობა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ათასეულებს აღწევს. ათასობით დამკვირვებლები აწარმოებენ განუწყვეტელი, ყოველდღიურ დანვირებებს ამინდის ყოველგვარ მოვლენებზე, ხმელეთზე თუ ზღვეზე, ყინულოვან ოკეანეში თუ მიუვალ უდაბნოებში და მალაშითან ადგილებზე. ამ მიზნით მოქმედებენ აგრეთვე მრავალი თვითმფრინავები, ბირთვ-ზონდები, რადიო-ზონდები და სხვა, რომლებიც აღჭურვილი არიან ზუსტი ხელსაწყო-იარაღებით და ყოველდღიურად ზეგარევენ დედამიწის ატმოსფეროს ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიმართულებით.

სპეციალური დებეშები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს ჰაერის წნევასა და ტემპერატურაზე, ქარის მიმართულებასა და ძალაზე, ტენიანობისა და ნალექების რაოდენობაზე და სხვა მრავალ ატმოსფერულ მოვლენებზე (ელქექი, ქარბუქი, სეტყვა, ნისლი და სხვ.), ყოველდღიურად თავს იყრის მეტეოროლოგიურ ცენტრებში. ამ მონაცემებით შედგენილი სპეციალური — ე. წ. სინოპტიკური რუკების დათვალიერების საფუძველზე აწარმოებენ წინასწარმეტყველებას ამ ანუ თუ იმ ადგილისათვის.

რას წარმოადგენს სინოპტიკური რუკები?

სინოპტიკური რუკები, ეს ისეთი რუკებია, რომლებზედაც ჰაერობითი ნიშნებით დატანილია მეტეოროლოგიურ სადგურთა ერთდროულ დაკვირვებათა მონაცემები — წნევა, ტემპერატურა, ქარები, ნალექები და სხვ. ასეთი რუკები ჩვეულებრივად დგება ყოველ 6 საათში დიდი ტერიტორიისათვის (აზიის, ევროპის და სხვ.) და იძლევა საშუალებას განვიხილოთ ერთსა და იმავე დროს ამინდის მდგომარეობა ამ ტერიტორიის სხვადასხვა ნაწილში. თანმიმდევრებით შედგენილი სინოპტიკური რუკები გვიჩვენებს, თუ როგორ ვითარდებოდა ამინდის ესა თუ ის პროცესი გარკვეული დროის განმავლობაში.

მეცნიერებს, რომელიც ამინდის წინასწარმეტყველებას აწარმოებს, სინოპტიკა ეწოდება. სინოპტიკა ერთ-ერთი ნაწილია მეტეოროლოგიისა, რომელიც დედამიწის ატმოსფეროს ფიზიკურ მოვლენებს შეისწავლის.

ამინდის მოვლენების ფიზიკური არსის შესწავლის საქმეში, საბჭოთა კავშირში, აღსანიშნავია ნალექების წარმოშობი მიზეზების გარკვევა, რომელიც ჩატარებული იქნა თეორიული და ექსპერიმენტული გზით. მიღებულია ხელოვნური ნისლი და წვიმის წარმოების (ღრუბლები) ხელსაწყო-იარაღების საშუალებები. კერძოდ, ხელოვნური წვიმის წარმოშობის ცდები მყარი ნახშირორქანგის („მშრალი ყინული“) გამოყენებით ჩატარებულ იქნა ჩვენში უფრო ადრე, ვიდრე საზღვარგარეთ.

შესწავლილ იქნა აგრეთვე მზის ბინჯური ენერჯის გავლენა

დედამიწის ზედაპირსა და მის ატმოსფეროზე და ამ უკანასკნელის ცირკულაციური პროცესების სხვადასხვა სიმაღლეზე, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ატმოსფერული პროცესების, ჰაერის მასების მოძრაობის მექანიზმის გამოარკვევისა და მისი წინასწარმეტყველების საქმეში.

ჰაერის მასები თავის მოძრაობის დროს გადაინაცვლებენ ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ, ზღვებიდან ხმელეთზე, ან შებრუნებით, და თან გადააქვთ თავისი დამახასიათებელი ნიშნები (სიცხე ან სითბო, ნალექები ან სიმშრალე და სხვ.) იმისა მიხედვით, თუ საიდან მოძრაობს ესა თუ ის მასა.

თავისი წარმოშობის კერებით და ფიზიკური თვისებებით (ტემპერატურა, ტენიანობა, ღრუბლიანობა, ნალექები და სხვ.) ჰაერის მასებს ასხვავებენ ერთიმეორისაგან.

გეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ძირითადად გამოყოფენ: არქტიკულ მასას, პოლარულ მასას, ტროპიკულ მასას და ეკვატორულ მასას, რომელნიც თავის მხრივ იყოფა ზღვისა და კონტინენტურ მასებად; თერმოდინამიკური თვალსაზრისით ჰაერის მასები შეიძლება წარმოვიდგინოთ ორი სახით: თბილი და ცივი.

ჩვეულებრივ ჰაერის ძირითად მასებს ჰორიზონტალურად ათავსებენ კვ. კილომეტრის სივრცე უშირავს.

ამინდის წინასწარმეტყველება, ანუ, როგორც ამბობენ, პროგნოზი, ძირითადად ორი სახისაა: მოკლევადიანი (ერთი-ორი დღის) და გრძელვადიანი (რამდენიმე დღის, თვის ან სეზონის).

ყოველი ამ სახის პროგნოზის შედგენას თავისებური, ერთიმეორისაგან განსხვავებული მეთოდები უღვევს საფუძვლად. ზოგი მათგანი დღესათვის მოძველ-

ბულად ითვლება და ზოგიც კიდევ — ხმარებაშია.

იმისათვის, რომ წარმოვადგინოთ ვიწრობით პრინციპებზე, რასაც ეყრდნობა ამინდის წინასწარმეტყველების საქმე ჩვენში, შევხედოთ დავეყრდნობოთ შეცნობების თანამედროვე მიღწევების საფუძველზე დამყარებული ამინდის მოკლევადიანი პროგნოზის მეთოდის ზოგადი განხილვით.

ზემოთ ჩვენ შევხვებთ ატმოსფეროს ზოგადი ცირკულაციის და ჰაერის ძირითადი მასების თავისებურებას. ახლა განვიხილოთ ის ძირითადი ე. წ. სინობტიკური ობიექტები — ფრონტები, ციკლონები და ანტიციკლონები, რომელნიც შემოსენებული მასების ურთიერთმოქმედებით წარმოიშობება და რომელთაც თავისებური სტრუქტურა, მოძრაობის მიმართულება, სიჩქარე, ამინდის მოვლენები და საერთოდ განვითარების პროცესი ახასიათებს.

**ფრონტები**

ორი სხვადასხვა თვისების მქონე ჰაერის მასების გამყოფ ზონას ფრონტალური ზედაპირი ეწოდება. ეს ზედაპირი ჩვეულებრივად სივრცეში წარმოადგენს დახრილ ზედაპირს, რადგან ცივი მასა თავისი სიმკვრივის გამო მოქცეულია თბილის ქვემოთ. იმ ხაზს, რომლის გასწვრივ ფრონტალური ზედაპირი დედამიწის ზედაპირს გადაკვეთს, ფრონტალურ ხაზს ან უბრალოდ ფრონტს უწოდებენ.


ასეთი გამყოფი ზედაპირები ძირითად მასებს შორის მთავარი ფრონტების სახელწოდებით არის ცნობილი. ასეთებია: 1) არქტიკული ფრონტი — არქტიკულ და პოლარულ მასათა

შორის; 2) პოლარული ფრონტი — პოლარულ და ტროპიკულ მასათა შორის; 3) ტროპიკული ფრონტი — ტროპიკულ და ეკვატორულ მასათა შორის.

მოძრაობის მიმართულების მიხედვით ფრონტები შეიძლება დავყოთ ორ ტიპად: 1) თბილი ფრონტი — თუ ფრონტი მოძრაობს ცივი ჰაერის მიმართულებით და მისი გველა იწვევს დათბობას და 2) ცივი ფრონტი — თუ ფრონტი მოძრაობს თბილი ჰაერის მიმართულებით. და მისი გველა იწვევს აცივებას.

არსებობს აგრეთვე ე. წ. მემორადი ფრონტები, რომელნიც ძირითად მასებს კი არ გამოყოფენ ერთიმეორისაგან, არამედ წარმოადგენენ გამყოფ ზედაპირებს ერთგვაროვანი მასის შიგნით, მაგალითად, ზღვის პოლარულ მასასა და კონტინენტურ პოლარულ მასათა შორის. ასეთ ფრონტთა ტიპს შეიძლება მივაკუთვნოთ, მაგალითად, ე. წ. ოკეანური ფრონტი, რომელიც წარმოადგენს თბილი და ცივი ფრონტების გაერთიანებას (კომპლექსურ ფრონტს).

მთავარ ფრონტებს, ჩვეულებრივ უჭირავს დედამიწის კონტინენტების (ევროპის, აზიის სხვათა) დიდი ნაწილი. იმის გამო, რომ ჰაერის მოძრაობის მიმართულება და სიჩქარე მის სხვადასხვა ნაწილში არათანაბარია, ფრონტალური ხაზიც ტალღისებურად არის მიმოხრილი. ერთი ასეთი ტალღა, დასაწყის სტადიაში, მოცემულია პირველ ნახ.ზე.




ნახ. 1. ფრონტალური ტალღა

ამ ტალღის ერთ ნაწილში მეტ აქტიურობას იჩენს ცივი მასა, რომელიც სოლისებურად შემოიჭრება თბილი მასის ქვევით და მიიწევს თბილი მასის მიმართულებით (ცივი ფრონტი), ხოლო მეორეში — მეტად აქტიურია თბილი მასა, რომელიც მიიწევს ცივი მასის მიმართულებით და ამევე დროს ვრცელდება ცივ მასაზე ზევიდან (თბილი ფრონტი).

ასეთი ტალღები, რომელნიც მთავარ ფრონტებზე წარმოიშვება, თანდათან ვითარდება და იქცევა ციკლონურ სისტემად. მათ თავისი წარმოშობის, განვითარებისა და დაშლის ისტორიული სტადიები ახასიათებს; ანტიციკლონები წარმოიშვება და მოქმედებს ციკლონების ზურგში.

**ციკლონები და ანტიციკლონები**

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ციკლონები და ანტიციკლონები, ფრონტებთან ერთად, მიეკუთვნება იმ ძირითად სინოპტიკურ ობიექტებს, რომლებიც ატმოსფეროს ცირკულაციას ქმნიან და რომელთაც მეტეოროლოგიურ ელემენტთა (წნევის, ტემპერატურის, ნალექების, ქარების და სხვა) და საერთოდ ამინდის თავისებური რეჟიმი ახასიათებს.



**პროგნოზითი ნიშნები**

☄☄ თანხმა ნალექები	☄☄ მყვნი ნალექები	→ ცივი შაქრის მოძრაობა
☄☄ ნალექების ზონა კოვ შაქრში	☄☄ თბილი ფრონტი	→ თბილი შაქრის მოძრაობა
☄☄ ნალექები აბივი შაქრში	☄☄ ცივი ფრონტი	→ ღება ღრუბლების წინა საზღვარი

ნახ. 3. ციკლონის აგებულება და ამინდი

ციკლონებს, ანუ დაბალი წნევის არეებს, ჰერის წნევის ისეთ სისტემას უწოდებენ, რომლის ცენტრში წნევა უმცირესია, ხოლო ყოველმხრივ პერიფერიებისაკენ მატულობს.

ამინდის მოვლენების თავისებურების მიხედვით ციკლონი (ქარები) ციკლონში მიმართულია პერიფერიებიდან ცენტრისაკენ და ამავე დროს ხდება საათის ისრის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით (ნახ. 2).

როგორც ამ ნახ-დან ჩანს, სხვადასხვა მხრიდან მოსული ჰაერი ციკლონში ხვდება ერთიმეორეს, რის გამოც ციკლონის ცენტრში ჰერის აღმავალ დინებას აქვს ადგილი. ჰერის აღმავალი დინება კი ხელს უწყობს ღრუბლიანობისა და ნალექების წარმოშობას. ამიტომ ციკლონები ღრუბლიანობით და ნალექებით ხასიათდება.


რადგან ციკლონის წარმოშობა შედგება ტალღისებური არევისა რასაც ჩვეულებრივ ადგილი აქვს მთაწარ ფრონტებზე, ის აგებულია ამ ტალღის თბილი და ცივი ფრონტის ნაწილებზე. ამ ციკლონში (განსაკუთრებით ფრონტების მდებარეობა განისაზღვრავს ამინდის სხვადასხვა-ერ ქარებს.

ამინდის მოვლენების თავისებურების მიხედვით ციკლონი შეიძლება მიახლოებით სამ ძირითად ნაწილად დაყოფთ:


1) ამინდი თბილი ფრონტის წინ, რომელიც ხასიათდება უმთავრესად ღება სახის ღრუბლებით, ხანგრძლივი ნალექებით, რომლის ზონა 300 — 400 კილომეტრს აღწევს;

2) ამინდი თბილ სექტორში (ცივ და თბილ ფრონტს შუა), რომელიც ხასიათდება ნისლივით და მცირე ნალექებით;

3) ამინდი ცივი ფრონტის ზურგში, რომელიც ხასიათდება გროვა და გროვა წვიმის ღრუბლებით, ელქების ხასიათის ხანმოკლე და უზვი ნალექებით, რომლის ზონა გაცილებით ნაკლებია თბილი ფრონტის ნალექების ზონასთან შედარებით.



ნახ. 2. ჰერის მოძრაობა და წნევა ციკლონებში




ნახ. 4. თბილი ფრონტის ვერტიკალური კრილი

ჰაერის თბილი და ცივი მასე-ბის ურთიერთგანლაგება და საერთოდ ამინდის გამოსახულება სიმაღლის მიხედვით ციკლონებში შეიძლება წარმოვიდგინოთ, თუ გადავკვეთთ თბილ ფრონტს ააზაზის გასწვრივ და ცივ ფრონტს ბ-ბ ხაზით, როგორც ეს მე-3 ნახ-ზე არის ნაჩვენები.

ამ ფრონტების ვერტიკალური კრილიები მოცემულია მე-4 და მე-5 ნახ-ზე.

თავს ყოველი მხრიდან, როგორც ამას ციკლონებში აქვს ადგილი, არამედ ერთგვაროვანი მასა მისი ცენტრიდან იშლება ყოველმხრივ. ამის გამო ანტიციკლონებში ჰაერის დაღმავალ დინებას აქვს ადგილი. ჰაერის დაღმავალი დინება კი ხელს უწყობს ჰაერის გამოშრობას, ღრუბლიანობის შემცირებას და ა. შ. ამიტომ იქ ამინდი უმთავრესად მოქმენდილი (უღრუბლო) ცივ, უნალექობით და სუსტი ქარებით ხასიათდება.



ნახ. 5. ცივი ფრონტის ვერტიკალური კრილი

ანტიციკლონები, ანუ მაღალი წნევის არეები, წარმოადგენენ ციკლონების სრულიად საწინააღმდეგო სისტემას. ატმოსფერული წნევა მის ცენტრში მაქსიმალურია და ყოველმხრივ პერიფერიისაკენ კლებულობს, რის გამო ჰაერის მოძრაობა (ქარები) მიმართულია ცენტრიდან პერიფერიისაკენ და ამავე დროს ხდება საათის ისრის ბრუნვის მიხედვით (ნახ. 6).

ანტიციკლონში ჰაერის სხვადასხვაგვარი მასა კი არ იკრებს


ფაქტიური მასალებით შედგენილი ყოველდღიური სინობტიკური რუკების საფუძველზე სხვადასხვა მკვლევარების მიერ დადგენილია თავისებური გზები, რომლებითაც ციკლონები და ანტიციკლონები მოძრაობენ წლის სეზონების განმავლობაში.

თანმიმდევრობით შედგენილი სინობტიკური რუკების ურთიერთ შედარება გვიჩვენებს, თუ რომელი მიმართულებით ან რა სიჩქარით მოძრაობდა ესა თუ ის ფრონტი, ციკლონი და სხვ. წინა დღეებში როგორი იყო მისი განვითარების ან შესუსტების ტენდენცია.

ამისდა მიხედვით შეგვიძლია ვივარაუდოთ ახლო მომავლი-

სათვის ამ პროცესების გავრცელებისათვის საჭირო დრო და ეს ტერიტორია, რომელზედაც ამ დროის განმავლობაში ეს პროცესი მოქმედებდა. ასე, მაგალითად, დავეშვათ, რომ შავი ზღვის დასავლეთ სანაპიროზე დღეს დილით აღნიშნულია ცივი ფრონტი, რომლის ზურგში მყოფი ჰაერის მასები ხასიათდება ყინვებით და ნალექებით — თოვლის სახით; ეს ფრონტი მიემართება დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ 50 კილომეტრის სიჩქარით საათში; ამავე დროს, არ არის მოსალოდნელი მისი მოძრაობის შენეება ან აჩქარება. ვიცით რა შავი ზღვის სივრცე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაახლოებით ერთი დღე-ღამის განმავლობაში — ხვალ დილისათვის, აღნიშნული ცივი ფრონტი მიიღწევს საქართველოს ტერიტორიას და გაივლის მის დასავლეთ ნაწილზე, რაც გამოიწვევს იქ სათანადო აცივებას და თოვას.

რა თქმა უნდა, ამინდის წინასწარმეტყველება არ ხდება ასე ადვილად, ვინაიდან ჰაერის მასები გზადაგზა განიცდიან დედამიწის სხვადასხვაგვარი ზედაპირის გავლენას. ეს ზედაპირი, შესაძლებელია, ერთ შემთხვევაში



ნახ. 6. ჰაერის მოძრაობა და წნევა ანტიციკლონებში

იყოს წყლით მოცული (ზღვა, ნოზისათვის დიდ გამოყენებაშია ამაჲდ აეროლოგიური დაცვი-  
ოკეანე); ხოლო მეორეში—ხმე-  
ლეთი (მთიანი, ვაკე, მოშიშველ-  
ებული, დაფარული მცენარეებით,  
ან თოვლის საბურველით და სხვ).  
ამისდა მიხედვით დედამიწის ზე-  
დაპირი, რომელზედაც უნდა  
გაიაროს ჰაერის მასამ, თავისე-  
ბურ გავლენას მოახდენს მასზე,  
რის გამო ჰაერის მასების დამა-  
ხსიათებელი ნიშნები (ტემპერა-  
ტურა, ტენიანობა და სხვ.) განიჭ-  
დის სათანადო ცვლილებას.  
ზღვესა და ოკეანეებზე მოძრავი  
ჰაერის მასა ზაფხულობით უფ-  
რო გრილი ხდება, ხოლო ზამ-  
თარში თბება. საერთოდ კი იძენს  
წყლის ორთქლს და ამით უფრო  
ტენიანი ხდება; მთებს, იმისდა  
მიხედვით, თუ რა სიმაღლისაა  
ისინი, შეუძლია შეანლოს ან  
სრულიად შეაფერხოს ჰაერის მა-  
სის მოძრაობა; თოვლის საბურ-  
ველზე მოძრავი ჰაერის მასა იწ-  
ყებს ქვევლიდან გამოცივებას და  
ა. შ.

ყველა ეს და სხვა მრავალი  
გარემოება მეტად ართულებს  
ამინდის წინასწარმეტყველების  
პროცესს და ის სპეციალისტი  
სინოპტიკოსისაგან მითითოვს  
დიდ ყურადღებას, ცოდნასა და  
გამოცდილებას.

მიწისპირა სინოპტიკურ რუ-  
კებთან ერთად ამინდის პროგ-

ნოზისათვის დიდ გამოყენებაში  
ამჲამდ აეროლოგიური დაცვი-  
რებები, რის საფუძველზე წარ-  
მოებს ე. წ. ბარიული ტოპოგრა-  
ფიის რუკების შედგენა სხვადა-  
სხვა სიმაღლის მიხედვით. ასეთი  
რუკები, შედგენილი შუა და ზე-  
და ტროპოსფეროს ფენებისათვის,  
და ტროპოსფეროს ციკლონების და ან-  
გიჩვენებს ციკლონების და ან-  
ტიციკლონების მოძრაობის გზებს,  
მათი წარმოშობა-განვითარების  
შესაძლებლობას და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ ამინ-  
დის პროგნოზს დღეისათვის დიდი  
პრაქტიკული გამოყენება აქვს  
მოპოვებული სოფლის მეურნეო-  
ბის, ავიაციისა და სახალხო მეუ-  
რნეობის სხვა მრავალ დარგში,  
ჰერ კიდევ მეთოდი, რომელზედაც  
ის ეყრდნობა, არ შეიძლება ჩა-  
ვიყოს ისეთ სრულყოფილად,  
რომელიც ყრველთვის და ყველ-  
გან ამინდის სწორი წინასწარ-  
მეტყველების საშუალებას მოგ-  
ცემდა.

მეტეოროლოგიის ერთ-ერთ  
ძირითად ამოცანას ამინდის წი-  
ნასწარმეტყველების მეთოდების  
განვითარებაში წარმოადგენს მე-  
ციურების სხვადასხვა დარგების  
(ფიზიკის, მათემატიკის და სხვ.)  
თანამედროვე მიღწევების გამო-  
ყენება.

ამასთან დაკავშირებით უნდა  
აღინიშნოს, რომ ამინდის პროგ-

ნოზის დაზუსტებას დიდ შესა-  
ძლებლობას უქმნის მათემატიკურ  
გამონაგარიშებაზე დაყრდნობა  
მეთოდი, რომელიც ჰიდროდინა-  
მიკისა და მექანიკის კანონების  
გამოყენებით დამუშავებულია,  
საბჭოთა მეცნიერის ი. ა. კობე-  
ლის მიერ.

მარტო მეთოდის სრულუქმ-  
ნელობა როდი შეიძლება ვალი-  
ართ მუდამ სწორი ამინდის  
პროგნოზის უქონლობის მიზე-  
ზად. ამისათვის საჭიროა კიდევ  
უფრო გავაფართოოთ და გავა-  
მრავლოთ დედამიწის ზედაპირ-  
ზე და მის ატმოსფეროში წარ-  
მოებული მეტეოროლოგიური  
დაკვირვებანი, განსაკუთრებით  
დედამიწის ისეთ ნაკლებად გა-  
შუქებულ ნაწილებში, როგორი-  
ცაა ოკეანეები, არქტიკა, მაღალ-  
მთიანი რაიონები და სხვ.

მეტეოროლოგიური ქსელის  
სიხშირით საქართველოს ტერი-  
ტორია ერთ-ერთი პირველთაგანია  
სხვა საკავშირო რესპუბლიკათა  
შორის, რაც გამოწვეულია მისი  
ტერიტორიის ფიზიკურ-გეოგრა-  
ფიული მრავალგვარობით.

საერთოდ შემოაღწერილი,  
დღეისათვის საყოველთაოდ მი-  
ღებული, მეთოდით მოცემული  
ამინდის პროგნოზების გამართ-  
ლება საშუალოდ 80 — 85 %-ს  
აღწევს.

## მეცნიერების განვითარება სახალხო ჩინეთში

ქველი ჩინეთისათვის უმაგალითო მასშტაბები  
მიიღო ამჲამდ ჩინელ მეცნიერთა სამეცნიერო-  
კვლევითმა მუშაობამ.

როგორც სინხუას სააკენტო იუწყება, ჩინეთის  
სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის  
ქსელი განუწყვეტლივ იზრდება. ამჲამდ აკადემიას-  
თან მუშაობს 41 ინსტიტუტი. 1957 წლისათვის —  
ე. ი. პირველ ხუთწლეულის დამლევისათვის რესპუბ-  
ლიკას შეემატება 11 ინსტიტუტი.

ფართოვდება აგრეთვე მეცნიერთა მუშაობის ას-  
პარეზი. მათი მოღვაწეობის ერთ-ერთ დარგს წარ-  
მოადგენს გამოკვლევები ატომური ენერჯის მშვი-  
დობიანი მიზნებით გამოყენების შესახებ. ჩინელმა  
მეცნიერებმა დაამუშავეს სამეცნიერო-კვლევითი სა-  
მუშაოების ფართო პროგრამა, აგრეთვე აეროდინა-  
მიკის, ჰიდრაულიკის, არარეგანული ქიმიის, ბიო-  
ლოგიის, გეოლოგიის, ეკონომიკის, სამართლისა და  
მეცნიერების სხვა დარგებისათვის.



### 3. მაჭარაძე

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი

XVIII საუკუნეში რუსეთში არა ერთი ქართველი მოღვაწეობდა. საქართველოს ბედ-უკუღმართობით სამშობლოდან გადახვეწილ ქართველ ემიგრანტთა ერთი ნაწილი უშუალოდ რუსეთის სამხედრო სამსახურში შევიდა და ერთგულად ემსახურებოდა თავის მეორე სამშობლოს, რადგან რუსეთის სიძლიერეს პატრიოტი ქართველები იხან-ოსმალეთის უღლისაგან საქართველოს ხსნას უკავშირებდნენ. რუსეთის სამსახურში მყოფ ქართველთაგან ფრიად საყურადღებო პიროვნება ჩანს პოდპოლკოვნიკი ს. ჩოლოყაშვილი, რომელიც რუსეთის მთავრობამ საექსპედიციო ჯართან ერთად 1769 წელს საქართველოში გამოგზავნა.

\* \*

სიმონ რომანის-ძე ჩოლოყაშვილი, როგორც მოსკოვის ცენტრალურ სამხედრო ისტორიულ არქივში დაცული დოკუმენტებიდან ირკვევა, ჯერ ისევ მდივარწლოვანი, ვახტანგ VI ამაღასთან ერთად, 1724 წელს ჩასულა რუსეთში. 1738 წელს იგი, სხვა ემიგრანტ ქართველებთან ერთად, რუსეთის სამხედრო სამსახურში შესულა. ჩოლოყაშვილი არტილერიის კორპუსში ჩაურთიხავთ და მალე თურქებთან ომშიც მონაწილეობა მიუღია. ნამდვილ სამხედრო სამსახურში იგი 1760 წლამდე დარჩენილა და პოდპოლკოვნიკის ჩინისათვის მიუღწევია, ხოლო იმავე წელს მოხუცებულობის გამო სამხედრო სამსახურიდან გასულა.

სამხედრო სამსახურში ყოფნის დროს, 1754 წელს, რუსეთის სენატისათვის ს. ჩოლოყაშვილს წარუდგენია «Изисканные старанием ево...деланные модели, с состоящая в трех машинах», «как-ким образом возможно против неприятеля действовать огнестрельным ружьем со скорою успешностью и малым числом людей» (ЦГВИА, ф. 8. оп. 94, л. 57, л. 6). აღნიშნული მოდელები სენატს სამხედრო კოლეგიაში გაუგზავნია დასკვნისათვის. 1756 წელს მოდელები შეუმოწმებია რუსეთის გენერალ-ფელდციხმისტერ შუვალოვს, რომლის განკარგულებით ს. ჩოლოყაშვილს დაუმზადებია «две оружейные, а третья для бросания гранат машины, которые и положены в артиллерийской цейхгауз»... (იქვე).

ჩვენს მიერ გაცნობილ მასალებიდან არ ჩანს, თუ როდის დაამთავრა ჩოლოყაშვილმა აღნიშნული იარაღების დამზადება. ის კი ცნობილია, რომ 1763 წლის 15 დეკემბრისათვის იარაღები არტილერიის ციხნახურში ინახებოდა და ჩოლოყაშვილი მათ გასინჯვას ითხოვს. ამ დროს რუსეთის არტილერიის მოამაგე პ. შუვალოვი ცოცხალი აღარ იყო (შუვალოვი გარდაიცვალა 1762 წლის 4 იანვარს); მისი ადგილი უცხოდ ვიღობას ეჭირა. სამხედრო კოლეგიაში ვიღობას უბრძანა გავსინჯა ჩოლოყაშვილის მიერ შექმნილი იარაღები და სათანადო დასკვნაც მოემზადებინა მათი დანერგვის შესაძლებლობაზე სენატში მოხსენების წარსადგენად.

გენერალ-ფელდციხმისტერ ვიღობას პატაკში აღნიშნული იყო, რომ «помянутыя модели и машины свидетельствованы и опробованы были, которые как оружейныя стволы, так и мартирцы рядами в обороткам круге расположены и одним разом стволов до тринадцати паяят, а мартирцы до пяти гранат бросают, но сии инвенции в настоящем употреблении полезны быть не могут, а только охота ево к изысканию искусства мыслей и в том нехудое распорядение доказывают, то для ободрения и поощрения протчих к хорошим и полезным иногда инвенциям некоторого награждения достоин...» (იქვე, 6 — 7). სამხედრო კოლეგია შეამდგომლობდა სენატის წინაშე ჩოლოყაშვილი 200 მანეთით დაეჯილდოებოდა. სენატს მოხსენება ეკატერინესათვის წარუდგენია, ხოლო დედფალს მასზე საკუთარი ხელით წაუწერია: «выдать ему пятьсот рублиев». ჩოლოყაშვილს აღნიშნული პრემია მიუღია.

ასეთია მოკლედ ამ საყურადღებო გამოგონების ისტორია, რომელიც დღემდე, სამწუხაროდ, ტექნიკის ისტორიკოსების სპეციალური ყურადღების საგანი არ გამხდარა (მხოლოდ პროფ. ვ. დანილევსკის აქვს აღნიშნული: «ценные изобретения осуществили в том-же столетии,—Челокваев и другие». იხ. Русская техника, 1948, стр. 147).

ჩოლოყაშვილის მიერ შექმნილი იარაღები რომ არ იწერებოდა, ეს სრულებითაც არ გვაძლევს უფლებას დავამცირებთ მათი მნიშვნელობა. ცნობილია, რომ პოლუხნოვის მიერ ორთქლის მანქანის შექმნა გადატრიალება იყო ტექნიკაში, მაგრამ ეს საყურადღებო გამოგონება ბატონყმურ რუსეთში ჭირვანად ვერ იქნა შეფასებული: ქვაბის უბრალო ფდექტი მანქანის შეჩერების საბაზი გახდა, ხოლო უცხოელი სწავლულების მიერ (რუსეთის აკადემიის წევრი პალასი, პროფ. ფალკი) ამ მანქანის უფარგისობის მტკიცება,—მისი მივიწყებისა და მოსპობის საფუძველი.

ვიღრე ჩოლოყაშვილის მიერ შექმნილი იარაღები ტექნიკის ისტორიისათვის სათანადოდ შესწავლილი იქნება, ამ გამოგონების ფართოდ დანერგვის უარყოფის მიზეზებზე საბოლოო დასკვნის გაკეთება შეუძლებელია, მაგრამ XVIII საუკუნის რუსეთის ისტორიისა და რუსეთის ტექნიკის ისტორიის გათვალისწინებით ზოგადრითი მოსაზრების წამოყენება შეიძლება: ან პეტრე III დროს დაწინაურებული უცხოელი ვიღბოა არ იყო დაინტერესებული რუსეთის სამხედრო ძლიერების ზრდით, ან არ გაეგებოდა ამ იარაღების მნიშვნელობა (ისევე, როგორც შუაღვლის წინამორბედთ—გინტერი, მინიხი, ლუდვიგ ჰესენგამბურგელი, რომლებიც პეტრე I შემდეგ რუსეთის სამხედრო უწყების სათავეში მოკალათდნენ), ანდა ბატონყმური რუსეთი უძლიერი აღმოჩნდა აეთვისებოა ჩოლოყაშვილის მიერ შექმნილი იარაღები.

ჩოლოყაშვილის მიერ XVIII საუკუნეში შექმნილი იარაღები თანამედროვე გერმანულ მრავალღვლიან ნაღმსატყორცებს მოგვაგონებს.

საყურადღებო პიროვნება ჩანს ს. ჩოლოყაშვილი, როგორც სამხედრო ინჟინერი-მშენებელი. ეს ცხადი ვახდება, თუ გაითვალისწინებთ იმას, რომ კიევი, რომლის სიმაგრეთა მშენებლობა სენატმა 1764 წელს ს. ჩოლოყაშვილს დაავალა (ჩოლოყაშვილი კიევის სიმაგრეთა მშენებლობას ხელმძღვანელობს 1764 წლიდან 1769 წლამდე), სასაზღვრო ქალაქი და უმთავრესი ბაზა იყო თურქეთისა და პოლონეთის აგრესიის წინააღმდეგ საბრძოლველად, ხოლო 60-იან წლებში რუსეთის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი საზრუნავი ამ ორ სახელმწიფოსთან ბრძოლა იყო.

ს. ჩოლოყაშვილის, როგორც განათლებული სამხედრო ინჟინრისა და არტილერიის ნოვატორის, ადგილის ვარკვევა რუსეთის სამხედრო ტექნიკის ისტორიაში ტექნიკის ისტორიის სპეციალის-

ტის საქმეა. ჩვენს მიზანს შეადგენს მიუთითოთ ამ ფაქტის არსებობაზე და ამასთან რუსეთის ქართველოს ურთიერთობის თვალსაზრისით ხედლით ჩოლოყაშვილის საქართველოში გამოგზავნის მიზანსა და მის საქმიანობას.

\* \*

1768 წელს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობა უარესად დაიძაბა. ფრანგი კაპიტალისტების წაქეზებითა და დახმარების იმედით გამხსნეებულმა თურქეთმა რუსეთს ომი გამოუცხადა. თურქი ავანტიურისტები ფიქრობდნენ: პოლონეთის საქმეებში გახლართულ რუსეთს წამოაჩოქებდნენ და უკრაინას მიიტაცებდნენ, ხოლო ომში დამარცხებულ რუსეთს შავ ზღვაზე გასასვლელისათვის ბრძოლაზე საბოლოოდ ხელს აალებინებდნენ.

თურქი ავანტიურისტები ანგარიშში ტყუევდებოდნენ. ისინი ვერ ანგარიშობდნენ, რომ შვეიცის, პოლონელი კონფედერატების, თურქეთისა და ყირიმელ თათართა მატერული ძალებით გარემოცულ რუსეთს საქმოდ ძლიერი სამხედრო ძალები გაჩნდა და ერთგული მოკავშირეებიც ჰყავდა ბალკანეთისა და კავკასიის ქრისტიანი ხალხების სახით.


ბუნებრივია, ბალკანეთისა და კავკასიის ხალხები, რომელთაც „...თურქი ასიმილატორები, — ყველაზე სასტიკი ასიმილატორები, — ასეულ წლების მანძილზე ფლეთდნენ და ასახიზრდებდნენ“ (ი. სტალინი, თხზ., ტ. 11, გვ. 384 — 385), თურქეთის წინააღმდეგ მებრძოლ რუსეთში ხედავდნენ «своего естественного защитника и освободителя» (К. Маркс и Ф. Энгельс, соч. т. IX, стр. 393) და მზად იყვნენ რუსეთთან ერთად ებრძოლათ თავიანთ დამონებელთა წინააღმდეგ.

რუსეთში ამ დროს საქმოდ ცნობილი იყო, რომ თურქეთის ბატონობის წინააღმდეგ დასავლეთ საქართველოს ბრძოლას სულთანის ქედმოუხსნელი ვასალი სოლომონ, იმერთა მეფე მეთათურობდა. ამიტომ ვადაწყვეტეს მატერიალური დახმარება აღმოეჩინათ იმერთის მეფისათვის, რათა ამ უკანასკნელს შეძლებოდა მთელი საქართველო თურქეთის წინააღმდეგ აემხედრებინა. ქართველთა აქტიური მოქმედება თავის მხრივ აიძულებდა თურქებს ძალების ნაწილი კავკასიაშიც ვადმოესროლა, რაც რუსეთის არმიას ცენტრალურ ფრონტზე მდგომარეობას ნაწილობრივ შეუძსუბუქებდა. ასეთ გეგმებს აწყობდნენ რუსეთში, როცა პეტერბურგს მიმავალი იმერთის ელჩი მაქსიმე აბაშიძე ყოზლარში იყო.

# პრისტალთა

# სამყაროში

გამოკვებული ქალაქ კოკანდის (უზბეკეთის სსრ) მიდამოებში. მისი კედლები მთლიანად დაფარულია გოგირდის კრისტალებით.



აკადემიკოსი ნ. გ. გულდოვი იკვლევს ლითონის კრისტალურ ანაგობას

ო. პისარევსკი

## ბუნების უკანონო ყვავილები

კრისტალები „ციხე ნაშისა და უსუფთავესი თოვლისაგან უნდა ჩნდებოდნენ ისინი.“ — ასე ფიქრობდნენ ძველად სწავლული ნატურალისტები კი. ისინი დაუშვებლად თვლიდნენ კრისტალების მიწიერ წარმოშობას. და როცა უკვე გაიგეს, რომ ეს ქვების სამყაროს უკანონო ყვავილებია. — მაინც კიდევ უპასუხოდ რჩებოდა კითხვა: რა ძალებმა დააწახანავს ისინი ასე ფიქრად ასე მოხდენილად? მხოლოდ უფრო მოგვიანებით გაიგეს, რომ ამ ზუსტი წახანავების ბრწყინვალში, ფორმათა თავისებურებაში, მოხდენილ შეფერვლებაში გამოხატა ბუნების მტკიცე და მწყობრი კანონები მათ აღმოჩენასთან დაკავშირებულია სხვადასხვა ქვეყნების მრავალი სახელოვანი ბუნებისმეტყველის სახელი. და თითოეული მათგანის შემოქმედებაში გამოვლიდა არა მარტო მათგანსა და მათგანს მშვენიერი ძალა. კომპლექსური თვისობისა და სიმეტრიის წესების ცოდნა. მათ მეცნიერებაში კრისტალები შესაბამის შექმნიდათ თავიანთი ავსებელი გატაცება და ზღაპრული სამყაროთა, ფორმების უცნაური ნაირგვარობითი დედამიწის უკუა კუთხეში მინერალოგები პატრიისკემით იგონებენ გამოჩენილი რუსი მეცნიერის ევგრაფ სტეფანეს-ძე ფედოროვის შემოქმედებითი გმირობის შესახებ. მის მიერ იმ ურუკეთ კანონების აღმოჩენის შესახებ, რომლის თანახმადაც ატომების ბუნებაში შეუძლიათ განლაგდნენ კრისტალების წარმოქმნით. ე. ს. ფედოროვის შემოქმედებითა განზავადებებმა და მის მიერ შექმნილმა ბელსწყურებმა შესაძლებელი გახადა კრისტალის ფორმით სარგებლობა ნივთიერების განსაზღვრავად, თუნდაც, რომ ანალიტიკოსის ხელში კანონისთვის იდნა სიღრმის კრისტალი იმყოფებოდეს

შესანიშნავი საბოთა გეოქიმიკოსი ალექსანდრე ევგენის-ძე ფერსმანი, ფედოროვის მსგავსად, შემთხვევას არ უშვებდა. რომ ხაზი არ გავსება კავშირისთვის ფერსმანის ქვის გარეგანი შესხებდაობის თავისებურებასა და მის შინაგან ანაგობას შორის.



აკადემიკოსი ა. გ. შუბნიკოვი (მარჯვნივ) სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კრისტალოგრაფიის ინსტიტუტის ლაბორატორიაში

ამასთან ერთად მეცნიერი თავის შესანიშნავ გამოკვლევებში და სტატეტიზში დაუღალავად უჩვენებდა, თუ როგორ იდნა მდიდრულად შეფერვლებულ მოკრიალე ქვების გამოყენების სფერო.

„ჩვენ დარწმუნებული ვართ. — წერდა ის. — რომ განახლებული კაცობრიობის ცხოვრებაში ბუნების საუკეთესო და უმშვენიერესი ფორმები, დაწყებული ნაწი ყვავილდანი და გათავებული ფერადი ქვებით, შერწყმება საერთო პარნიოლილ სურათში. ცოცხალი ბუნების ცვალებად და მოკვდავ ფორმებს შორის მარად და ურუკვად დარჩნა ფერადი ქვა, ბელსწყურებისათვის იგი ვადაქცევა... მასხალად, რომ ურუკვად დარჩნა ფერადი ქვა, ბელსწყურებისათვის იგი ვადაქცევა... მასხალად, რომ ლიგნაცანე შექმნება კაცობრიობის ზეთაგონების ხანგძლიერ ნაწარმოებში“.



ბელსწყური ლალის დამზადება

გოგირდის კრისტალები, შესანიშნავი თაგისი წესიერი ფორმით




ყოველგვარი კრისტალის ანაგობის მტკიცე კანონზომიერების დაღვენა მხოლოდ პირველი ნახატი იყო მათი შემეცნების გზაზე. მსგავსად იმისა, როგორც ერთი და იგივე ორნამენტის ვაშორებით შალურის მიღლი ნახატი წარმოიქმნება, ისე ურთიერთთან გადაამული ატომების მრავალერაღი სივრცული განლაგების გამოყრება წარმოქმნის კრისტალის სტრუქტურას. სივრცული განლაგების ასეთი გამოყრება საშუალებას აძლევს კრისტალოგრაფს ილამარაოს კრისტალზე; როგორც სიმეტრიულ მიესტრზე, რომელიც ავებულია ატომებისა და მოლეკულების სივრცულ შექმნება შედილება შედიოდას სხვადასხვა ელემენტთა ატომები და რაც უფრო ერთოლია კრისტალის ქიმიური შემადგენლობა (ქ. ი. რაც უფრო მეტია ატომი შედის მტკნარში), მით უფრო ძნელია მასში ცალკეული ატომების განლაგების დადგენა. ამავე დროს კი ატომური სტრუქტურის ცოდნა ეს კრისტალის ნაირგვარი თვისებების ექსპერტურის და მავნებურის, ოპტიკურის და ისეთი „ბერალოს“. როგორცაა სისხლე და სიტყვე, — ახსნის ვასალებია. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის კრისტალოგრაფიის ინსტიტუტში კრისტალთა ანაგობისა და თვისებების შესწავლას იხილავენ როგორც სამკითხველი მეცნიერების დიდ საიდუმლოებებზე შეტევის დასაწყისს შემოქმედებითი პრაქტიკის გამიღებების მიზნით

გამორჩენილია საბჭოთა მეცნიერება, კრისტალოგრაფიის ინსტიტუტის ღირებურობა. სტალინური პრემიის ორჯის ლაურატებია, აკადემიკოსმა ალექსი ვასილის-ქე ლეონიკოვა სიმეტრიის კანონების სწუალებითა გამოარკვეა კვებითი კრისტალთა ანაგობის ფორმისა ქიმიურად მოძღვრებას კრისტალთა სიმეტრიის შესახებ, რომელიც გადაწყვეტი რიჯს თამაშის კრისტალოგრაფიაში, ზოგჯერ შეტრამინის დროის ადრებებს და მართლაც, ეს მოძღვრება ეხმარება მეცნიერებს ადვილად ორიენტირებას კრისტალთა სამყაროში, მათი თვისებების წინასწარმეტყველებას, ახალს ცნებებში, შემოღებულში ა. ვ. შუბნიკოვის მიერ მოძღვრებაში სიმეტრიის შესახებ. შესაძლებელი გახდას ახლებურად ნისდგომილდენ კრისტალების გამოყენებას, როგორც ენერჯის ვარდამქმნელია, მაგალითად გამოდგება „მონდრალი“ კრისტალები — პიესოელემენტები. ასე ეწოდება ბუნებრივ ან ხელგონებურ კრისტალურ სხეულებს, რომლებსაც წახანავებზე შექმნივის ან გაქმივის დროს უჩნდება ელემენტური მუხებები და, პირიქით, წახანავებზე მიწოდებული ელემენტური მუხებების ზეგავლენით. ისინი იცვლამ ვარცმა, მაგამ არის კრისტალები, რომლებსაც პიესოელექტრული თვისებები მეტი აქვს. მათ რიცხვს, კერძოდ, ეკუთვნის სცენკის მარილის კრისტალები. საკმაო ხელ მიცროდინი ძალა, მაგალითად სენნი-სათვის შეუძლებელი ბერათი ტალა, რომ პიესოელემენტი სცენკის მარილის ფორტიკიდან გახდეს დენის წყარო, რომელიც ადვილად შეიძლება გაძლიერდეს ყოველგვარ სიდიდემდე და, პირიქით, ხელ მიცროდი ცვლად დენა პიესოელემენტში ვარჯივებს უარიც ვასაგონ ჩვევებს. პიესოელემენტები გამოყენებულია ადამტირებში, ტელეფონებში, მიკროფონებში, საკონსტრუქციულ გააფართოება და მრავალ სხვა მოსუბილობებში. ა. ვ. შუბნიკოვა შესაძლებლობა პიესოელემენტების გამოყენების სფერო — აღმოჩინა შესაძლებლობა პიესოელემენტების შექმნისა, რომლებიც შედგება მრავალ ცალკეული პაქეტირტული კრისტალებისაგან, რომლებიც ვარჯივით არის ორიენტირებული. პიესოელექტრული დეტალები ტექნიკის წინაშე მრავალმოქმედ პერსპექტივებს უღის.



გიოსულურის კრისტალები



ფოლადის კრისტალები



ქოლესტერინის კრისტალოზაცია (ეს ნივთიერება შედის ცხოველთა ქოკიულებში)

### ალამიანის მიერ შემხნილი ფარადი ქვიზი

იმავე ინსტიტუტში სტალინური პრემიის ლაურატებია ნიკოლოზ ვასილის-ქე ბელოვსა დასახლეთა და განავითარა კრისტალში ნაწილაკების მქედრიდ შეფუთვის თორიკა. ამან საშუალება მისცა მეცნიერსა და მის თანამშრომლებს განსწავლარათ, თუ როგორაა განლაგებული ატომები მრავალ ტექნიკურად და მეცნიერულად მნიშვნელოვან კრისტალებში, უმოძღვრებად სილოკატების ჭეუფიდან. ნივთიერებათა სტრუქტურისა და თვისებების ურთიერთკავშირის პრობლემის გადაწყვეტა შესაძლებლობას იძლევა არა მარტო ახსნას ცალკეული კრისტალების თვისებებურებაში, არამედ კიდევ იწინასწარმეტყველონ — რა მიმართულებით უნდა შეიცვალოს სტრუქტურა, რა ატომები უნდა იქნეს შეყვანილი მასში, რომ ახალ სტრუქტურას გაჩნდეს ჩვეთვის საჭირო თვისებები. ნ. ვ. ბელოვის შრომები მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზე აყენებენ ახალი მასალების შექმნის პრობლემას.

აკადემიკოსმა ა. ვ. შუბნიკოვმა და მისმა თანამშრომლებმა ვან-საზურეს სცენკის მარილის, ხელოვნური დალის და სხვა ფერადი კვების მსხვილი კრისტალების გამოზრდის მეთოდის საფუძვლები კონსტრუქციები ხელსაწყობისა სხვადასხვა კრისტალის ხელოვნურად დაქიქა, გამოზრდისათვის, რასაც შევადე საჭიროებს მეცნიერება და ტექნიკა, ათვისებულთა მრეწველობის მიერ, ხელოვნური კორუნდები, რომლებსაც რიგი საბჭოთა ქარხნები უშევენ. ფართოდ იმპარება მრავალი უხეტი ხელსაწყობის დეტალების დასამზადებლად საეკილურ ლუმენებში მიორდება ზოგიერთი იმ პროცესებიდან, რომლებიც ოდესღაც ხდებოდა დედამწიწის ვავარფარებულ წიაღში. ასეთ ლუმენებში მზადდება მშვენიერი, ბუნებრივისაგან მხოლოდ ძნელად გასარჩევი ხელოვნური ძვირფასი კვები.

კრისტალოგრაფთა შრომები ამიღებენ მეცნიერებას, აფართოებენ ჩვენს ცოდნას ნივთიერების ანაგობის შესახებ და ხელს უწყობენ ტექნიკურ პროგრესს.



ვარცის კრისტალები

ძვირფასი ქვის ტურმალინის კრისტალი



იმერეთის ელჩთან მოლაპარაკების შემდეგ რუსეთის მთავრობამ გადაწყვიტა საქართველოში დამხმარე ჯარის გამოგზავნა. ეკატერინე II 1769 წლის 27 მარტის ბრძანებით საქართველოში გამოგზავნა 3 ასეთისა და 6 სამგირვანქანის ქვემეხისაგან შემდგარი რაზმი, შტატით 411 კაცი (III, 111, ფ. 20, оп. 47, св. 245, л. 4, ч. 1, л. л. 1—3). და არა თხოთათსიანი კორპუსი, როგორც ეს საისტორიო ლიტერატურაში შეედომით დამკვიდრდა.

ამ პატარა საექსპედიციო ჯარის, რომელიც მავალითის საჩვენებლად და ქართველთა გასამხნეველად იგზავნებოდა, არტილერიის უფროსად დანიშნა აბდოლოკონენკი ს. ჩოლოყაშვილი.

ს. ჩოლოყაშვილის საექსპედიციო რაზმში დანიშნა შემთხვევით არ მომხდარა. რუსეთის მთავრობა საქართველოში გამოსაგზავნი ჯარის ოფიცერთა შტატს სპეციალურად არჩევდა, ხოლო უპირატესობას რუსეთის სამსახურში მყოფ ქართველ ოფიცერებს აძლევდა. საქართველოში გამოგზავნი საგანგებო რწმუნებულები კი ქართველი შეარჩიეს — თავ. ანტონ თარხან-მოურავი. ეკატერინე II სოლომონ I-სადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში ხაზს უსვამდა, რომ თქვეს კარზე რწმუნებულად ქართველის დანიშნა თქვენდამი და სხვა ქართველი მფლობელებისადმი ჩვენი კეთილგანწყობილების თავდებობა (შდრ. Грамоты и другие исторические документы..., под ред. А. Цагарели, т. I, стр. 54). გარდა ამისა, მავალითის საჩვენებლად გამოგზავნილი ჯარის ოფიცერებს, ცხანდა, სამხედრო ტექნიკური ხასიათის ინსტრუქციის გაწევაც უნდა შეძლებოდათ, უამისოდ ასეთი პატარა ჯარის გამოგზავნა აზრს კარგავდა (ეკატერინე II შემთხვევით როდი წერდა სოლომონ I, რომ იგზავნება საექსპედიციო ჯარი «с несколькими штаб и обер офицерами, в том числе искусными-же в строении крепостей и в осаде оных, так-же и в действовании пушками...» об. Грамоты, I, 53). ჩოლოყაშვილის კანდიდატურა ორივე მოთხოვნას აკმაყოფილებდა.

1769 წლის 28 აპრილს გენერალ-პროკურორი ა. ვიანემკის სამხედრო კოლეგიის თხოვნით სიტყვიერი წინადადება შეუტანია სენატში ს. ჩოლოყაშვილის სამხედრო კოლეგიის განკარგულებაში გაგზავნის თაობაზე და სენატს მოხსენების გასაკეთებლად კიევიდან ჩამოსული ინჟინერი, ადგილზე დაბრუნების ნაცვლად, 12 მაისის ბრძანებულებით სამხედრო კოლეგიის განკარგულებაში გაუგზავნია, სამხედრო კოლეგიამ ჩოლოყაშვილი საექსპედიციო რაზმში დანიშნა. რა

თქმა უნდა, სამხედრო კოლეგიის მესვეურებმა კარგად იცოდნენ ვის გზავნიდნენ საქართველოში და რა ამოცანებით (საქართველოში გამოგზავნილი საექსპედიციო ჯარის საქმეში სპეციალურადაა შეგროვებული მასალები ჩოლოყაშვილზე, სიღინაც ჩანს, რომ იგი არტილერიის იარაღების ნოვატორი, მშენებელი სამხედრო ინჟინერია და, რაც მთავარია, პატოსნად და ერთგულად ნიშნა-ხური კაცი ან, როგორც დოკუმენტებშია ნათქვამი, «по всем бывшим атестатам хорошева». (ЦГВИА, ф. 20, оп. 47, 245, л. 4, ч. 1, л. л. 38—39, 51—52).

მოხუცი მოძღვრეონიკი ახალგაზრდული გატაცებით მოვიდებია რთულ დავალებას. ერთ-ერთ წერილში, გვიან, იგი ეკატერინე II წერდა: «...вдучи в походе не только не рассуждал о моей старости..., ниже о трудности толь дального и опаснаго пути, но с вными усердием и надеждою поспешал к подлежащему месту как для оказания моих верноподданических услуг государству меня приревншему, так же и для защищения своего отечества» (ЦГВИА, ф. 8, оп. 94, л. 57, л. л. 28—29. შდრ. იქვე, 1).

ს. ჩოლოყაშვილი საქართველოში 1769 წლის ოქტომბრის ბოლოს ჩამოვიდა და შორაპნის ციხის უმუდგო გარემოცვის შემდეგ ქართლში დაბრუნებულ ტოტლებენს ცინვალში შეხვდა.

1769 წლის 4 ნოემბერს ტოტლებენმა ჩოლოყაშვილი ცინვალიდან გორში გაგზავნა და უბრძანა — რემენიკოვისაგან ჩაებარებია არტილერია და 14 დღის ვადაში მოეყვანა საბრძოლო მზადყოფნაში. აღმოჩნდა, რომ ასე მოკლე დროში, ვინაიდან არ იყო საჭირო მასალები, ხელოსნები და არტილერისტების მოსამზადებლად ოფიცერი, ამ ამოცანის შესრულება შეუძლებელი იყო (საქმე იმაშია, რომ რუსეთის მთავრობის მიერ სპეციალურად გამოყოფილი საარტილერიო რაზმი, არტილერისტებითურთ, ჯერ ჩამოსული არ იყო. აქ, რაზმში, მხოლოდ ასტრახანისა და მოზდოკის გარნიზონებიდან ტოტლებენის მიერ წამოღებულ 4 ძველი ქვემეხი იყო). ჩოლოყაშვილის საქმიანი მოხსენება გულზეად ტოტლებენს არ ეკმაშნო და 10 ნოემბრის ბრძანებით აცნობა მას — რადგან მცირე საარტილერიო რაზმში სამსახურს არ კადრულობ, თქვენი აქ ყოფნა საჭირო არ არის, განთავისუფლებული ხართ.

ამასობაში ტოტლებენს თბილისიდან ერეკლეს წერილი მიუღია ჩოლოყაშვილის მასთან შესახვედრად გაშვების თაობაზე. ტოტლებენს მეფისათვის უცნობებია, ჩოლოყაშვილი დიდი საქმის გამოა დაპატიმრებული და მისი გამოშვება არ შეიძლებაო, ხოლო «დამნაშავეზე» მეთვალყურე-

ობა დაუწყებია. მიუხედავად ამისა, 1769 წ. 22 ნოემბერს ტოტლებენს ბრძანება გაუგზავნია ჩოლოყაშვილისათვის თბილისში წასულიყო ერეკლე მეფესთან.

1769 წლის ნოემბრიდან 1770 წ. თებერვლამდე პილძის ჩოლოყაშვილი, რუსეთის მთავრობის წარმომადგენელ მოურავოვთან (თარხან-მოურავი) ერთად, თბილისშია. ერეკლეს მისთვის იარაღის საწყობები უჩვენებია და არტილერიის გამართვის საქმეში დახმარება უთხოვია. ჩოლოყაშვილს ამ საკითხზე პატაკი გაუგზავნია ტოტლებენისათვის. ეს პატაკი საზღვისწყობა აღმოჩნდა — მოზღოვიდან დაბრუნებულმა ტოტლებენმა (ტოტლებენი მოზღოკში წავიდა 1769 წ. დეკემბერში და 1770 წ. იანვრის ბოლოს საქართველოში დაბრუნდა) ჩოლოყაშვილი 6 თებერვალს სასწრაფოდ მეჯვრისხევეში დაიბარა თითქოსდა ახლახან მიღებული არტილერიის ჩასაბარებლად, იგი დააპატიმრა, ჯერ გამოძიება მოუწყო, შემდეგ გაძარცვა და ავადმყოფი მიხუთი ზამთარში (თებერვალი) ბაღრატი რუსეთში გაგზავნა. 1770 წ. ზაფხულში ჩოლოყაშვილი მოსკოვში ჩაიყვანეს, სამხედრო კოლეგიის განკარგულებით დაშნა დუბრუნეს და თავისუფლად გაუშვეს.

ტოტლებენსა და ჩოლოყაშვილს შორის პირველი განხეთქილებისა და ს. ჩოლოყაშვილის დევნის მიზეზი ტოტლებენის ქედმაღლობა იყო. ყოყონა უცხოელმა, დაქირავებულმა, იუკადრისა გამოცდილი ოფიცრის საქმიანი მოხსენება და იგი რაზმს ჩამოაცილა. რაც შეეხება 1770 წ. თებერვალში ჩოლოყაშვილის დაპატიმრებასა და სასწრაფოდ რუსეთში გაგზავნას, ამის მიზეზი, როგორც დოკუმენტები მიწმობენ, ერეკლესათვის დახმარების გაწვევის თაობაზე ტოტლებენისათვის გაგზავნილი პატაკი გამხდარა. 1770 წ. 6 თებერვალს გრაფ ჩერნიშევისათვის გაგზავნილ მოხსენებაში ტოტლებენი წერდა, რომ ჩემი ბრძანებების მიუხედავად ჩოლოყაშვილი კვლავ თბილისში რჩება და ერეკლეს ზარბაზნების კეთებასა და ლაფეტზე გაწყობას ასწავლის, მე სასწრაფოდ ბრძანება გაუგზავნე დაბრუნებულიყო (ალბათ, ცხინვალში ან მეჯვრისხევეში, სადაც რუსეთის რაზმი იდგა). წინააღმდეგ შემთხვევაში დავაპატიმრებ და მოზღოკში გაგზავნიო (Грамоты, I, 205). ამ საბუთიდან ჩოლოყაშვილის დაპატიმრების მიზეზი ცხადად ჩანს.

სამწუხაროდ, ვერ ხერხდება დადგენა — ფაქტურად ჩოლოყაშვილმა რა დახმარება გაუწია ერეკლეს (ტოტლებენის ცნობით ერეკლეს ასპინძის ომის წინ გამოუყვანია კიდევ ჩოლოყაშვილის მიერ ლაფეტზე გაწყობილი სამი ქვემეხი). გამოირცხული არ არის ერეკლესათვის რჩევა-და-

რიგების მიცემა, მაგრამ რაც შეეხება ჩოლოყაშვილის პრაქტიკულ საქმიანობას თბილისში, იგი რუსეთში არავის უძიებია, რადგან მისი საქმე არ თვლიდნენ, ხოლო ტოტლებენს მიერ შეგროვებული მასალები ზღაპარს უფრო წააგვს. არც ის საბუთდება, თითქოს ტოტლებენს რამდენჯერმე გაეგზავნოს ჩოლოყაშვილისათვის ბრძანება თბილისიდან დაბრუნებულიყო. დადგენილად მხოლოდ ის შეიძლება მივიჩნიოთ, რომ, როგორც კი ჩოლოყაშვილმა მიმართა ტოტლებენს ერეკლეს დახმარება გაუწეოთ არტილერიის გაწყობის საქმეში, იგი დააპატიმრებულ და გაგზავნილ იქნა რუსეთში.

სასტორიო ლიტერატურაში არსებობს თვალსაზრისი თითქოს საქართველოს გაძლიერება მაშინ რუსეთის ვეგემს არ შეესაბამებოდა, ხოლო ჩოლოყაშვილი „მამულიშვილეთი გრძნობისა და პოლიტიკური სიბეცისათვის“ სასტიკად დასჯილიყოს.

ისმება კითხვა: ხომ არ ეწინააღმდეგება ჩოლოყაშვილის წინადადება — დახმარება გაუწეოთ ერეკლეს არტილერიის გაწყობის საქმეში — ინსტრუქციას? რა თქმა უნდა, არა.

ცნობილი დოკუმენტები მიწმობენ, რომ ტოტლებენს მოურავოვისათვის მიცემული საიდუმლო ინსტრუქციით უნდა ემოქმედა. სხენებული ინსტრუქცია კი ქართველებისათვის სამხედროტექნიკური ხასიათის დახმარების გაწევას შესაძლოდ მიიჩნევდა. რომ მკითხველს ჩვენი თვალსაზრისი ძალად თავსამოხვეული არ ეჩვენოს, მოიყვანოთ რამდენიმე ნაწყვეტი ამ ინსტრუქციიდან: «Случай самой благоприятной чрез то подается царю Соломону (სოლომონი და ერეკლე რუსეთისათვის მაშინ ერთი იყო), пользуясь советами и руководством здешнего военного начальника и помощью здешней команды, сверх оказываемой ей и. в. услуги обратит в пользу своего отчества европейское просвещение и в своих подданных внушит охоту к подражанию» (Грамоты, I, 41). იქვე ქვემოთ ვკითხულობთ: «... как они (ქართველები. ვ. 8.) уже усмотрят из действий здешних людей и полезного артиллерии употребления преимущество образа Европейского пред Азиатским в произвожденнии битв и поисков, и будет время самое удобное в перьях в них охоту к подражанию» იქვე, 48). ინსტრუქციაში ასეთი რჩევაც კი იყო, რომ, თუ საქართველოში მუდმივი ჯარის შექმნა არ მოხერხდებოდა, მოსახლეობის მორტიგობა დაწესებულიყო (იქვე, 49). გარდა ამისა, განა შემთხვევით წერდა ეკატერინე II სოლომონ მეფეს არტილერიის საქმის სპეციალისტს ვგზავნიო. დასასრულ, გენერალ სუხოტინისადმი მიცემულ ინსტრუქციაში, რომელსაც ეკატერინე II აწერდა,

ხელს, პირდაპირაა ნათქვამი: «... в данной н. с. кн. Моуравому инструкции, по которой и г.—м. гр. Тотлебен исполнять имел, довольно о том разсуждения внесены; порядочное при сражениях устройство войска, про военное употребление ружья, дело лутчаго пороха..., литие пушек, поставление их на лафеты, укрепление мест по образу европейскому,—все сие некоторым образом могло б Грузинцам показывано быти, по содержанию учиненных к их владетелям отзывов...» (Грамоты, I, 475).

მოტიანი ადგილები კომენტარიებს აღარ საჭიროებს. ცხადი უნდა იყოს, რომ ჩოლოყაშვილის წინადადება ინსტრუქციის საწინააღმდეგო არ ყოფილა. სამხედრო-ტექნიკური ხასიათის დახმარების გაწევის მიზნით განათლებული არტილერიისტი საქართველოში გამოგზავნა რუსეთის მთავრობის მეგობრული ნაბიჯი იყო.

ტოტლებენის საქციელმა შეიძლება მკითხველს ეჭვი აღუძრას: ხომ არ ჰქონდა გენერალს სამოქმედოდ მიცემული სხვა ინსტრუქცია? ასეთი ეჭვისათვის საფუძველი უკვე აღარ რჩება, რადგან საარტილო მასალებით ჩვენ გამოირკვეული გვაქვს, რომ ტოტლებენს სამოქმედოდ მოურავოვის ინსტრუქციის ასლი მიეცა.

რა თქმა უნდა, ინსტრუქციით რომ ქართველებისათვის სამხედრო-ტექნიკური ხასიათის დახმარების გაწევა განსაზღვრული არ ყოფილიყო, ტოტლებენი რუსეთის მთავრობის წინაშე განმარტებას კი არ შეუდგებოდა — სასარგებლო იყო თუ საზიანო რუსეთის ინტერესებისათვის ქართველებს ჰქონოდათ არტილერია (შდრ. Грамоты, I, 205, 198 — 199), იგი ჩოლოყაშვილის, როგორც სამხედრო დამნაშავეს, შესახებ საქმეს აღძრავდა, რომ ეს უკანასკნელი უცხო ქვეყნის მთავრობას აცნობს რუსეთის სამხედრო-ტექნიკურ მიღწევებსა და სამხედრო კოლეგიაც საქმის მიხედვით დაუყოვნებლივ შეუდგებოდა.


საყურადღებოა მეორე მომენტიც: როცა ტოტლებენმა რუსეთის მთავრობას საკუთარი თვალსაზრისით აცნობა, რუსეთის მთავრობისაგან იგი პასუხს არ დალოდებია, მან დააბატიმრა ჩოლოყაშვილი და განდევნა ისე, რომ მთავრობისაგან დასტურიც არ მიუღია. დასასრულ, რუსეთში ჩოლოყაშვილის საქმის ძიება კი არავის არ ჩაუთვლია საჭიროდ, თუმცა ტოტლებენმა მის შესახებ საკმაო ცილისმწამებლური მასალა შე-

თიხნა. თავისუფალი ჩოლოყაშვილი კი თვითონ უჩიოდა ტოტლებენს, რომ იგი უსამართლოდ შეურაცხყო და გააძრცვა. სამხედრო ისტორიულ არქივში დაცული მასალებიც ჩოლოყაშვილის ჭაჩივრების გამოა შეგროვებული და არა ტოტლებენისა.

ჩოლოყაშვილის არაფერი დაუშვებია და იგი რუსეთის მთავრობას არ დაუსჯია. თუ შეიძლება ჩოლოყაშვილის დასჯაზე ვილაპარაკოთ, ისიც მხოლოდ იმ აზრით, რომ მისი საჩივარი დროულად ვერ დააკმაყოფილეს, მაგრამ ეს ბატონყმური რუსეთის საერთო უბედურება იყო. ცნობილია, რომ რუსეთში დიდი სარღლებიც კი ხშირად პირადი ინტრიგების მსხვერპლი ხდებოდნენ და გასაკვირია, თუ ს. ჩოლოყაშვილი ტოტლებენის ინტრიგების წყალობით დაზარალდა. ამასთან, იყო სხვა მიზეზებიც: მალე ტოტლებენის წინააღმდეგ ოფიცერთა შეთქმულების (თუმცა ასეთი შეთქმულება არ არსებულა, მაგრამ საისტორიო ლტერატურაში საკმაოდ უფლებამოსილად გამოიყურება) საქმის ძიება დაიწყო და მისი საქმისათვის არავის ეცალა, ოფიცერთა საქმის დამთავრების შემდეგ ამედგებდნენ მას, საქართველოდან კორპუსი რომ დაბრუნდებდა, ოფიცრებს დავითხავთ და დაეადგენთ რა წაგართვა ტოტლებენმაო; საქართველოდან საქმედიციო ჯარი დაბრუნდა, მაგრამ ამასობაში გლეხთა ომი გაჩაღდა, რომელიც რუსეთის თავდაზნაურულ იმპერიას წაღვეს უქადა, თან გაცხარებული ომი იყო თურქეთთან და ჩოლოყაშვილის ჩემოდნებისათვის არავის ცხელოდა.

\* \* \*

XVIII საუკუნეში რუსეთში გადახვეწილი ქართველი ემიგრანტები, რომლებიც შემდეგ რუსეთის ქვეშევრდომებად გადაიქცნენ, უმოკვლოდ ემსახურებოდნენ თავიანთ მეორე სამშობლოს, რადგან ქართველები რუსეთში, დასავლეთეუროპელი ბედლისმაძიებელ-ავანტიურისტების მსგავსად, გამდიდრების წყურვილით კი არ ჩასულან, არამედ საქართველოს ბედუქმდართობამ ჩაიყვანა. პატრიოტი ქართველები მთელ თავის ნიჭსა და ენერჯიას რუსეთის ძლიერებას ახმარდნენ, რადგან მასში ირან-ოსმალეთის კლანჭებისაგან მშობლიური საქართველოს მსხენლი ეგულდობათ. ს. ჩოლოყაშვილი რუსეთისადმი ერთგულად ნამსახურ ქართველ პატრიოტთა სანიმუშო წარმომადგენელია.



# ი. ასლანიშვილი



## რ. შუხიანიძე

ქართულმა საბჭოთა კულტურამ დაკარგა თვალსაჩინო და ამავედარი მოღვაწე: 1955 წლის 24 სექტემბერს გარდაიცვალა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი და სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი იოსებ (სოსო) ანტონის-ძე ასლანიშვილი.

ორმოც წელიწადზე მეტი მან თავგამოდებით იმუშავა როგორც თავის უშუალო სპეციალობაში — მედიცინის მეცნიერებასა და პრაქტიკაში, აგრეთვე ბევრ სხვა საზოგადოებრივ ასპარეზზე: საქართველოს გეოგრაფიული შესწავლის საქმეში, სახელდობრ, მხარეთმცოდნეობაში და ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში, უმთავრესად მთასვლელობასა და ტურისტებში.

მაგრამ მისი ინტერესების წრე ამით არ ამოიწურებოდა. იგი ცოცხლად ეხმარებოდა ჩვენი წარსული და თანამედროვე საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების, ხელოვნებისა და ლიტერატურის მოვლენებს; ბევრი შესძინა მათ შესწავლას და გამოიზიარებდას.

რა საქმიანობაშიც მონაწილეობა მიუღია, მას ყველგან შეჰქონდა თავისი წვლილი, რომელიც მეტყველებს მის შესანიშნავ მამულიშვილობაზე, დიდ საზოგადოებრივ აღღოზე, ხალხის სიყვარულსა და ერთგულებაზე.

ი. ასლანიშვილი დაიბადა 1891 წლის 27 იანვარს ქ. ქუთაისში, ხელოსან-შინამრეწველის ოჯახში.

მან 1910 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია და იმავე წლის შემოდგომიდან შევიდა ოდესის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე.

1914 წელს დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, ხოლო 1915 წლის გაზაფხულზე ი. ასლანიშვილი მესხეთე კურსიდან ჯარში გაიწვიეს და კავკასიის ფრონტზე უმცროს ექიმად განაწესეს. სამხედრო ექიმად მან დაჰყო 1918 წლამდე.

შინ დაბრუნებული, იგი 1918 — 1921 წლებში ორდინატორად მუშაობს ქუთაისის ჰოსპიტლის ქირურგიულ განყოფილებაში, პარტახტიანი სახლის ხოლერისა და ინფლუენციის ეპიდემიებთან მებრძოლ



რაზმებში, ტყიბულის ქვანახშირის მალაროების საავადმყოფოს გამგედ, ორდინატორად ქუთაისის საავადმყოფოში და სხვ. ამავე დროს იწყება მისი მოღვაწეობა ფიზიკურ აღზრდასა და ფიზკულტურულ მედიცინაში.

1921 წლიდანვე ი. ასლანიშვილი უკვე თბილისშია და ხელს კიდებს მეცნიერულ-პედაგოგიურ მუშაობას: იწყებს თბილისის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის პათოლოგიური ანატომიის კათედრის ასისტენტობით, 1925 წელს აპირებს იმავე უნივერსიტეტში სახელმწიფო გამოცდებს და განაგრძობს მუშაობას ქირურგიული კლინიკის ასისტენტად; 1932 წლიდან იგი თბილისის ქალაქის 1-ლი

საავადმყოფოს ქირურგიულ კლინიკაში განაგებს ენდოკრინოლოგიურ სადგურს, რომელიც, დასასრულს, ჩიყვის საწინააღმდეგო რესპუბლიკურ დისპანსერად ყალიბდება; 1936 წლიდან დისპანსერს აქვს უკვე სტაციონარიც ქირურგიული ავადმყოფებისათვის.

ი. ასლანიშვილი უკვე 1925 წლიდან ჩაება ჩვენი ენდემიური ჩიყვის შესწავლისა და ამ მძიმე სნეულების მოსასპობად გაჩაღებული ბრძოლის საქმეში; მისმა თაოსნობამ და დაუღალავმა შრომამ დაუფასებელი ამაგი დასდო ხსენებულ სამეცნიერო-კვლევითი და სამკურნალო დაწესებულების შექმნას, განვითარებასა და წარმატებით საქმიანობას, რომელსაც იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ხელმძღვანელობდა.

1925 წლიდან მოყოლებული, 30 წლის განმავლობაში, ი. ასლანიშვილი ახორციელებდა ჩიყვიანობის ექსპედიციურ გამოკვლევასა და შესწავლას. მან



ამ მიზნით მოიარა საქართველოს მთელი მთა და ბა-  
რი. მისი მეცადინეობით შეგროვებული დიდძალი და  
ძვირფასი მასალა არა მარტო საფუძვლად დაედო  
ჩიყვიანობასთან ბრძოლის აქტუალური საკითხების  
გადაჭრას საქართველოში, არამედ ცნობა და მოწო-  
ვება მოიპოვა მთელ საბჭოთა კავშირში.

ჩიყვის საწინააღმდეგო რესპუბლიკური დისპან-  
სერი ერთ-ერთი მოწინავე გახდა სხვა ამგვარ დაწე-  
სებულებათა შორის მთელ საბჭოთა კავშირში და  
წამყვანი როლი ეკუთვნის ენდემიურ ჩიყვან ბრძო-  
ლაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ჩიყვიანობის  
მოსობაში, მაგალითად, ზემო სვანეთში, სადაც იგი  
მოსახლეობის საშინელი დამაყინებელი მტერი იყო,  
დიდი როლი ითამაშა სოფლებში მინერალური წყა-  
როების გამოყენებამ, რაც 1930-იანი წლებიდან ი. ას-  
ლანიშვილის მოთავეობით დაიწყო.

დიდა აგრეთვე ი. ასლანიშვილის დამსახურება  
იმაში, რომ საქართველოში შეიქმნა წმინდა ენდო-  
კრინოლოგების, ენდოკრინოლოგ-ქირურგების, ენ-  
დოკრინოლოგ-თერაპევტებისა და ენდოკრინოლოგ-  
ქიმიკოსების ძლიერი კადრი.

1925—1934 წლებში ი. ასლანიშვილი საქართვე-  
ლოს სსრ ექიმთა საზოგადოების პასუხისმგებელი  
მდივანია, 1935—1945 წლებში—საქართველოს სსრ  
ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის სა-  
მეცნიერო საბჭოს წევრი.

1939 წლიდან იგი კითხულობს ენდოკრინოლოგი-  
ის კურსს ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში და  
ამავე დროს მისი სამეცნიერო საბჭოს სწავლული  
მდივანია.

ყველა ეს მხოლოდ მცირედი ნაწილია, ძირითადი  
ჩონჩხია ი. ასლანიშვილის მიერ სამამულო მედიცი-  
ნაში გაწეული მოღვაწეობისა.

ადრე ჩაება ი. ასლანიშვილი საზოგადოებრივ მო-  
ღვაწეობაში და სიყრმითვე შეთვისდა და გამოიჩინა  
სამშობლო მხარის გაცნობისა და შესწავ-  
ლის ემხი.

უნივერსიტეტში შესვლისთანავე იგი ებმება სტუ-  
დენტთა მოძრაობაში და, კერძოდ, ქართველ სტუ-  
დენტთა სათვისტომოს მუშაობაში. უკვე 1913 წელს  
იგი ამ სათვისტომოს სამეცნიერო წრის დავალბით  
ხელმძღვანელობს მესხეთ-ჯავახეთის შემსწავლელ  
ისტორიულ-ეთნოგრაფიულ რაზმს.

დაუცხრომლად განაგრძო ი. ასლანიშვილმა სა-  
ზოგადოებრივი მუშაობა ჯარშიაც, მეტადრე მეფის  
ხელისუფლების დამხობის შემდეგ. იგი თავმჯდომარ-  
ეობს პოლკის კომიტეტს, დლეგატადა კავკასიის  
ლაშქრის 1-ლი კორპუსის ყველა ყრილობაზე და ერ-

ზინჯანში საარმიო ყრილობაზე ნებადაურთველად  
წასვლის გამო სამხედრო სამართალშიაც კია მიცე-  
მული.

1917 წელს მისი რედაქტორობით გამოდის 25-ე  
კავკასიის მსროლელი პოლკის 1-ლი ბატალიონის  
ჟურნალი „სოვოზნი გრავდანი ნა პოზიციას“  
(„თავისუფალი მოქალაქე პოზიციებზე“).

უკვე თბილისში ი. ასლანიშვილი 1921 — 1925  
და 1930 წლებში თბილისის მუშათა, კლხბთა და  
წითელარმიელთა საქალაქო საბჭოს წევრია.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ი. ასლანიშვილი  
უახლოვდება გიორგი ნიკოლაძეს და სხვა მოწინავე  
ქართველ ახალგაზრდობას. იგი იზიარებს მათ ტუ-  
რისტულ და მთასვლურ გატაცებას და ამ სამოქმე-  
დო სარბიელზედაც ძალ-ღონეს არ ზოგავს.

გ. ნიკოლაძესთან და ა. დიდებულიძესთან ერთად,  
იგი ხდება ქართული და ამავე დროს საბჭოთა მთა-  
მსვლელობის ფუძემდებელთაგანი. 1923 წელს იგი  
მონაწილეობს პირველ საბჭოთა ასვლებში მყინვარ-  
წვერზე, კერძოდ ა. დიდებულიძის ხელმძღვანელო-  
ბით მოწყობლ თბილისის გეოფიზიკური ობსერვა-  
ტორიის ექსპედიციაში, რომელშიაც, მწვერვალზე  
ასვლასთან ერთად, ექიმდაც მუშაობს და აკვირდება  
მისი სუნის გამოვლენას, სწავლობს მის მიზეზებს.

1924 წელს არსდება საქართველოს გეოგრაფიე-  
ლი საზოგადოება და ი. ასლანიშვილი — ამ საზოგა-  
დოების ერთ-ერთი წევრ-დამაარსებელთაგანი —  
1924—1933 წლებში მისი გამგეობის წევრი და მთა-  
სვლა-მგზავროსნობის განყოფილების თავმჯდომარ-  
ის მოადგილეა.

1933 წელს ი. ასლანიშვილი არჩეულია საქართვე-  
ლოს პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიათა  
საზოგადოების პლენუმისა და პრეზიდიუმის წევრად,  
ხოლო 1934 და მომდევნო წლებში თავმჯდომარ-  
ეობს მის სამთო-საიბნოლამოერო სექციას.

1936 წელს იგი აქტიურად მონაწილეობს საქარ-  
თველოს ალპური კლხბის დაარსებაში და მას აქეთ  
განუწყვეტლივ მუშაობდა მის ხელმძღვანელ ორგა-  
ნოებში.

ი. ასლანიშვილმა დაგვიტოვა ყველა თავისი მთა-  
სვლურ-ტურისტული მოგზაურობის ამომწურავი ან-  
გარიშები, რომლებიც ამავე დროს შეიცავს გზადა-  
გზა მოხდენილი დაკვირვების მრავალფეროვან მა-  
სალას.

ი. ასლანიშვილმა მონაწილეობა მიიღო საქარ-  
თველოს გეოგრაფიული საზოგადოებისა და საქარ-  
თველოს პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსი-  
ათა საზოგადოების მთელ რივ ექსპედიციებში, რო-  
მელთაგან ბევრს თვითონვე უფროსობდა. ასეთებია:

ექსპედიციები მყინვარწვევრზე 1923, 1927 და 1928 წლებში; ასევე უილფათაზე 1931 წელს; ექსპედიცია რატის კავკასიონზე 1932 წელს; ექსპედიცია აფხაზე-რის სვანეთში 1933 წელს; უშბის ექსპედიცია 1934 წელს, როდესაც ეს უმწიფესი მწვერვალი საბჭოთა მთამსვლელებმა — ალექსანდრე და ალექსანდრა ჯაფარიძეებმა, იავორ კაზალიკაშვილმა და გიორგი ნივურიანმა პირველად დაიპყრეს (ი. ასლანიშვილი ამ ექსპედიციის მომწყობი და ხელმძღვანელი ეგრეთ წოდებული „უშბის კომიტეტის“ თავმჯდომარე იყო); ალბინიდა ჯიმარაზე 1938 წელს და სხვ.

ი. ასლანიშვილი ნამყოფია 30-მდე ყინვარზე; მას გადავლილი აქვს 50-მდე უღელტეხილი დიდსა და მცირე კავკასიონზე, ავრეთვე ბონტოს ქედზე და სხვ.; იგი ასევე ღირს მწვერვალებზე და ბევრი ამ ასვლაჯიანი ან პირველი საბჭოთა ასვლა (უილფათაზე) ან საერთოდ პირველასვლა (ედენაზე, ფასის მთაზე, მარუხზე, უსახელოზე აფხაზეთის სვანეთში).

საქართველოს მიწა-წყლის კარგი ცოდნისა და, კერძოდ, ტოპონიმიკის საკითხებზე დიდი მასალის მოპოვების გამო 1939—1945 წლებში ი. ასლანიშვილი მონაწილეობს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სატრანსკრიპციო კომისიის მუშაობაში.

ის უშუალოდ მონაწილეობდა საძიებო-მეწველ მუშაობაში გერგეტისა და ახანის ყინვარებზე, როდესაც 1932 წელს მყინვარწვევრზე შ. მიქელაძე დაიღუპა.

ი. ასლანიშვილი გარდა იმისა, რომ ნიადავ თანამშრომლობდა სხვადასხვა ქართულ და რუსულ ჟურნალ-გაზეთებში, ხშირად ცალკე გამოცემათა (როგორც პერიოდული, ისე ერთდროული) წამომწვები და რედაქტორიც იყო.

მისი ხელმძღვანელობითა და რედაქტორობით 1912 წელს ოდესაში გამოვიდა ქართველ სტუდენტთა ჟურნალი „ჩონგური“, ხოლო 1914 წელს დიდტანინაი კრებული „ცხოვრება და მეცნიერება“; მისივე რედაქტორობით ქუთაისში გამოდის ჟურნალები: 1919 წელს „თეატრი და მუსიკა“, ხოლო 1920 წელს „ხელოვნება“; 1924 — 1932 წლებში ი. ასლანიშვილი ჟურნალ „თანამედროვე მედიცინის“ სარედაქციო კოლეგიის წევრია, 1929 — 1931 წლებში კი — რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი; 1932 და მომდევნო წლებში იგი ჟურნალ „ბოლოტარული ტურისტის“ სარედაქციო კოლეგიის წევრია, მრავალი წლის განმავლობაში ალ. ჯაფარიძის სახ. საქართვე-

ლოს ალბური კლუბის საგამომცემლო კომისიის თავმჯდომარე და სხვ.

260-დე უფრო წერილი საჟურნალგაზეთებში რილი რომ არ ვინაგარიშოთ, ი. ასლანიშვილმა დაავტოვა ასზე მეტი შრომა, უმეტესად გამოქვეყნებული. 46 შრომა დაბეჭდილი ჰქონდა მარტო მედიცინის დარგში, მათ შორის 30 ენდოკრინოლოგიის საკითხებზე; სამედიცინო ხასიათის ნაშრომებიდან მოსახსენიებელია ავრეთვე მისი წერილები ფიზკულტურულ მედიცინაში, ექიმთა მუშაობაზე ტურისტთა და მთამსვლელობაში, ტურისტის საკითხებზე, მთის ავადმყოფობაზე და სხვ. ტურისტისა და, უმთავრესად, მთამსვლელობის ისტორიიდან და სპორტის ამ სახეობათა თანამედროვე განვითარების საკითხებზე ი. ასლანიშვილმა გამოაქვეყნა 12 ნაშრომი (წიგნები და სტატიები).

გაკვრით მაინც უნდა ითქვას, რომ დიდად საყურადღებოა ი. ასლანიშვილის არქივი და ბიბლიოთეკა. მას შემონახული აქვს ბევრი უაღრესად ძვირფასი საბუთი მეტადრე ქართული მედიცინის, კერძოდ, ენდოკრინოლოგიის, და საბჭოთა მთამსვლელობა-ტურისტის განვითარების თაობაზე. ი. ასლანიშვილის ბიბლიოთეკა, სხვა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას შორის, შეიცავს, მაგალითად, „ვეფხისტყაოსნის“ ყველა გამოცემა, არათუ მარტო ქართულს, არამედ ყველა ენაზე, რომელზედაც კი იგი დასტამბულა.

მისი ღვაწლის გამო ი. ასლანიშვილს 1946 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმისა და სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

მის საწერ მაგიდაზე დარჩა 500 ცალად დასტამბული მოხსენება „საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს რესპუბლიკური ჩიყვის საწინააღმდეგო დისპანსერის სამეცნიერო-კვლევითი და სამკურნალო-პრაქტიკული მუშაობა 1948—1955 წლებში და საქართველოს სსრ-ში ენდემიურ ჩიყვთან 7 წლის ბრძოლის შედეგები“ (რუსულად; მრავალი დიაგრამით და სქემით).

ამ ხანებში ეს ანგარიში განსვენებულის სახელით საქართველოს სსრ დამსახურებულმა ექიმმა შ. უკლებმა მოახსენა ენდემიურ ჩიყვთან ბრძოლის საკითხებზე მოსკოვში მოწვეულ V სრულიად საკავშირო თათბირს.

ი. ასლანიშვილი გარდაიცვალა თავისი სანუკვარი საქმისათვის ზრუნვაში; იგი ბოლომდე ბეჯითად იბრძოდა მისი წარმატებისათვის.



# ქვანახშირის ჯეელი ფენის დამუშავება

სამთო ინჟინერი R' ჯომაბაჩიძე

თუ ქვანახშირის ფენის სისქე 3,5 მ აღემატება, მაშინ მას სქელ ფენას უწოდებენ. ასეთი ფენების საბადოები ბუნებაში ფართოდ არის გავრცელებული და ქვანახშირის მსოფლიო მარაგის მნიშვნელოვან ნაწილს შეიცავენ. ამით აიხსნება, რომ სქელი ფენების დამუშავების საკითხმა თავიდანვე დიდი ყურადღება მიიქცია, ხოლო ქვანახშირის მრეწველობის ზრდის შედეგად კი უფრო მნიშვნელოვანი გახდა.

სქელი ფენებიდან ქვანახშირის მოპოვება საბადოს როგორც ღიად, ისე მიწისქვეშა დამუშავებით შეიძლება მოხდეს.

საბადოს ღიად დამუშავება მაშინ წარმოებს, როდესაც ქვანახშირის ფენა მიწის ზედაპირიდან ახლოსაა განლაგებული, ანდა უშუალოდ მიწის ზედაპირზე გამოდის (ნახ. 1). ღიად დამუშავების



ნახ. 1. ქვანახშირის ფენის ღიად დამუშავება

დროს როგორც საბადოს გადახსნა, ისე მისი დამუშავება შედარებით იოლად წარმოებს. ზოგჯერ, როდესაც ამისათვის შესაფერისი პირობები არსებობს, საბადოს ღიად დამუშავება ჰიდრაულიკური ხერხით ხდება. ამ შემთხვევაში სამთო სამუშაოები კიდევ უფრო მარტივდება და უმჯობესდება მოპოვების ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებით.

მაგრამ საბადოს ღიად დამუშავება მიწის ზედაპირიდან მხოლოდ გარკვეულ სიღრმეებზე ეკონომიურად ხელსაყრელი, რადგან დამუშავების სიღრმის ზრდით, დიდდება რა გადახსნითი სამუშაოების მოცულობა (ნახ. 1ბ), მოპოვებული ქვანახშირის თვითღირებულება იმდენად იზრდება, რომ იგი მიწისქვეშა დამუშავებით გამოღებული ქვანახშირის თვითღირებულებას აჭარბებს და, მასშასადამე, მიზანშეწონილი ხდება მიწისქვეშა დამუშავებაზე გადასვლა.

საბადოს მიწისქვეშა დამუშავება თავიდანვე ეკონომიურად ხელსაყრელია იმ შემთხვევაში, როდესაც ქვანახშირის ფენა მიწის ზედაპირიდან ღრმად არის განლაგებული. პრაქტიკულად ეს სიღრმე ცალკეულ შემთხვევაში 100 მ-ზე მეტია.

საერთოდ ცნობილი რთული პირობები, რომელ-


ბიც ქვანახშირის საბადოს მიწისქვეშა დამუშავების დროს არსებობს, სქელი ფენების შემთხვევაში კიდევ უფრო მეტად საგრძნობი ხდება, რაც ხელს უშლის ასეთი ფენების რაციონალურად დამუშავებას.

ქვანახშირის მრეწველობის განვითარების მთელ მანძილზე სქელი ფენების მიწისქვეშა რაციონალურად დამუშავების საკითხი მუდამ აქტუალურ პრობლემად ითვლებოდა, რომლის გადასაჭრელად 160-ზე მეტი წელია რაც მუშაობენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დღეისათვის არსებული დამუშავების სისტემები, რომლებიც ასეთი წანგრძლივი ძიებისა და გაუმჯობესებათა შედეგად წარმოიღვეს, ჯერ კიდევ მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს შეიცავენ. ამიტომაც, რომ სქელი ფენების მიწისქვეშა დამუშავების რაციონალური სისტემების შესაქმნელად კვლავ დიდი მუშაობა წარმოებს.

განსაკუთრებით ფართოდაა გაშლილი მცენიერულ-კლვევითი მუშაობა ამ მიმართულებით საბჭოთა კავშირში, რაც არა მარტო იმით აიხსნება, რომ ჩვენი ქვეყნის ქვანახშირის მარაგის დიდი ნაწილი (კუზნეცის, მოსკოვის, მიუსის, ჩელიაბინსკის, შუა-აზიის, ტუბოტულის საბადო და სხვა აუზები) სქელი ფენებითაა წარმოდგენილი, არამედ, რაც მთავარია, იმითაც, რომ სოციალისტური სახელმწიფოს პირობებში მისაღებად დამუშავების მხოლოდ რაციონალური სისტემები ითვლება.

ძირითადი სიძნელეები სქელი ფენების დამუშავების დროს ფენის დიდი სისქით არის გამოწვეული. ასეთი ფენების მთელ სისქეზე ერთდროულად რაციონალურად დამუშავება (გარდა იმ შემთხვევებისა, რომელთა შესახებ ცალკე იქნება ნათქვამი) დღეისათვის შეუძლებლად ითვლება, რადგან პრაქტიკულად მეტად ძნელია 3,5—4,0 მეტრი სიმაღლის მჭირე გამოღებული სივრცის გამაგრება, მოუხერხებელია წმენდითი სამუშაოების (ბურღვა, მონტაჟი) წარმოება, მნიშვნელოვანადაა გართულებული აგრეთვე სანერვისა და ჭერისათვის თვალყურის დევნება, საიდანაც ჩამოცვნილია ნატეხებმა სერიოზულად შეიძლება დასაჭიროს იქ მომუშავენი. განსაკუთრებული სიძნელე კი ჭერის მართვაში მდგომარეობს.

ჭერის მართვა, საბადოს მიწისქვეშა დამუშავების დროს ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს და იგი შემდეგში მდგომარეობს (ნახ. 2): ფენის გამოღების შედეგად სახურავ და საგებ გვერდებს შორის სიცარიელე წარმოიშობა. საყრდენამოცლილი სახურავის შემთხვევაში ჭერის ქანების აქამდე გაწონასწორებული მდგომარეობა ირღვევა, ეს ქან-



ნახ. 2. სანგრევის გამაგრება და ჰერის მართვა

ბი საკუთარი წონის გაელენით, უმნიშვნელო გადუნებისა და დაზარების შემდეგ, ტყდება და ცვივა გამოშუშავებულ სივრცეში. იმისათვის, რომ სანგრევი მუშაობა უსაფრთხო იქნეს, ქვანახშირის გამოვლების მიღებული წესისა და გვერდითი ქანების თვისებების შესაბამისად, ფენის გავრცელების მიხედვით სანგრევიდან 2,5—5,0 მ, დაქანებით კი — სანგრევის მთელ სივრცეზე, აწყობენ ე. წ. სამგრეველო გამაგრებას, რომელიც ჰერის შეკავებას მხოლოდ დროებით და ისიც მცირე ფართობზე უზრუნველყოფს. სანგრევის შემდგომი წინსვლით, იზრდება რა ჰერის გაშიშვლების ფართობი, იზრდება ზემდებარე ქანებიდან დაწოლის სიდიდეც, რომლის შეკავება სამგრეველო გამაგრებას უკვე აღარ შეუძლია და ამიტომ საჭირო ხდება დაწოლის ამ სიდიდის, ანუ სამთო წნევების, ხელოვნურად შემცირება. სამთო წნევების ასეთ ხელოვნურ რეგულებას ჰერის მართვას უწოდებენ.

თხელი და საშუალო სისქის ფენების შემთხვევაში ჰერის მართვის საკითხი ადვილად წყდება. სქელი ფენების დამუშავების შემთხვევაში კი ჰერის მართვა საკმაოდ რთულია და, დამუშავების სისტემის მიხედვით, მთლიანი სვებით ან მთლიანი ჩამოტყვით შეიძლება მოხდეს.


სქელი ფენების დამუშავების სისტემებს ორ ძირითად ჯგუფად ჰყოფენ: ა) დამუშავების სისტემები ფენის მთელ სისქეზე ერთდროულად გამოვლებით ანუ დამუშავება შერეგად დაუყოფლად და ბ) შერობრივად დამუშავების სისტემები.

შერეობრივად დაუყოფლად დამუშავება სქელი ფენებიდან ქვანახშირის მოპოვების ძველი ხერხია და შეიძლება წარმოებდეს ზოლების, სვეტური და საკნური სისტემებით.

ზოლების სისტემა, რომელსაც მხოლოდ 4 მ-დე სისქის მქონე ფენებისათვის იყენებდნენ, მისი მრავალი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების გამო, ვერ გავრცელდა. რაც შეეხება სვეტურ სისტემას, მან შედარებით ფართო გავრცელება პოვა აგრეთვე 4 მ-დე სისქის მქონე ფენების დამუშავების შემთხვევაში ჰერის ჩამოტყვით მართვის დროს. დამუშავების სვეტური სისტემის გაუმჯობესების საქმეში მნიშვნელოვან წარმატებას საბჭოთა სამთო მეცნიერებამ მიაღწია, რომლის ერთ-ერთმა თვალსაჩინო მოღვაწემ — პროფ. ჩინკაჯიმა შექმნა ახალი, ე. წ. ფ ა რ ი ს ს ი ს ტ ე მ ა. დამუშავების ეს სისტემა, რო-

მელიც ფართოდ დანერგა კუზნეცის ქვანახშირის აუზში, შემდეგში მდგომარეობს (ნახ. 3): ციკაზოდ დაქანებული მშვიდი წოლის ფორმის მქონე სქელი ფენის გამოვება დაქანებით განლაგებულ 15,0—25,0 მ სივანის მქონე ზოლებად, ანუ სვეტებად, წარმოებს. ეს ზოლები (სვეტები) საზიდ და სავენტილაციო შტრეკებს შორის გაყვანილი აღმავალი გამოწამუშავებებით ანუ ე. წ. სასულებებით 3—5 ნაწილად იყოფა, რომლის ზემოთ, ფენის მთელ სიმაღლეზე და სვეტის სივანზე 2,1 სიმაღლის მქონე გამოწამუშავარი გაპკავით ფარის დასამონტაჟებლად. ფარი შედგება ლითონის ჩარჩოს ცალკეული სექციებისაგან, რომელზედაც ზემოდან რამდენიმე რიგად მორებს აწყობენ. სექციების სიგრძე 5 — 6 მ, სივანე კი ფენის სიმაღლის მიხედვით აიღება და შეიძლება იყოს ერთმაგი — 6—7 მ ფენის შემთხვევაში და ორმაგი — 6 — 11 მ ფენის დროს.


დამონტაჟების შემდეგ ფარის ზემოთ ფენის სახურავ გვერდს აფთქებენ, რის შედეგად მონტაჟული ქანები ფარზე ეშვება და, წყნდითი სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით, მის თანდათანობით დაშვებას უწყობენ ხელს. ფარის ქვეშ ჩვეულებრივი წესით მოპოვებული ქვანახშირი სასულებებით საზიდ შტრეკში იყრება, სადაც ხდება მისი რეატირება საშხტო ვაგონებებში.



ნახ. 3. ფარის სისტემა

ფარის სისტემა დიდი წარმადებით, შრომის მაღალი ნაყოფიერებით და უსაფრთხოებით ხასიათდება, მაგრამ მას გააჩნია თავისი ნაკლოვანებები, როგორცაა: მარაკის მნიშვნელოვანი დანაკარგები, ხე-ტყის მასალისა და ლითონის დიდი ხარჯი და სხვ., რომელთა შემცირების მიზნით სათანადო მუშაობა წარმოებს.

დამუშავების საკნური სისტემებით იღებდნენ ნებისმიერი კუთხით დახრილ 8,0 — 10,0 მ (ყარგანდისა და კუზნეცის აუზები), ხოლო ზოგჯერ კი — უფრო მეტი (ტყობულის საბადო) სისქის მქონე ქვანახშირის ფენებს. ცნობილია საკნური სისტემების ორი ძირითადი ვარიანტი: ა) საკნების აღმავლობით გამოშუშავება მონგრეული ქვანახშირის დაწყობურებით (ნახ. 4ა) და ბ) საკნების დაღმავლობით გამოვლება (ნახ. 4ბ, — ტყობულის საბადო). ორივე ვარიანტის შემთხვევაში საართულის მიმზადდება და დაჭრა თითქმის ერთნაირად წარმოებს, საკნების გამოვება კი შედევნიარად ხდება: პირველი ვარიანტით ვაჰყუთ შეწყვილებული სასულებით ერთმანეთს ვაჰყუთ 6,0—12,0 მ დაშორებით, რომელთა შორის მოთავსებული ფენის ნაწილს



ნახ. 4. დამუშავების საკურთხის სისტემები

მთელ სიმძლავრეზე ერთდროულად იღებენ (ამის შედეგად შექმნილ სივრცეებს საკანი ეწოდება, საიდანაც წარმოიშობა ამ სისტემის სახელი). მონგრეული ქვანახშირის მხოლოდ ისეთ რაოდენობას უშვებენ, რომ საკანში სამუშაო სივრცე არსებობდეს. დანარჩენი ქვანახშირი საკანში წყობურდება. და ასრულებს დროებითი ვესების როლს საკანის მთლიანად გამოღებამდე, რის შემდეგ წარმოებს მისი გამოთვლითა, ხოლო საკანში სახურავი გვერდის თვითნაამოტყვევა ხდება. მეორე ვარიანტი (ნახ. 4 ბ) მუშაობის დროს საკანის სივრცე 16,0 მ-მდე აღწევს; ამ დროს პირველად საკანის მთელ ფართზე 2,5 — 3,0 მ სიმძლავრის მქონე შრეს იღებენ აღმაგლობით, რის შემდეგ ფენის ზედა ნაწილის გამოშუშავებას სასულეებიდან ბურღვა-ფეთქებითი სამუშაოების საშუალებით დაღმაგლობით აწარმოებენ.

დამუშავების საკურთხის სისტემები მრავალი უზედური შემთხვევებით. მეტად დიდი დანაკარგებით (40 — 50%), მიწის ქვეშა ენდოგენური ხანძრებით, და სხვა დიდი ნაკლოვანებებით ხასიათდება. ამიტომ დამუშავების ეს სისტემები საბოლოოდ ვერ დამკვიდრდა, ხოლო ჩვენში — კანონით იქნა აკრძალული.


ამგვარად, სქელი ფენების (რომელთა სიმძლავრე 4,0 — 5,0 მ აჭარბებს) შრეებად დაუყოფლად რაციონალურად დამუშავება, გარდა ფარის სისტემის გამოყენებისა (ეს კი, როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, მხოლოდ გარკვეულ პირობებშია შესაძლებელი), შეუძლებელი აღმოჩნდა. ამ მდგომარეობამ განაპირობა სქელი ფენების შრეობრივად დამუშავებაზე გადასვლა.

სქელი ფენის შრეობრივად დამუშავების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ფენის გამოღება თანდა-

თანობით 2,5—3,5 მ სისქის მქონე შრეებად ხდება და, მასასადავად, ერთი სქელი ფენის ნაცვლად საკმარისად დამუშავება, ჩვეულებრივ, სვეტური სისტემით წარმოებს. მართალია, შრეებად დაყოფით სქელი ფენის დამუშავება გაცილებით ხელსაყრელია, ვინაშნ შრეებად დაუყოფლად, მაგრამ იმის გამო, რომ ხელოვნურად შექმნილი სამუშაო სისქის ფენები (შრეები) უშუალოდ ერთმანეთზე არიან განლაგებული, მათი გამოღება მაინც საკმარისად რთულია.


ასეთი სისტემებით სქელი ფენა შეიძლება იქნეს დამუშავებული: ა) თ არ აზ უ ლ შ რ ე ე ბ ა დ (ნახ. 5ა) — ნებისმიერი წოლის ფორმის შემთხვევაში, დახრილ და ციცაბოლ დაქანების დროს; ბ) და ხ რ ი ლ შ რ ე ე ბ ა დ (ნახ. 5ბ) — შუიდი წოლის ფორმისა და ნებისმიერი დახრის კუთხის შემთხვევაში და გ) ვ ა ნ ე ლ და ხ რ ი ლ შ რ ე ე ბ ა დ (ნახ. 5გ) დახრილ და ციცაბოლ დაქანებული ფენების დროს.

შრეების გამოღება შეიძლება მოხდეს ქვევიდან ზევით—აღმაგალი რიგით (ნახ. 5, არაბული ნუმერაცია) ან ზევიდან ქვევით—დაღმაგალი რიგით (ნახ. 5, რომაული ნუმერაცია).




ნახ. 5. შრეობრივად დამუშავება

აღმაგალი რიგით შრეების გამოშუშავების დროს (ნახ. 6), გარკვეულ ფართობზე წმინდითი სამუშაოების ჩატარების შემდეგ, შრის გამოშუშავებულ სივრცეს (გარდა სამუშაო ადგილისა) ფუჭი ქანით მკვრივად ავსებენ. ეს ვსება, რომელიც საჭიროა ჭერის მართვის თვალსაზრისით, ამავე დროს, ასრულებს საკვები გვერდის როლსაც ზემდებარე შრის გამოღების დროს. ამიტომ მის სიმკვრივეს დი-



ნახ. 6. შრეების გამოღება აღმაგალი რიგით. ა — თარაზული შრეები, ბ — დახრილი შრეები

დი მნიშვნელობა აქვს. ვსების სიმკვრივეზე დამოკიდებული ვსების ჯდომის სიდიდე, ხოლო ამ უკანასკნელისაგან კი — ფენის გამოუღებელი ნაწილის მთლიანობა. ამ მთლიანობის დარღვევით იგი ნაპრალიანდება, რითაც, მართალია, ადვილდება წმენდითი სამუშაოების წარმოება. მაგრამ ამავე დროს ძნელდება ჭერის მართვა და, რაც მთავარია, ჩნდება ენდოგენური ხანძრების წარმომშობი პირობები. ამის გამო დღეისათვის მიღწეული ვსების სიმკვრივის გათვალისწინებით, აღმავლობით მხოლოდ სამი შრის გამოღება ითვლება შესაძლებლად. იმ შემთხვევაში, როდესაც სქელი ფენა უფრო მეტი რაოდენობის შრეებად უნდა იქნეს დამუშავებული, მას დაღმავალი რიგით ამუშავებენ (ნახ. 7).



ნახ. 7. შრეების გამოღება დაღმავალი რიგით.  
 ა — თარაზული შრეები, ბ — დაბრილი შრეები

გემთქმულიდან ჩანს, რომ სქელი ფენების შრეობრივად დამუშავების დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვსების ხარისხს, რაც სავეები მასალების მოსაპოვებლისა და ვსების წარმოების მეთოდისაგანა დამოკიდებული.


დღეისათვის, შრეების აღმავალი რიგით დამუშავების შემთხვევაში, ყველაზე უკეთეს მასალად ქვიშა ითვლება, დაღმავალი რიგის გამოყენების დროს კი — ის სავეები მასალა, რომელიც კარგი შემჭიდროების უნარიანობით ხასიათდება.

გამომუშავებული სივრცის ვსება შეიძლება მოხდეს ხელით, თვითღინებით, მექანიკურად, პნევმატიკურად და ჰიდრაულიკურად. ვსების ამ სახეებიდან შედარებით უფრო მეტი გავრცელება უკანასკნელმა ორმა პოვა.

პნევმატიკური ვსება გამომუშავებული სივრცის ვსებას, ხოლო ზოგჯერ კი სავეები მასალის ტრანსპორტირებასაც შეეკუშულ პაერზე მომუშავე დანადგარით გულისხმობს. ვსების ეს სახე შედარებით ახალია: პირველი სავეები მანქანა 1924 წ. იქნა დაშადაებული.


არჩევნ დაბალი და მაღალი წნევის დანადგარით პნევმატიკურ ვსებას. დაბალი წნევის დანადგარით ვსება შემდგენიარად წარმოებს (ნახ. 9): სანგრევიდან 10,0 — 15,0 მ მანძილზე, დაშორებით მოთავსებულ სავეებ დანადგარს (3) კომპრესორიდან მილსადენით (1) შეეკუშული პაერი, ხოლო ლენტური ტრანსპორტირით (2) სავეები მასალა მიეწოდება. დანადგარში მოხვედრილი სავეები მასალა ფხვიერდება და შეეკუშული პაერით, მილსადენის (5) საშუალებით, გაიტყორცნება ამოსავებ სივრცეში. მაღალი წნევის დანადგარით მუშაობის შემთხვევაში დანადგარი გამომუშაებულ სივრციდან 800—1000 მ მოშორებითაა მოთავსებული და სავეები მასალის ტრანსპორტირებას მილსადენის საშუალებით აწარ-

სქელი ფენის დაღმავალი რიგით შრეობრივად დამუშავება საკმაოდ რთული საქმეა. ამ შემთხვევაში ზედა შრის გამოღების შემდეგ, გამოსადები შრის სახურავ გვერდში ყოველთვის ვსებაა, რომლის სიმდგრადე, ჩვეულებრივ, არ არის ხოლმე ქვანახშირების სიმდგრადეზე მეტი, ამიტომ დაღმავალ



ნახ. 8. წინასწარი ფენილი

რიგით შრეების დამუშავების დროს, როგორც წესი, აუცილებელია ე. წ. წინასწარი ფენილის (ნახ. 8) მოწყობა. ეს ფენილი ზედა შრის გამოღების შეუღებ მის სავეებ გვერდში ამოღებულ ღრმულებში ჩაწყობილ ძელებზე ფიცრების, ანდა ლითონის ბადისაგან კეთდება, რომლის ზემოთ წარმოებს გამომუშაებულ სივრცის ვსება. ამით აღწევნ ქვედა შრის გამოღებისათვის საჭირო საშუალო სივრცის ზედა შრეში არსებული ვსებისაგან განმხოლოებას. ასეთი განმხოლოებისათვის ქვანახშირის ფენაში ზოგჯერ არსებული ფუჭი ქანის შუაშრეებაც იყენებენ; თუ ისინი საკმაო სისქისა (არა ნაკლებ 0,7 — 1,0 მ) და სიმდგრადისა არიან.




ნახ. 9. პნევმატიკური ვსება. 1 — კუმპაერის მილსადენი, 2 — ლენტური ტრანსპორტირი, 3 — სავეები მანქანა, 4 — მანქანის ამრავი, 5 — სავეები მასალის მილსადენი

მოებს. მართალია, ამ უკანასკნელ შემთხვევაში აღარაა საჭირო საესე-  
ბი დანადგარის ხშირი გადაადგი-  
ლება, რაც პირველ შემთხვევაში  
აუცილებელი იყო და რაც ამ წყის  
ღირსებას შეადგენს. მაგრამ მას  
ის ნაკლოვანება გააჩნია, რომ სა-  
ჭიროებს მაღალი წნევის საკომპ-  
რესორო დანადგარებს და მილსა-  
დენების დიდ ხარჯს მილსადენების  
ინტენსიური ცვეთის გამო.

ჰიდრაული კვითის ანუ სვე-  
ლი ვსების დროს მასალის  
ტრანსპორტირება და გამოშუშვე-  
ბული სივრცის ვსება წყლის ენერ-  
გიის გამოყენებით წარმოებს. ასეთ  
ვსებას ვასული საუკუნის 90-იანი  
წლებიდან იყენებენ და იმ  
უპირატესობათა გამო (თანაბარი  
და მკვირივ ვსება, ვსების ტექნი-  
კის შედარებითი სიმარტივე, შრომის მაღალი  
ნაყოფიერება და სხვ.), რაც მას, ვსების დანარჩენ  
სახეებთან შედარებით, გააჩნია. ვსების ამ სახეს მნი-  
შვნელოვანი პერსპექტივა აქვს. ჩვენში ჰიდრაული-  
კურ ვსებას იყენებენ კუზნეცკის აუზისა და ტყიბუ-  
ლის საბადოს სქელი ფენების დამუშავების დროს.

ჰიდრაულიკური ვსებით დამუშავების სქემა, რო-  
მელიც მოცემულია მე-10 ნახ-ზე (ტყიბულის საბა-  
დოს), შემდეგში მდგომარეობს: კარიერი (1) მოთ-  
ვებული სავსები მასალა მოტრავლის შემადგენ-  
ლობის საშუალებით სამტრევე-დამხარისხებელ ფაბ-  
რიკაში (2) იზიდება, სადაც დამუშავების შემდეგ  
იგი ლენტური ტრანსპორტირით (3) სარეველა მო-  
წყობილობას (4) მიეწოდება. აქ ხდება სავსები და  
წყლისა და წყლის ნარევის, ე. წ. ბულბის შექმნა,  
რომელიც ბულბსადენით (7) მიწის ზედაპირიდან  
ხვდება ჯერ მისთვის სპეციალურად გაყვანილ შუ-  
როში (8), ხოლო შემდეგ რივი ვსება მიწისქვეშა გა-  
მონაშუშვრების (9, 10, 11) გზით — ამოსავსებ  
სივრცეში (12). ამის შემდეგ საჭირო ხდება ბულბი-  
საგან წყლის მოცილება, რაც, აუცილებელია საესე-  
ბი მასალის გამკვირებისა და სხვა სამთო გამოშა-  
მუშვრების ბულბის წყლის მიღებისაგან დაცივის  
თვალსაზრისით. ბულბიდან წყლის მოცილებისათვის  
გამოშუშვებულ სივრცეში ვსების დაწყებამდე აწ-  
ყობენ დახვრტილ ანუ ე. წ. პერფორირებულ ლი-  
თონის მილებს, რომლებსაც გადამუშავებული წყლის  
მილსადენს (15) უერთებენ, ხოლო ამოსავსებ სივრ-  
ცეს სხვა სამთო გამოშაშვრებიდან წყალგაუვალი  
ზღვლირით (14) ამხოლოებენ. ამანარად წყლის მო-  
ცილება მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათ-  
დება: პერფორირებული მილით წყალთან ერთად  
სავსებო მასალის წვრილი ნაწილაკების მნიშვნელო-  
ვანი რაოდენობა (მთელი საესები მასალის 10 —  
15%) გამოდის, რითაც მცირდება საესები მეურ-  
ნეობის ნაყოფიერება და ადვილი აქვს სატუმბო და-



ნახ. 10. ჰიდროვსების კომპლექსის პრინციპული სქემა

ნადგარების ინტენსიურ ცვეთას. გარდა ამისა, პერ-  
ფორირებული მილი ვერ უზრუნველყოფს წყლის  
მთლიანად მოცილებას და გამოღებულ სივრცეში  
დარჩენილი წყალი სხვადასხვა გზით მაინც გამო-  
დის სამთო გამოშაშვრებში და ქმნის ზედმეტი  
სამუშაოების ჩატარების აუცილებლობას. ყოველივე  
ამის გამო, წყლის მოცილების საკითხი ჯერჯერობით  
გადაუჭრელია.

მართალია, სქელი ფენების შრომობრივად დამუშა-  
ვება უფრო მიზანშეწონილად ითვლება, ვიდრე დამუ-  
შავება შრეებად დაყოფილად. მაგრამ დღეისათვის  
სქელი ფენების შრომობრივად დამუშავების არსებული  
სისტემებზე ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი. ამის  
გამოა, რომ სქელი ფენების შრომობრივად დამუშა-  
ვების რაციონალური სისტემების შესაქმნელად მა-  
არსებულთა ვასაშუაგობებულად მეცნიერულ-კვლე-  
ვითი მუშაობა ისევ გრძელდება.

ამასთან ერთად ჩვენში წარმოებს სქელი ფენების  
მიწისქვეშა დამუშავების სრულად ახალი ხერხების  
ძიება. ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის  
შედეგები — მიწისქვეშა დამუშავების ჰიდრაულიკუ-  
რი ხერხის შექმნით წარმოადგენს საბჭოთა სამთო  
მეცნიერების ახალ ბრწყინვალე გამარჯვებას. დამუ-  
შავების ეს პროცესული ხერხი (რომლის ავტორია  
ტექ. მეცნიერებთა დოქტორი ვ. ს. მუხნიცი) დღეი-  
სათვის, პირველად მსოფლიოში, უკვე დანერგილია  
კუზნეცკის ქვანახშირის აუზში. საკვშირო მთავრო-  
ბის გადაწყვეტილებით დასახულია ჰიდრაულიკური  
ხერხის მოპოვების დანერგვა სსრ კავშირის ქვანახ-  
შირის ისეთ მნიშვნელოვან აუზებში, როგორცაა  
მოსკოვის, დონეცის, შუა აზიისა და სხვ.

არსებობს მოსაზრებები, რომ ჰიდრაულიკური  
ხერხი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოს  
ქვანახშირის საბადოების დასამუშავებლადაც, რის  
განხორციელების შემთხვევაში გადაჭრება ისეთი  
რთული საბადოს რაციონალურად დამუშავების სა-  
კითხი, როგორცაა ტყიბულის ქვანახშირის საბადო.

# ს. აბოვიანი და დიდი პროკრატის დაჯერება



სომხეთის თანამედროვე ლიტერატურული ენის ფუძემდებელს, გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს ხაჩატურ აბოვიანს დიდი დიდი მიუძღვის მშობლიური მხარის შესწავლაშიც და სომხეთის მთების დაპყრობაში.

ბ. აბოვიანს, თავისი ქვეყნის პატრიოტსა და მისი ბუნების დაუღალავ მკვლევარს, წილად ხვდა ემოგზაურა ისეთ გამოჩენილ მოგზაურ-მკვლევარებთან და ბუნებისმეტყველებთან, როგორიც იყვნენ: დერპტის (ტარტუს) უნივერსიტეტის პროფ. ფრიდრიხ პაროტი, პოეტი ფ. ბოდენშტეტი, ბოტანიკოსი მ. ვანგერი, იენის უნივერსიტეტის ბოტანიკოსი პროფ. კ. კოხი, დერპტის უნივერსიტეტის პროფესორი და შემდეგში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, გეოლოგი გ. აბიხი, მწერალი-აკადემიკოსი ა. მურავიოვი, ინგლისელი ალბინისტი სიმურო და სხვ. მან და-მოუკიდებლად იმოგზაურა აგრეთვე სომხეთის სხვადასხვა კუთხეებში.

ხაჩატურ აბოვიანი პროფ. ფ. პაროტთან ერთად 1829 წლის 27 სექტემბერს (ძველი სტილით), მსოფლიოში პირველად, კვლევის მიზნით, ავიდა დიდი არარატის მწვერვალზე\*, რითაც ბოლო მიეღო ხალხში გავრცელებულ ცრუ რწმენას ამ მთის მიუვალობის შესახებ.

1701 წ. აგვისტოში ფრანგი ბოტანიკოსის ტურნეფორის ცდა — ასულიყო დიდი არარატის მწვერვალზე, უშედეგოდ დამთავრდა.

1829 წელს სომხეთში არარატის მთის მწვერვალზე ასვლის და მეტეოროლოგიური დაკვირვების მიზნით ჩავიდა პროფ. პაროტი, იგი აღვილობრივ მეცხოვრებთა შორის ეძებდა გაბედულ და გზების მცოდნე გამყოლს. ეს იმ დროს არც ისე ადვილი იყო, ვინაიდან სამღვდლოება ხალხში ავრცელებდა რელიგიურ ბოღვას არარატის მთის „სიწმინდისა“, ნოეს კილობნისა და მისთანათა შესახებ. თანხმობა პაროტთან მოგზაურობაზე პირველმა მხოლოდ 24 წლის ახალგაზრდა ხაჩატურ აბოვიანმა განაცხადა.

1829 წლის 26 სექტემბერს ხაჩატურ აბოვიანი

\* იმავე წელს იალბუზზე პირველი ავიდა ყაბარდოელი ქობლარი ხაშირბოვი.

პროფ. პაროტთან, ორ სტუდენტთან — შიშინთან და ბეზაგელთან, მე-14 ეგერის პოლკის პარისკაცებთან — ალექსი ზდაროვენკოსთან და მატევი ჩაბლანოვთან, სოფ. ახურის გლეხებთან — ოგანეს აივანიანთან და მუხატ პოლოსიანთან ერთად მეორედ იწყებენ იერიშს მწვერვალზე ასასვლელად (18-20 სექტემბერს მწვერვალზე ასვლის ცდა უშედეგოდ დამთავრდა). იმავე დღის შუადღემდე ექსპედიციამ მიაღწია საკმაოდ მოვარებად მინდორს, თათრულად — „კიბ-გელ“-ს. აქ საათნახევარი შეისვენენ და შემდეგ კვლავ გაემგზავრნენ, საღამოს 5 1/2 საათზე მოგზაურები თოვლის ხაზის ახლოს იმყოფებოდნენ და დაბანაკდნენ კლდეებს შორის. 27 სექტემბერს, დილის 5 1/2 საათზე ექსპედიცია დაიძრა წინ. ნახევარი საათის შემდეგ შეუდგნენ თოვლით დაფარულ ფერდობებს. გზა თანდათან უფრო და უფრო ძნელდებოდა. იმდროინდელი ალბინისტი ტექნიკის პირობებში ასეთ ფერდობებზე ასვლაც კი სიძნელეს წარმოადგენდა. 10 საათზე ალბინისტური ჯგუფი მიაღვა თოვლიან საფეხურს, სადაც სვლას მხოლოდ ყინულზე საფეხურების ამოქრით ახერხებდნენ. როდესაც მგზავრებს ღონე ელეოდათ და ჩერდებოდნენ, ხაჩატურ აბოვიანი მიდიოდა წინ გზის დასაწვევრავად (სვლას აძენდებდა აგრეთვე თოვლის თხელი ფენით დაუარული ნაპრალები); აბოვიანი გამონახავდა თუ არა შედარებით უშიშარ გზას, ბრუნდებოდა და მიპყავდა მგზავრები. განსაკუთრებით დიდი სიძნელის გადალახვა და ენერჯის დახარჯვა მოუხდათ მათ, როდესაც გადადიოდნენ საკმაოდ დიდი ყინვარების სათავეებზე. ამ უკანასკნელთა გადალახვის შემდეგ ჯგუფმა მიაღწია მთის თემს; 1829 წლის 27 სექტემბერს დღის 3 1/2 საათზე მიზანი მიღწეული იყო. ალბინისტები ერთმანეთს ულოცავდნენ გამარჯვებას. ბ. აბოვიანმა თავის თანამგზავრებთან ერთად პირველმა დააღვა ფეხი დიდი არარატის მწვერვალზე. იგი წარმოადგენდა ოდნავ ამოხურულ (8 მ-ზე სიმაღლის), მრგვალი ფორმის ზედაპირს, რომელსაც 200 ნაბიჯი გარშემოწერილობა ჰქონდა; მის მახლობლად, განსაკუთრებით სამხრეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ფერდობები საკმაოდ ციცაბოდ ეშვებოდნენ. აღმოსავლეთით,

1 კმ დაშორებით, ჩანდა უფრო პატარა ასეთივე მწვერვალი, რომელიც პირველთან ქმნიდა პატარა უნაგირას. მთავარ მწვერვალზე აღმართეს პირადად აბოვიანის მიერ ამოტანილი 1,5 სიმაღლის შავი ჯვარი. ხანმოკლე დაკვირვებების შემდეგ მოგზაურები დაბრუნდნენ უკან.

პროფ. პაროტი თავის დღიურში „არარატზე მოგზაურობა“-ში აღნიშნავს, რომ ასევე კარგად ჩაიარა ახალგაზრდა აბოვიანის გამძლეობის, თავდაპირველობისა და გამბედაობის წყალობით.

მთა არარატი აზიდულია მდ. არეზის შუა წელის მარჯვენა მხარეზე\*, იგი წარმოადგენს ჩამქრალ ვულკანს. შედგება ორი კონუსისაგან — დასავლეთის, ანუ დიდი არარატი (ახს. სიმაღლე 5.156 მ), და აღმოსავლეთის, ანუ პატარა არარატი (3. 914მ). მთის ამგები ბაზალტური ლავის გამოფიტული მასალის უზარმაზარი ნაკადები და ერთიმეორეზე ახერგილი ქანის დიდი ნატეხები ეშვებიან ფერდობებზე და მთის ძირამდე აღწევენ. დიდი არარატის მწვერვალი დაფარულია მუდმივი თოვლით, საიდანაც სათავეს ლებულოებენ ყინვარები; მათგან ყველაზე დიდი (წმ. იაკობის ყინვარი) სიგრძით 2 კმ მეტია.

არარატის ფერდობები ხასიათდება სიმშრალით და მცენარეულობის სიღარიბით, რაც გამოწვეულია ატმოსფერული ნალექების სწრაფად ჩაქონით ფორივან ვულკანურ ქანებში და ამ უკანასკნელთა სწრაფი გამოფიტვით და გამოფიტული მასალის ინტენსიური მოძრაობით ქვემოთკენ. შედარებით კარგი საძოვრები და ხეების კორომები გვხვდება დიდ და პატარა არარატს შორის მოქცეულ სარდარ-ბულაღის უნაგირაზე, სადაც უხვია წყაროები.

\* არარატი ამჟამად თურქეთის ფარგლებშია მოქცეული, სსრ კავშირის საზღვარი მის მახოლობად გადის.

არარატზე ასვლის შემდეგ 1830 წელს ხაჩატურ აბოვიანი ახერხებს თავისი სურვილს, გავსიხორციელებას და ფ. პაროტის დახმარებით ეწევა სიძველეთა დერბანის უნივერსიტეტში სასწავლებლად. უმაღლესი სწავლის დამთავრების შემდეგ, იგი 1836 წელს ბრუნდება სამშობლოში და მწერლობასთან ერთად ეწევა პედაგოგიურ და სხვა საზოგადოებრივ მოღვაწეობას. დიდ დახმარებას უწევს იგი თავის სამშობლოს მკვლევართ. განსაკუთრებული დახმარება გაუწია მან რუსეთის გამოჩენილ გეოლოგ გ. აბის სომხეთის, კერძოდ კი, არარატის მთის, სოფ. ახურის\* და მიტოვებულ კ. ანისის, შესწავლის საქმეში.

სომხეთში აბოვიანმა პირველად დაიწყო წერა ხალხისათვის გასაგებ ენაზე, წერდა მოთხრობებს, იგავ-არაკებს, პოემებს, ლექსებს, მეცნიერულ შრომებს და ადგენდა სასკოლო სახელმძღვანელოებს. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე რამდენიმე მოთხრობა ეთნოგრაფიის, ალბინიზმისა და გეოგრაფიის დარგებიდან. იგი დაბეჯითებით მოითხოვდა, რომ სკოლებში ესწავლებინათ გეოგრაფია, ბუნებისმეტყველება, ისტორია და სხვა საგნები. ამის გამო მას სასტიკი დევნა დაუწყო სომხეთის სამღვდლოებამ.

ხაჩატურ აბოვიანს ივანე მაჩაბლის ბედი ეწვია: 1848 წლის 2 აპრილს 44 წლის მწერალი და გეოგრაფი დილით აღრე სახლიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა.

სომეხი ხალხის დიდ მოამაგეს ხაჩატურ აბოვიანს ამჟამად დიდად აფასებს საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი. მისი ღვაწლი დაუვიწყარია.

\* სოფ. ახური მდებარეობდა დიდი არარატის ფერდობზე; 1840 წელს არარატის ძლიერი მიწისძვრის, ხეობების ჩაკეტივსა და შემდეგ ღვარაღის მოვარდნის შედეგად ხსენებული სოფელი დაიშრება და დაიღობა 5 ათას კაცზე მეტი.



# მე. ივროს & „თბილისის ზღვის“ წყობის მინერალიზაციის დინამიკა\*

1953-54 წ.

ბათუმი კ. მხედში

საბჭოთა საქართველოს მრავალ ღირსშესანიშნავ ნაგებობათა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი სამგორის სარწყავ სისტემას უჭირავს.

სამგორის სარწყავი სისტემის პრობლემის გადაწყვეტა და მისი სისრულეში მოყვანა ქართველი ხალხის დიდი ხნის საოცნებო საგანს წარმოადგენდა. სამგორის ველს უხვი მზიანობა და ატმოსფერული ნალექების დიდი სიმცირე ახასიათებს, რაც ამ ადგილების მოუსაღლიანობის მთავარი მიზეზია.

„ბალახოვანი და უწყლო“—ასე დაახასიათა XVIII საუკუნის გამოჩენილმა ისტორიკოსმა და გეოგრაფმა ვახუშტი ბაგრატიონმა სამგორის ველად წოდებული ვრცელი მიწები. სამგორის პრობლემის გადაჭრა 80.000 ჰექტარი ფართობი უხვი მისავლის კერად იქცევა.

სამგორის სარწყავ ველებს კვებავს მდ. იორი, რომელიც, სოფ. სიონთან იცვლის რა თავის მიმართულებას, მოედინება თბილისის მიდამოებში და რწყავს საგარეჯოს, კაჭრეთისა და სხვა ველებს. ეს არის ე. წ. ზემო მაგისტრალური სარწყავი არხი. ზემო მაგისტრალური არხი მუშაობს მთელი წლის განმავლობაში. ზაფხულის პერიოდში ის რწყავს მის ნაპირებზე გადაშლილ ტერიტორიას. წლის დანარჩენ დროს ავსებს წყალსაცავს— ე. წ. „თბილისის ზღვას“, სადაც ამყვამდ მილიონ ტონაზე მეტი წყალია.

ახალ შექმნილ ზღვას უკავია მახათისა და საგურამო-ილწონს მთებს შორის მოქცეული ტაფობი, სადაც მდინარე ივრის შეერთებამდის იყო ერთმანეთისაგან მოწყვეტილი ავღაბრის, იღუშინისა და კუქის მლაშე უსიცოცხლო ტბები; მათი საერთო ფართობი დაახლოებით 2,5 კმ<sup>2</sup> უდრიდა. ყველასათვის ცნობილია, რომ წყლის გაშვების წინ აღნიშნული მლაშე ტბების ნაპირებზე დალექილი იყო მარილების დიდი რაოდენობა. ამყვამდ აღნიშნული ტბები ერთმანეთს შეუერთდა და ზღვის ფორმა მიიღო.

ჩვენი მუშაობის მიზანდაცისხე: 1. გამოვეკვლია „თბილისის ზღვის“ წყლის მინერალიზაციის ცვალებადობა და დავედინა რა გავლენას მოახდენდა მასზე მდ. ივრის წყალი; 2. გამოვადგებოდა თუ არა ქიმიური შემადგენლობის მხრივ „თბილისის ზღვის“ წყალი სასმელად მოსახლეობისათვის.

ამ მიზნით საანალიზო წყლის ნიმუშს ერთდროულად ვიღებდით როგორც „თბილისის ზღვის“ წყლიდან, ასე მდ. ივრიდანაც.

ანალიზების ჩატარება დაიწყო 1953 წ. ოქტომბრიდან. პირველი ანალიზით გამოვარკვეეთ, თუ რამდენად სუსტად მინერალიზებულია მდ. ივრის წყალი „თბილისის ზღვის“ წყალთან შედარებით, ე. ი. „თბილისის ზღვის“ წყალი გახსნილ ნივთიერებათა მეტ რაოდენობას შეიცავს. ამის მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ზღვის ტერიტორიაზე მანამდე არსებული უსიცოცხლო მლაშე ტბები. მაგალითად, ქლორიდ-იონი (Cl<sup>-</sup>) მდ. ივრის წყალში არის 6,2 მგ/ლ, ხოლო „თბილისის ზღვის“ წყალში 188,4 მგ/ლ, ე. ი. 35-ჯერ მეტ რაოდენობითაა გახსნილი; ასევე 14-ჯერ მეტ რაოდენობითაა SO<sup>4</sup>, 20-ჯერ მეტი — კალციუმი Ca<sup>++</sup> და ა. შ., რაც შეეხება სიხისტეს როგორც კარბონატულს, ისევე საერთოს, იგი საშუალო რაოდენობითაა გამოხატული. ხოლო მდ. ივრის წყალი მეტი რაოდენობით შეიცავს თავისუფალ ქანგბადს და ჰიდროკარბონატს.

დინამიკურობის საკითხის განხილვით გამოირკვა, რომ მდ. ივრის წყალი წლის სხვადასხვა დროს გახსნილ ნივთიერებათა რაოდენობის მხრივ ცვალებადობას არ განიცდის და მათი რაოდენობის ცვალებადობის დიაგრამების სახეები სინუსოიდურია.


როგორც აღვნიშნეთ, მდ. ივრის წყალი „თბილისის ზღვის“ წყალთან შედარებით სუსტად მინერალიზებულია, ამიტომ მისმა შერევამ ზღვის წყალთან გამოიწვია უკანასკნელის განზავება, კერძოდ, ყველა გახსნილი კათიონისა და ანიონის რაოდენობათა საგრძნობი შემცირება.

მაგალითად, 1953 წ. ოქტომბერში „თბილისის ზღვის“ წყალში ქლორიდ-იონი იყო 188,4 მგ/ლ.

\* წაკითხულია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა XXII სამეცნიერო კონფერენციაზე.

ხოლო 1954 წ. ოქტომბერში — 104,6-ს უდრიდა; ასევე სულფატ-იონები (SO<sup>4</sup>) 1953 წ. ოქტომბერში იყო 213,6 მგ/ლ, ხოლო 1954 წ. მივიღეთ 152,2. ასევე შემცირდა კალციუმ-იონი (Ca<sup>++</sup>) — 120,6-დან 83,4-მდე და ა. შ. გამოწვევის წარმოადგენს მხოლოდ ჰიდროკარბონატ-იონი. მდ. ივრის წყალში აღნიშნული იონი მეტი რაოდენობით არის გახსნილი. ამიტომ ჰიდროკარბონატ-იონის რაოდენობის გადიდება „თბილისის ზღვის“ წყალში შეიძლება ავსხნათ მდ. ივრის წყლის ზეგავლენით.

„თბილისის ზღვის“ წყლის მინერალიზაცია მდ. ივრის ზეგავლენით თანდათან მცირდება, ამიტომ საფიქრებელია, რომ დადგება დრო, როცა ორივე წყალს ერთნაირი მინერალიზაცია ექნება. ქლორიდ- და სულფატ-იონების ცვალებადობაზე გადაანგარიშებით გამოვარკვეეთ, რომ აღნიშნული წყლების მინერალიზაციის გასათანაბრებლად საჭიროა დაახლოებით 2,5 წელი\*.



გარდა მინერალიზაციის დინამიკის შესწავლილსა ჩვენი მიზანი იყო გამოვევრკვიო ქიმიური შემადგენლობის მხრივ გამოდგებოდა თუ არა „თბილისის ზღვის“ წყალი სასმელად, რასაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ცნობილია, რომ სასმელად გამოიყენება ისეთი წყალი, რომელიც დააკმაყოფილებს მასზე წარდგენილ სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს.

ჩვენ მიერ ჩატარებული ანალიზების მონაცემების შედარებით სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული სასმელი წყლისათვის წაყენებულ მოთხოვნებსთან გამოირკვა, რომ როგორც მდ. ივრის წყალი, ისევე „თბილისის

ზღვის“ წყალი აკმაყოფილებს ყოველგვარ მოთხოვნებს ქიმიური შემადგენლობის მხრივ\*.

როგორც აღვნიშნეთ, „თბილისის ზღვის“ წყლიდან საანალიზო ნიმუშებს სხვადასხვა ადგილებიდან ვიღებდით; აღნიშნული სინჯების ანალიზების შედეგებმა გვიჩვენა, რომ მათ შორის უმნიშვნელო განსხვავებაა, რაც იმის მაჩვენებელია, რომ „თბილისის ზღვის“ წყალში კარგადაა გამოხატული მარილთა შერევის პროცესი, რაც დადებით მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს.

„თბილისის ზღვის“ წყლის სხვადასხვა ადგილზე წყლის ტემპერატურის გაზომვის შედეგად გამოირკვა, რომ განსხვავება მათ შორის უმნიშვნელოა და 1°C-ს არ აღემატება, რაც წყალში ტემპერატურის გაცვლა-გამოცვლის კარგი მაჩვენებელია.

მდ. ივრის და „თბილისის ზღვის“ წყლების 1953-54 წწ. ჩვენ მიერ შესწავლილი მინერალიზაციის დინამიკისა და სასმელად გამოყენების შესახებ შემდეგი დასკვნები გამოვიყენეთ:

1. მდ. ივრის წყალს სუსტი მინერალიზაცია ახასიათებს;
2. მდ. ივრის წყალში კათიონთა და ანიონთა რაოდენობათა ცვალებადობა წლის სხვადასხვა დროს არ არის მკაფიოდ გამოხატული და მათი რაოდენობის ცვალებადობის ხაზები სინუსოიდურია;
3. მდ. ივრის წყალი „თბილისის ზღვის“ წყალთან შედარებით მეტი რაოდენობით შეიცავს ჰიდროკარბონატ-იონს, რის გამო „თბილისის ზღვის“ წყალში მისი რაოდენობა იზრდება;
4. „თბილისის ზღვის“ წყალი მდ. ივრის წყალთან შედარებით რამდენიმეჯერ უფრო მარილიანია;
5. „თბილისის ზღვის“ წყალში იონთა რაოდენობის ცვალებადობა წლის სხვადასხვა დროს მკაფიოდ არის გამოხატული და რაოდენობის ცვალებადობას კლებადი ხასიათი აქვს;
6. „თბილისის ზღვის“ წყლის მინერალიზაცია მდ. ივრის წყლის ზეგავლენით თანდათანობით მცირდება;
7. მდ. ივრისა და „თბილისის ზღვის“ წყლები ქიმიური შემადგენლობის მხრივ სასმელი წყლისათვის წაყენებული სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

\* გარდა ქიმიური შემადგენლობისა, მთავარი მნიშვნელობა აქვს ბაქტერიულ ანალიზს, როგორც არის კოლიტრი და კოლინდექსი.

\* მხედველობაში მინერალიზაციის ისეთი ცვალებადობა, როგორც 1953-54 წწ-ში იყო.

# დაშქესანი ჭ ჩათახი ნიწათ ლა ასლა

სამთო ინფორმეი ი. მემქარაშვილი

## 1. დაშქესანის და ჩათახის ძველი მეტალურგია

რუსეთთან შეერთების შემდეგ საქართველოში პირველ მთავარმართებლად 1802 წელს დანიშნული იყო გენ. პავლე დიმიტრის-ძე ციციანოვი (ციციშვილი).

საქართველოში ჩამოსვლისთანავე (1803 წ.) ციციანოვმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აქ სამთამადნო წარმოების\* განვითარების საკითხს: სახელდობრ, რკინისა და ტყვიის კვლევა-ძიებას და დამუშავებას. მან განიზრახა საქართველოში საომარი იარაღების დამზადება, რადგან ხაზინას ძალიან ძვირად უჯდებოდა მათი შემოზიდვა რუსეთიდან. ამ მიზნით მან განჯის რაიონში რკინის საბადოების გამოსაკვლევად და იქ ქარხნის აშენების შესაძლებლობის შესასწავლად მიაველინა სამთო ექსპედიციის თანამშრომელი, შიტბეისტერი ვი ა ტ კ ი ნ ი, ურალის მეტალურგიულ ქარხნებში ნაბუშევარი გამოცდილი სპეციალისტი. მას დავალებული ჰქონდა გაშორეკვა — შესაძლებელი იქნებოდა თუ არა იქ სახაზინო ქარხნის აშენება და სხვ. მასთან მას უნდა აღეწერა იქაური წარმოების მდგომარეობა და სამთამადნო სამუშაოების პირობები.

ვიატკინმა კვლევა-ძიების შედეგად დაასკვნა, რომ განჯის რაიონი საერთოდ რკინის მადნით ღარიბია. იქ ტყეებით ცოტა და გზებით ცუდ მდგომარეობაშია. ამიტომ სამთო სამუშაოების იქ ფართო ნიადაგზე დაყენება შეუძლებლად ცნო. გარდა ამისა, ვიატკინს დავალებული ჰქონდა შეესწავლა აგრეთვე შამქორის ტყეებიც და მის ბაზაზე დაშქესანის მადნებიან თუჯის წარმოების შესაძლებლობა. ამ დავალების შესწავლის შედეგად დაშქესანის მადნზეც ქარხნის მოწყობა ხაზინის ხარჯზე ვიატკინმა ხელსაყრელად ვერ დაინახა, მიუხედავად იმისა, რომ განჯის რაიონის მადნებთან შედარებით დაშქესანის მადანი უფრო საიმედოდ იცნო როგორც მარაგის, ისე ხარისხის მხრივ. მაგრამ მადანი შამქორის ტყეებიდან დაშორებული იყო 60 ვერსის მანძილზე და სადნობ ადგილზე მადნის მიზიდვისათვის საჭირო იყო ორი მალაი მთის გადალახვა. ვიატკინი რჩევას იძლეოდა, ჯერ მოწყობილიყო პატარა საცდელი ლუმელი მდ. კუშუკარაზე, დაშქესანის დანერგული ძველი ქარხნის მახლობლად, რომ

წინასწარ გამოცდილიყო დაშქესანის მადნის დნობის თვისებები, ხის ნახშირის, თიხის და სხვა დამხმარე მასალებს ხარისხი და სხვ. ციციანოვმა მაშინდელ სამთო ექსპედიციის უფროსს ბორჯენოვს უბრძანა ვიატკინის ხარჯთაღრიცხვის თანახმად დაშქესანში მოწყობილიყო თუჯის სადნობი საცდელი ლუმელი. მაგრამ რვა თვის შემდეგ ციციანოვი ცოცხალ არ იყო. 1806 წ. ბაქოს ციხის ალემის დროს მოკლულ იქნა დავერ მოესწრო ვერც საცდელი ლუმელის და ვერც საწარმოო ლუმელის აშენებას დაშქესანის მადნის ბაზაზე.

კიდევ უფრო შეუძლებლად დაინახა ვიატკინმა მაშინდელ შამქორის პროვინციაში რკინის მადნების ბაზაზე თუჯის წარმოება, როცა მან 1805 წ. იენისში კარაკლისის, კულბისა და ბოლნისის რაიონებში რკინის საბადოების კვლევა-ძიება დაამთავრა.

ბოლნისის რკინის მადარო, ვიატკინის აღწერით, ხუთი ვერსით იყო დაშორებული სოფლიდან, მდებარეობდა თხელი ტყით დაფარულ მთის ძირში. როდის დაიწყეს აქ მუშაობა, აქაურ მცხოვრებლებს არ ახსოვდათ\*. შედაპირზე ნაჩენი იყო რკინის კრალა. დახრილი წოლხერის სამუშაოებით გამოიშუშავებული იყო 8 საე. სიგრძეზე და შემდეგ ჰორიზონტალურად 50 საე. სიგრძეზე. მადანი მოიბოგებოდა ბუდობებდა და წვირლ ფენებად, ასე რომ ერთი კაცი ღღემი გაჭირვებით გამოიშუშავებდა ერთი ფუთიდან ფუთნახევრამდის. მადანს ისეთივე ღუმელებში და ისეთი წესით აღნობდნენ, როგორც დაშქესანის რაიონში, მაგრამ ვიატკინი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რამდენი კაცი მუშაობდა ბოლნისში და რამდენ ფუთ მადანს აღნობდნენ დაღმე. მადნის სიღარიბისა და სხვა მრავალი დამაბრკოლებელი პირობების გამო ბოლნისშიც სახაზინო ქარხნის აშენება ვიატკინმა შეუძლებლად დაინახა.

ვიატკინის შემდეგ ბოლნისის რაიონი ინახულა

\* გეორგიფ ვახუშტის მოწოდებით 1745 წ. ჩათახში რკინის აშუშავებდნენ. მისევე ცნობით კალკეთის ხეობაში ყოფილანთ მამულში ჰქონდათ, სადაც აშუშავებდნენ რკინის, სპილენძის და სხვ. 1795 წ. ალაშაშაძე-ხანის საქართველოში შემოსევის დროს ამ პროვინციაში მადნების დამუშავება ყველაზე შეწყდა, ხოლო გიორგი XII მეფობის დროს მუშაობა განახლდა, მასთან ჩათახშიც და ახტალა-აღავერდშიც.

აბიხა 1848 წ., რომელმაც სრულიად საწინააღმდეგო შეფასება მისცა ბოლნისის რკინის საბადოს მნიშვნელობას და მის ბაზაზე თუჯის სადნობი ქარხნის აშენების შესაძლებლობას, ვიდრე ვიატკინმა.

მხოლოდ აბიხის დროს არც ბოლნისში და არც სხვა ზემოაღწერილ რაიონში რკინის დაბუშავება არ წარმოებდა. აბიხა ნახა და აღწერა ძველი დანგრეული მადარობები, ქურობები და წიღების გროვები და ამის შედეგად დაასკვნა: „თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ დემურდაგს (რკინის მთას) გარშემო სქელი ტყით დაფარული მთების სისტემა აყრავს და აგრეთვე იმას, რომ ფოლადეულის ხეობის პირობები ხელსაყრელია ამ წყლის ენერჯის გამოსაყენებლად ქარხნის საქიროებისათვის, მაშინ ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება თბილისიდან ასე ახლო მანძილზე თუჯის სადნობი ქარხნის აშენებას, ბუნებით ასე უხვად დაჯილდოებულ მხარეში“ („Горный журнал“, 1850 წ. II, გვ. 316—317).

მაგრამ რკინის მადნების აღწერასთან ერთად ვიატკინმა ჩვენ მოგვცა ამ მადნების დამუშავებისა და გამოდნობის ტექნიკური აღწერილობაც, რასაც გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ძველი სამთო-მეტალურგიის ისტორიისათვის, ვიდრე მადნების ან ძველად დაგროვილი წიღების აღწერას, ვინაიდან ეკონომიურ ეპოქებს ერთმანეთისაგან განასხვავებს არა ის, თუ რა იჭარბებდა, არამედ ის, თუ როგორ, შრომის რა საშუალებებით წარმოებს იგი. დაშქესანის რკინის მაშინდელი წარმოების შესახებ ვიატკინი საინტერესო ცნობებს იძლევა.

დაშქესანის მახლობლად იმყოფებოდა ძველი დანგრეული ქარხანა. როდის დაიწყო იქ რკინის წარმოება ან როდის შეწყდა, იქაურმა მცხოვრებლებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ.

ვიატკინის დროს მდ. კუშქარის ნაპირზე (მტკვრის მარჯვენა შენაკადია) იმყოფებოდა სომხური სოფელი ბ ა ი ა ნ ი. აქაური მცხოვრებლების ნაწილი აწარმოებდა რკინის მადნის გამოდნობას ოთხ ღუმელში, მაშინდელი ცივსაბურავი წყლით. ამ სოფლის მახლობლად მდ. კუშქარის ნაპირზე აწარმოებდნენ რკინის გამოდნობას ორ ღუმელში. სოფ. დაშქესანისაგან სამი ვერსის დაშორებით იმყოფებოდა მთა, რომელიც მილიანად „რკინის ქვევისაგან“ შედგებოდა, ხოლო რკინის მადანი შეიცავდა ცოტა სპილენძს, რაც რკინის ჰედელის თვისებას უკარგავდა და მის დნობასაც აძვირებდა. მაგრამ აქვე მოიპოვებოდა

მეორე სახის მადანიც — პარკისებური მადანიც («обширная руда»), რომელიც არ შეიცავდა სპილენძს, კარგი ხარისხის რკინა იყო და მიდიდობდა რკინის მადნად ითვლებოდა\*. ნამუშევარი აღწერა მოწოდებდნენ, რომ აქ მადანს ამუშავებდნენ „შუტებით“. ერთი კაცი დღეში ძლივს ამუშავებდა 3—6 ბათმანს (1/2-3 ფუტს) და სახერხებოდნენ ჩაჰქონდათ ბაიანში და კუგუჩოში. რკინის სადნობი ქურობები კონსტრუქციით ცოტათი განსხვავებულა დასავლეთ ციმბირში ხმარებული ქურობისაგან, მაგრამ დნობის წესი (ცივსაბურავი წესი) და ჰედვის წესი (ხელის უროებით) არაფრით არ განსხვავდებოდა იქაურისაგან.

დაშქესანის მადანი თავდაპირველად წვრილად იმსხვებოდა და ხის ნახშირთან ერთად ქურაში იყრებოდა. დაიწყებდნენ საბერველებით ჰაერის შებერვას. მადანი ჯერ გამოიწვებოდა, ე. ი. მას გამორღებოდა სხვადასხვა აქროლი და ტენიანი მინარეგები და შემდეგ გაძლიერებული შებერვით გალღვებოდა და სიმძიმისაგან ქურის ფსკერზე იკრებებოდა. ზემოდან მომდგარი წილი მიდიოდა იქვე გათხრილ ორმოში. გალღობილი მადანი ქურაში 3-4 საათი რჩებოდა. შემდეგ დიდი ხის საკეცებით ქურიდან გამოჰქონდათ ცომისებური, რბუბლოვანი მასა—გუნდა, რომელსაც დებდნენ დიდ გრემულზე და სცემდნენ ხის უროებს მანამდე, სანამ ცომიდან წილა არ გამოიწურებოდა და „კრიცა“ პატარა ნაჭერებზე არ დანაწილდებოდა. ყოველი დნობის დროს ღებულობდნენ 2 — 2 1/2 ბათმანს (1 — 2 1/2 ფუტ) „კრიცას“. ამნაირი წესით ერთ ქურაში დღეში აღნობდნენ სამჯერ. მაშასადამე, ექვს ქურაში დღეში 18-ჯერ აღნობდნენ და ღებულობდნენ 18—27 ფ. „კრიცას“, ხოლო ვიატკინის აღწერით არ ვიცით ერთ ფუტ „კრიცაზე“ რამდენი ფუტი მადანი იხარჯებოდა\*\*. ხის ნახშირი ერთი ობერკაციაზე იხარჯებოდა სამი სპალზე (7 1/2 ფუტი), რაც ერთი მანეთი და 20 კაბ. ღირდა. მუშას ხელფასად ექვს დღეში ეძღვოდა 2 მან. და 50 კაბ. ამნაირად გამდნარი რკინა განჯაში ბათმანი სალდებოდა 55 კაბ., ე. ი. ფუტი — ერთი მანეთი და 10 კაბ., მაგრამ რკინა ხარისხით იმდენად დაბალი იყო, რამდენადაც მადანში მეტი მავნე მინარეგები იყო (S, P, C. და სხვ.). დნობა დაბალი ტემპერატურით ხდებოდა, ხის ნახშირს სიცხვევლე აკლდა, რადგან დაბალი ჯიშისაგან იყო გამოიწვარი.

\* დღეს ეს ორი სახის რკინის მადანი რუსეთის თუჯის ძირითად ნედლეულს წარმოადგენს.  
\*\* წყლისძირ (ჩაქაში) ერთი ფუტი მადნიდან 9 გირკინა „კრიცას“ ღებულობდნენ, რასაც სპეციალურ ქურაში სწვენდნენ დიქვის ნახშირზე და ღებულობდნენ 6 გირკინა წმინდა ლითონის, საიდანაც მაღალხარისხიან ნაკეთობებს ამზადებდნენ.

შებენა ხელით ხდებოდა, კრიცის დამუშავება ხელის ურთოთ საქმარისი არ იყო მისი წოდისაგან გასაწმენდად და სხვ. მაგრამ, როგორც კულტურული წარმოება, ის მაშინდელ ადგილობრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა. ამ რკინიდან აშა-დებდნენ სასოფლო იარაღებს და საოჯახო ნიე-თებს: სახნისებს, ცულებს, ნიჩბებს, წერაქვებს და სხვ., რაც საღებობა მეზობელი რაიონებში. ასეთივე მადეობარება იყო ბოლისშიაც, კულ-პაში და კარაკლისშიც, სადაც რკინის მადანს აღ-ნობდნენ იმავე წესით, როგორც დამუშევანში. სოფელ კუგუჩში იქაური გამომდნარი რკინიდან სასოფლო იარაღების გარდა აშალებდნენ თო-ფების ლულებსაც. თოფის ლულის დამზადება დიდი ოსტატობით ხდებოდა, მას „დამასკოს“ ლულა ეწოდებოდა („Дамасские стволы“) და თითო ლულა 20-70 მან. ღირდა\*.

როლის შეწყდა დამუშევანში ამ სხვა რაიონებ-ში რკინის წარმოება, ზუსტი ცნობები ამის შესა-ხებ ამჟამად არ მოგვეპოვება, მაგრამ არის ცნო-ბა, რომ 1824 წ. იანვარში ვანჯის ხაზინადარი თბილისში სამთო ექსპლუატაციას ატყობინებდა, რომ ბაიანის, კუშის, ჩეტიის, ჩავდარისა და დაშ-ქესანის მცხოვრებლებმა 1823 წლის სახელმწიფო გადასახადი რკინის წარმოებისათვის სრულად გა-დაიხადეს 750 მან. რაოდენობით. გარდა ამისა, თავის მიგზაურობის დროს 1833 წლის საქართ-ველოში ფრანგი მოგზაური დიუმუა-დემონე-რე სხვათა შორის კულბის რაიონსაც ესტუმრა, სადაც იხახულა იქაური რკინის წარმოება. მაშა-სადაშე, ამ წლებში ყველგან რკინას ამუშავებდ-ნენ, ხოლო აბიხის დროს 1845 წ. რკინის წარმო-ება ყველგან შეწყვეტილი იყო.

## 2. დამუშევანი და ჩათახი დღეს

აბიხის დროიდან დღევანდლამდე, ე. ო. ერთი საუკუნის მანძილზე, დამუშევანის მადნიდან ლი-თონი არ გამომდნარა, ხოლო დღეს ქვანახშირის კოქსის გამოყენებით მისგან ორხარისი თუჯი და მარტენისაღის წესით სხვადასხვა ხარისხის ფო-

\* ჩვენ ისე არ უნდა გავიგოთ, რომ დამუშევანში „დამასკო-რი“ თოფის ლულებს დამასკოს ფოლიდანი („ბულგოტიანი“) აშალებდნენ. ამ დროს „ბულგოტების“ წარმოების ოსტატობა, რაც საშუალო საუკუნეებში აღმოსავლეთის კულტურული ნახების სიმაჟეს წარმოადგენდა, XIX საუკუნის პირველ ნა-ხევარში დაიწყოებული იყო მონღოლების შემოსევის დრო-იდან ახლო აღმოსავლეთში და საქართველოში, ამ დროს მხო-ლოდ „ბულგოტების“ იმიტაციას (მიმაქვას) ჰქონდა ადგილი, რომელიც წარმოადგენდა სხვადასხვა ცივსებრავი რკინის (კრიცის) ნაჭრების ან ზოლების თანდათანობით შედუღებას და გაკედლებს, რომ საბოლოოდ მიიღებოდა გამკარგებული ნაჭედი, რისგანაც აშალებდნენ სხვადასხვა ნაკეთობას ნახშირ-ბადის სხვადასხვა შემადგენლობით. როცა ფოლიად ძვირი და რკინის ნაკადი ჭართი ბევრი იყო, მაშინ ჭართს შეადარებდნენ და გაკედავდნენ ერთად, რისგანაც შემდეგ აშალებდნენ ნა-კეთობებს. დღეს ჭართის გამოყენება მარტენის ფოლადის წარ-მოებას უდევს საფუძვლად.

ლად გამოიძინება. ეს წესი რადიკალურად განსხ-ვავდება იმ ძველი ცივსებრავი წესისაგან, რასაც ადგილო ჰქონდა დამუშევანში ვიტაკინის ცხდობის

რაც შეეხება ბოლისის რაიონის რკინის წარ-მოებას, იგი ორჯერ განახლდა ამ დროის მანძილ-ზე და ორჯერ შეწყდა სხვადასხვა მიზეზით. ჩა-თახის საბადო გასული საუკუნის მეორე ნახე-რიდან უფრო მეტ ყურადღებას იპყრობდა მაშინ-დელი მეფის მოხელეების მხრივ, ვიდრე დამუშევანის საბადო. ეს გარემოება იმით უნდა ავსნათა, რომ ჩათახის საბადო ამერკუცაისის ადმინისტრაციული და კულტურულ-ეკონომიური ცენტრის — თბილისის მახლობლად მდებარეობ-და. ამ საბადოს ნედლეულის ბაზაზე 1862 წელს ამუშავებული იყო თუჯის ქარხანა, რომელიც შედგებოდა ორი ლუმისაგან. პირველი ლუმე-ლის წარმადობა დღე-ღამეში უდრდა 400 — 500 ფუნტს, მეორესი — 250 — 300 ფ. 1870 წელს გამოიძინებოდა იყო 3500 ფ. თუჯი და 2000 ფ. რკინა. 1870 — 1874 წწ.-ში გამოიძინებოდა იყო 9300 ფ. თუჯი და 9442 ფ. რკინა. ასეთი მიერე პრო-დუქტა, ცხადია, გამოწვეული იყო წარმოების ცუდი ორგანიზაციით. ქარხნის პატრონებს დიდი ვალი დაეღოთ როგორც ხაზინის, ისე კერძო პირებისა. ქარხანა დაიხურა 1875 წელს: ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ამ წლებში გაყვი-ნული იყო ფოთი-თბილისის რკინიგზა და სამხრეთ რუსეთიდან საქართველოში შემოვიდული ქვა-ნახსირის კოქსზე გათქმდნარი ლითონი ბევრად უფრო იაფი და უკეთესი ხარისხის აღმოჩნდა, ვიდრე ჩათახის ხის ნახშირზე გამოიძინარი ლი-თონი\*.

1923 წელს ჩათახის ქარხანა ხელახლად ამუ-შავდა. ქარხნის აღდგენის მიზანი იმ წლებში იყო საჩამოსხმო თუჯის მიღება, რომლის კრიზისი მაშინ ყველგან დიდი იყო. ქარხნის ამუშავებას მაშინ დროებითი მნიშვნელობა ეძლეოდა, სანამ ხელახლა არ ამუშავდებოდა რუსეთისა და უკ-რაინის კოქსზე მომუშავე თუჯის ქარხნები. ამიტომ გამოიყენებოდა იყო არსებული დანადგარები, მაგ-რამ საწყვეის უქონლობისა და ძირითად საბადო-ში — „სარკინეთში“ მადნის გამოლევის გამო ქარხანა 1927 წელს დაიხურა და ამ დროიდან ქარხანა კონსერვაციაშია. ამ მდგომარეობაში იგი დარჩება მანამდე, სანამ ჩათახის მადნიდან ელექ-ტროთერმული წესით ელექტროლუმეში ელექ-ტროთუჯი და ელექტროფოლიდი არ იქნება გა-მოიძინებოდა.

\* ჩათახის თუჯის მაშინდელი წარმოებაში შემოღებულ იყო თუჯის გადამუშავების ახალი წესი — „პულდინგერის“ პროცესი ანუ სხვანაირად „ალქმედი“ პროცესი (шламенный процесс) სადაც თუჯის გადამუშავება რკინად ან ფოლადად ხდებოდა ქვანახშირის ალის მოქმედებით ლითონის ქვანახშირ-თან მიუყარებლად. იგი ქვანახშირის გამოყენების ნიადაგზე აღ-მოცენდა, მაგრამ დღემდე აღმოჩნდა. 70-იანი წლებიდან „შესემერის“ პროცესმა შეცვალა დროშემოქმედი „პულდინგის“ პროცესი.

ამ ორი საბადოს (დაშქესანისა და ჩათახის) რკინის მადნის ასეთი სხვადასხვა წესით გამოყენება მათი სხვადასხვა თვისებებისა და მარაგისაგან გამომდინარეობს. თუ გვინდა გავიგოთ, რაში მდგომარეობს მათი თვისებისა და მარაგის განსხვავება, უნდა გავცნეთ ამ ორი რკინის მადნის ქიმიურ ანალიზს და მათი მარაგის დახასიათებას.

დაშქესანის მადნის მრავალი სინჯის ანალიზი გვიჩვენებს, რომ იგი შეიცავს: Fe — 62,94%, SiO<sub>2</sub> — 4,41%, S — 0,58%, P — 0,61%, Cu — 0,3%, Mn — 0,58%.

ჩათახის მადნის ანალიზი გვიჩვენებს: Fe — 41,59%, SiO<sub>2</sub> — 29,73%, S — 0,0...%, P — 0,094%, Cu — 0,027%, Mn — 0,22%. ე. ი. ჩათახის მადანში ყველა მავნე მინარევი უფრო ნაკლებია, ვიდრე დაშქესანის მადანში.

ჩათახის მადნიდან მიღებული თუჯის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მასში S შეადგენს 0,012%, P — 0,21%, Mn — 0,09%, Si — 0,3 — 0,7 %-ს. ჩათახის თუჯში, რაც ჰქვია მადნიდან მიღებული თუჯის ანალიზი, რაც მას გამოსაყენებლად ხდის სპეციალური სხმულების წარმოებაში. მართლაც, თუ ჩვენ ჩათახის თუჯს შევადარებთ შვედურ ხის ნახშირზე დამუშავებულ თუჯს, რომელიც კაბიტალისტურ ევროპაში საუკეთესო ხარისხის ჰქვია და თუჯად ითვლება, მაშინ დავინახავთ შემდეგს:

ელემენტები	შვედური თუჯი ხის ნახშირზე	ჩათახის თუჯი ხის ნახშირზე
Si	0,1—0,03	0,3—0,7
S	0,05	0,012
P	0,21	0,21
Mn	0,2—0,4	0,09—0,12

როგორც ვხედავთ, Mn და P შემცველობა ჩათახის თუჯში, რაც ჰქვია მადნიდან მიღებული თუჯის ანალიზი, უფრო ნაკლებია, ვიდრე შვედურ თუჯში. ფოსფორის შემცველობა კი უფრო მეტია ჩათახის თუჯში, ვიდრე შვედურში, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჰქვია მადნიდან მიღებული თუჯის ანალიზი, რაც მას გამოსაყენებლად მიიჩნევა 0,25 პროცენტის რაოდენობით, მაშინ ჩათახის თუჯში მისი შემცველობა დასაშვებზე უფრო ნაკლებია. ასე ითქმის Si შემცველობაზეც — ისიც დასაშვებზე ნაკლებია.

დაშქესანის მადანში გოგირდის, ფოსფორის, სპილენძისა და მარგანეცის შემცველობა ჰქვია მადნიდან მიღებული თუჯის ანალიზი, რაც მას გამოსაყენებლად მიიჩნევა 0,25 პროცენტის რაოდენობით, მაშინ ჩათახის თუჯში მისი შემცველობა დასაშვებზე უფრო ნაკლებია. ასე ითქმის Si შემცველობაზეც — ისიც დასაშვებზე ნაკლებია.

დაშქესანის მადნიდან მიღებული მხოლოდ ჩვეულებრივი საჩამოსხმო და გადასაყვებელი თუჯის გამოღობა, რომელიც მასობრივი ხარისხის ფოლადის დასამზადებლად არის განკუთვნილი მარტენეში, რაც ღრუ უკვე განხორციელებულია. რაც შეეხება ჩათახის მადნიდან „განსაკუთრებით პასუხსაგებ“ სხმულების მიღებას, მისი წარმოება არ მოხერხდა ხის ნახშირზე არც წარსული საუკუნის 60-იან წლებში და არც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში. მხოლოდ დღეს შეიძლება მისი წარმოება უახლესი ელექტროთერმული წესით.

თეთი შევიცაში ამჟამად მაღალხარისხოვან ჰქვია რკინას და ფოლადს ღებულობენ არა ხის ნახშირზე, არამედ ელექტროლუმებში პირდაპირ მადნის გაღობით. ეს წესი იქ შემდეგში მდგომარეობს: ვერტიკალური ელექტროლუმები იტვირთება წინასწარ სპეციალურ საშრობს ღებულობის გამოყენებით ბრიკეტებით, რომლებიც შედგება: 1) წვრილად დატენილი რკინის მადნიდან, 2) ხის ნახშირის ან ტორფის ფხვნილისაგან, რაც საჭიროა, ერთი მხრივ, ლითონის აღსადგენად და, მეორე მხრივ, მიღებულ ლითონში საჭირო რაოდენობის ნახშირბადის შემცველობისათვის და 3) ჩამქალი კირისაგან, როგორც შემკვრელი კომპონენტისაგან. ელდენის მოქმედებით ბრიკეტები გადნება, ხის ნახშირის ან ტორფის ფხვნილის რაოდენობის მიხედვით მიიღება ან თუჯი ან ფოლადი.

მხოლოდ ამ წესით შეიძლება ამჟამად ჩათახის რკინიდან ისეთი ლითონების მიღება, რასაც დაშქესანის მადანი მარტენეში ვერ მოგვცემს. ამ წარმოებისათვის ყველა შესაძლებლობა მოგვებოვება, მისთვის არც კოქსია საჭირო და არც საბადოების დიდი მარაგი. თუ ელექტროლუმის წლიურ წარმადობას ათი ათასი ტონა ლითონით განვსაზღვრავთ; მაშინ მას დასჭირდება: 1) მადანი — 17-18 ათასი ტონა; 2) ხის ნახშირი — 3-4 ათასი ტ. ლითონის აღსადგენად და მისი ნახშირბადით გასამდიდრებლად; 3) ელექტროენერგია — 30 მილიონი კილოვატსათათ; 4) კირი — 3-4 ათასი ტონა და 5) ელექტროდები — 80-120 ტონა.

ჩათახის მადანი შეიძლება აგრეთვე გამოყენებული იქნეს რუსთავის მარტენის ღებულობაში, როგორც დამატებითი მასალი. ამ შემთხვევაში ჯართის ერთი ნაწილი შევსვლი უნდა იქნეს რკინის მადნით, რომელიც აჩქარებს ლითონის გაწმენდას და ამცირებს წყნს.

ერთი სიტყვით, ჩათახის მადნის ამ ორი დანიშნულებისათვის გამოყენების შესაძლებლობა იმაზე მივითვითებს, რომ მისი დანერგვა, როგორც ნედლეულისა, ჩვენ დღევანდელ მეტალურგიაში გადაუღებელ ამოცანად უნდა იქნეს მიჩნეული.



საქართველოში ბირველი რკინიგზა გაყვანილ იქნა ფოთისა და ყვირილას შორის (დღევანდელი ზესტაფონი). იგი გაიხსნა 1871 წლის 14 აგვისტოს (ძვ. სტილით). შემდეგ რკინიგზა ყვირილიდან გავრძელებულ იქნა თბილისამდე. ბირველი სატვირთო-სამგზავრო მატარებელი თბილისიდან ფოთისაკენ გვიდა 1872 წლის 12 ოქტომბერს.

ფოთი-თბილისის რკინიგზის ყველაზე რთულ უბანს (ტექნიკური ექსპლოატაციის ძხრივ) წარმოადგენდა ყვირილა-სურამის უბანი. ყვირილიდან თბილისისაკენ რკინიგზა მიყვებოდა მდინარე ჩხერიმელას ხეობას, ხოლო სადგურ წიფიდან მკვეთრი აღმართებით და ზიგზაგებით აღიოდა სურამის ქედზე და ასევე — დაღმართებითა და ზიგზაგებით ეშვებოდა სადგურ სურამისაკენ.

მატარებლების მოძრაობა სურამის ქედის უღელტეხილზე იმდენად მნიშვნელოვან სიძნელეს წარმოადგენდა, რომ არა ერთხელ დაიხდა მისი გადაკეთების საკითხი, ხშირი იყო მატარებლების მარცხი, რასაც თან ახლდა ადამიანთა მსხვერპლიც. ხშირად წყდებოდა მატარებლების მოძრაობა, მგზავრების გადატყვანა და ბარგის გადატანა ამ დროს ურმებოთა და ცხენებით ხდებოდა.

გრიგოლ ორბელიანი ერთ თავის წერილში ლევან მელიქიშვილისადმი 1872 წელს წერდა: „...რკინის გზა მუშაობს კარგად, მაგრამ ძველად ნათქვამია: „კარგი ფონი ერთ ადგილს აღრჩობს“ ეს რკინის გზაც ვარება, მაგრამ სურამის მთაზე კი მხოცავს მგზავრებს, ახლა მთაზე გადადიან და გადააქვთ ბოვოშებით ეს ამდენი საქონლის ბარგი. ეს ძნელი დაბრკოლება გამოიწინა ვაჭრობასა“.

მატარებლის შემადგენლობაში შედიოდა 12-დან 14 ვაგონამდე, ფერლის სისტემის ორი ორთქლმავლით.

უღელტეხილის რკინიგზის გამატარუნარიანობა სრულიად არასაკმარისი აღმოჩნდა მას შემდეგ, რაც 1883 წლის 8 მაისს გაიხსნა თბილისი-ბაქოს რკინიგზა და ამავე წლის 21 მაისს — სამტრედიან-ბათუმის შტო.

რკინიგზაზე მეტად იმატა ნავთისა და ბურის ტვირთმა.

მთავრობამ ა/კ რკინიგზის საზოგადოების სამართველოს მოსთხოვა წარმოედგინა სურამის უღელტეხილის რკინიგზის გადაკეთების პროექტი. საზოგადოებამ ასეთი პროექტი მთავრობას წარუდგინა 1883 წლის აგვისტოში. პროექტის თანახმად

სურამის ქედში უნდა გაკვირილიყო გვირაბი, ხოლო მისასვლელი რკინიგზის სიგრძე გვირაბის ორივე მხრიდან შეადგენდა 24 კილომეტრს. მშენებლობის ღირებულება ხაანგარიშები იყო 10.575.000 მანეთის რაოდენობით. ამ თანხიდან გვირაბის გაყვანაზე უნდა დახარჯულიყო 7. 258.715 მანეთი. ეს პროექტი მთავრობის შიგერ დამტკიცებულ იქნა 1886 წლის 9 ივლისს. ამრიგად გადაწყდა სურამის ქედში გვირაბის გაკრა და თითქმის ახალი რკინიგზის გაყვანა სადგურ მოლითიდან სადგურ ხაშურამდე.

პროექტის დამტკიცებისთანავე დაიწყო გეოდეზიური და გეოლოგიური საკვლევამბიბო საპუმაოები. გამოკვლევებმა საჭირო გახდა პროექტის რამდენადმე შეცვლა.

ყველა წინასწარი სამუშაოს დამთავრების შემდეგ დაიწყო გვირაბის მთავარი ღერძის გათხრა ორივე მხრიდან ხელის იარაღებით.

1887 წლის 6 ივნისიდან დასავლეთის მხრიდან დაიწყო გვირაბის შურღვა ბრანდტის მანქანებით, ხოლო აღმოსავლეთიდან — 1888 წ. 15 იანვრიდან. ბურღვა მეტად წარმატებით მიმდინარეობდა; დასავლეთ მხარეზე დღე-ღამეში დაახლოებით 5 მეტრამდე მიზრდებოდა, ხოლო აღმოსავლეთ მხარეზე — 4 მეტრამდე. იყო შემთხვევა დღე-ღამეში 10 მეტრამდე გაბურღვისაც.

1888 წლის 12 ოქტომბერს, დილის 7 საათზე, ორივე მხარის მბურღავები შეხვდნენ ერთმანეთს. გვირაბის ღერძის გათხრა დამთავრდა. ამის შემდეგ დაიწყო მისი გაფართოება საპროექტო ზომამდე.

გვირაბის მშენებლობაზე მუშაობდა 2.000-დე მუშა. მუშაობა წარმოებდა დღე-ღამე.

დღე დაბოკოლებას ქმნიდა სპეციალისტი მუშების უყოლობა არა მარტო ამიერკავკასიაში, არამედ საერთოდ რუსეთშიც. ამიტომ ისინი ჩამოიყვანეს სხვადასხვა ქვეყნიბიდან: საბურღავი მანქანის მემანქანეები და მნაღმავები — გერმანიიდან და იტალიიდან. აქედანვე მოიყვანეს ბირველი პარტია კალატოშებისა, ზეინკლები, დურგლები, ქვისმთლელები და სხვა სპეციალისტები. მუშების ნაწილი ჩამოყვანილ იქნა რუსეთის შიდა გუბერნიებიდან, ხოლო ნაწილი — სპარსეთიდან, თურქეთიდან, საბერძნეთიდან და იტალიიდან.

მშენებლობას მეტად ართულებდა ნიადაგის წყლების მძლავრი დენა, სუსტი ქანების ჩამოწოლა და ცხელი გაზების გამოყოფა. სავენტილაციო მოწყობილობის დადგმის შემდეგ საწვი გაზების ააღება მნიშვნელოვნად შემცირდა.

\* „ზუგდიდის მუხებუის შრომები“, ტ. I, გვ. 315.

ნიადავის გამოსაზიდად და სამშენებლო მასალების მისაზიდად გვირაბში მოწყობილ იქნა სარელსო გზა, რომელზედაც მოძრაობა ხდებოდა ცხენებით, ხოლო გვირაბს გარეთ — პატარა ორთქლმავლებით.

საერთოდ ნიადავი, რომელშიც გაჭრილ იქნა გვირაბი, მეტად მნიშვნელოვან სიხელეს წარმოადგენდა გვირაბის გაყვანისათვის.

გვირაბის საჭირო ზომამდე გაფართოების შემდეგ (იგი გათვალისწინებული იყო ორი ლიანდაგისათვის) დაიწყო კედლების შემოკეთება ქვის კედლით.

სამშენებლო მასალა გვირაბისათვის მოტანილ იქნა სხვადასხვა ადგილებიდან: გრანიტი — გელათიდან და წიფის კარიერებიდან, ბაზალტი — ბორჯომის ხეობიდან, კირი — ბელაგორის (ხარაკოშულის), სურამისა და წიფის კარიერებიდან, ტრახიტი — გორის მახლობლად მდებარე კარიერიდან, სილა-მიწა — ძეგვის კარიერიდან, ცემენტი — ნოვოროსისისკის ქარხნიდან, ხე-ტყე — უმეტესად ბორჯომის ხეობიდან.

სურამის გვირაბის მშენებლობას ხელმძღვანელობდა ინჟინერი ფ. დ. რიდზევსკი, რომელიც შემდეგ, 1910 — 1913 წლებში, მოხაწილეობა იღებდა კავკასიონის მთავარი ქედის გვირაბისა და რკინიგზის დაბრუნებებში.

სურამის გვირაბი, რომლის მშენებლობა 4 წელიწადს გრძელდებოდა, გაიხსნა 1890 წლის 16 სექტემბერს (ახ. სტილით — 28 სექტემბერს).

ნაშუადღევს საგანგებო მატარებელი დაიძრა სადგ. წიფიდან გვირაბისაკენ. მატარებელი მიდიოდა ხელოვნურ ხეივანში, რომელიც გაკეთებული იყო სადგ. წიფიდან გვირაბამდე მალალ ბოძებზე გადაწეული ფოთლებით და ალმებით. უამრავი ხალხი, მოსული ახლო-მახლო ადგილებიდან, ალტაცებით ხედებოდა მატარებელს. მალე მატარებელი გვირაბში შევიდა. მთელი გვირაბი ილუმინირებული და მორთული იყო ურიცხვი ალმებით. მშენებელი მუშები, ადგილობრივ ნაციონალურ ტანსაცმელში გამოწყობილი, მწყრივებად იდგნენ გვირაბში ანთებული ჩირაღდნებით ხელში და ხმამაღალი შეძახილებით ეგებებოდნენ და აცილებდნენ მატარებელს.

საგანგებო მატარებელმა გვირაბი გაიარა 12 წუთში.

ამის შემდეგ მატარებლებმა ახალი ხაზით იწყეს მოძრაობა, ხოლო ის გზა, რომელიც სურამის ქედზე გადაიიდა, გაუქმებულ იქნა. ამ გზაზე მხოლოდ 18 წლის განმავლობაში მოძრაობდნენ მატარებლები და, რამდენადაც დიდი იყო მისი ტექნიკუ-

რი ექსპლუატაციის სიძნელეები, იმდენად დიდი იყო მოგზაურთა მიერ მიღებული წარუშლელი შთაბეჭდილებანი. ისინი იხიბლებოდნენ ბუნების ულამაზესი სურათების ხილვით და ალტაცებაში მოდიოდნენ.

აი, როგორ ავეიწერს ცნობილი ქართველი დრამატურგი ავქ. ცვაგარელი (1857 — 1902 წ.) ამ გზაზე მოგზაურობას 1879 წლის ზაფხულში:

„...სურამში ჩვენ მატარებელს წინ და უკან დაეხალა ორი ორთქლმავალი და სტვენა-ხენებით შეუდგნენ აღმართს. კორტონზედ ავდიოდით. ეს კი ჩვენთვის ახალი სანახავი იყო და ვაკონის ფანჯრებს მივაწყვიდით... რამდენიმე წუთის შემდეგ სურამის ისე დაცქეროდით, როგორც მთაწმიდის გორიდან რომ ვაღმხეოდ ტფილისს. რომ არ შეიძლება ამ დიდებული სანახაობის წარმოდგენას! ავდიოდით სულ ძაღლა და მაღლა ატვიხელ მწვანე ტყით შემოსილ მთაზედა და ძირს ვადაცქეროდით ტყითვე დაუვნილ ფერდობებს და სულ ძირს სურამულას ხეობას. სწორედ გულსატკეპნია, როგორ გაიმეტეს, რომ ეს გზა გააუქმეს და მეორე მხარეს ეს წვდვადი გვირაბი გაიყვანეს! არა მგონია, ამისთანა დიდებული სანახაობის მოტრფიალთე ევროპელები ჩაედინათ ესეთი საქმე. ავცოდით მთის წვერზე ორთქლმავალის ბეჭი ხუნება-კენესით და დავეშვით იმერეთისაკენ დაკლასულ გზით. უფრო უხუდიდებულიეს სურათი წარმოგვიდა თვალწინ... ნელნელა მივცოცავთ დაღმართზე; ორსავე მხრივ ამართულა თვალუწვდენელი კლდეები და ალაგ-ალაგ ტყით შემოსილი მთა-გორაკები...“

სურამის გვირაბის გაყვანამ დიდი ეკონომიური სარგებელი მისცა ამიერკავკასიის რკინიგზის ამ უბანზე ტვირთბრუნვის მნიშვნელოვნად გადიდების შედეგად. გვირაბის გაყვანით შესაძლებელი გახდა დღე-ღამეში ორივე მხრიდან გაემუშაო 30 წყვილი მატარებელზე მეტი, 20 დატვირთული ვაგონით, ფერლის სისტემის ერთი ორთქლმავლით.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ პირველად მთელს საბჭოთა კავშირში მოხდა ზესტაფონ-ხაშურის რკინიგზის ელექტროფიცირება. 1932 წლის 16 აგვისტოს სურამის გვირაბში თამამად გაიარა პირველმა ელექტრომავალმა და უშიშრად განაგრძო გზა რკინიგზის რთულ უბანზე.

ამის შემდეგ ელექტროწვეაზე გადავიდა საბარგო მატარებლები, ხოლო შემდეგ — სახალხოც.

დღეს საბჭოთა მძლავრი ელექტრომავლები ადვილად ძლევენ რკინიგზის ამ მეტად რთულ უბანს და უშიშრად დაატარებენ მიმეშ მატარებლებს.

\* ავქ. ცვაგარელი „მოგონებანი“ (კომედიები, 1936 წ., გვ. 369).



## საინტერესო მონაბოვარი

უნგრეთის ტერიტორიაზე, იქ, სადაც ღუნაი სწორი კუთხით უხვევს დასავლეთიდან სამხრეთისაკენ, მისი ნაპირების ვასწრები გადაშლილია დამრეცი ზონის ციხის გრძელი ქვეა. ორი წლის წინათ ერთ-ერთ ამ ზონის ციხის ფრანგულ ქვიშის მოპოვება დაიწყო. ზონის ციხის გათხრის მუშეები უცებ წააწყდნენ ძველი სამარხების ნაშთებს. ჩამოსულმა არქეოლოგებმა სამარხებში აღმოაჩინეს დამწვარი ადამიანების ჩონჩხები, ფერფლი, ქვის ცულები, თხები, ისრები, მძივები, სხვადასხვა ქურქულეულობა.

მაგრამ ერთ-ერთ სამარხში არ იყო არც ჩონჩხი და არც ფერფლი. მასში იპოვეს მხოლოდ დაბრქვევებული ხის ღანგარი (ხინი), ხოლო ღანგარის ქვეშ — თიხის პატარა ქიქი, ემშის კენჭი, ემშის პირები (ლევზია) და მინიატიურული ოთხთვლიანი ეტლი, რომლის ფსკერზე დახატული იყო ღერძი და ფიცრები.

გათხრის ხელმძღვანელის — უნგრელი არქეოლოგის შანდორ შობორნიის სიტყვით, ეს სათამაშო ეტლი ერთადერთი თავისებური მონაბოვარია ევროპაში. ის ამტკიცებს, რომ თვლიანი ეტლები ევროპაში ჯერ კიდევ ოთხი ათასი წლის წინათ არსებობდა.

მაგრამ როგორ მოხდა სამარხში ეტლის „მოღვივება“, ისიც ისეთ სამარხში, სადაც ადამიანი დაკრძალული არ იყო?

ბრინჯაოს საუკუნის ადამიანები ცუდად იცნობდნენ გარემომცველ სამყაროს. მათ სჭეროდათ ყოველგვარი საოცრებანი და ფიქრობდნენ, რომ ადამიანი სიკვდილის შემდეგ ხდება საიქიო სამყაროში, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი დასაფლავებული იქნება. ეტლს ან, ვთქვათ, ნავს სამარხში იმისათვის დებდნენ, რომ განსვენებულს შეძლებოდა ჩქარა და მარჯვედ მიედგინა მიწისათვის. ისიც ხდება, რომ ადამიანის დაკრძალვა შეუძლებელი იყო (დაიხრჩო, უგზო-უკვლოდ დაიკარგა), მაშინ მისი ნათესავები აწყობდნენ ეგვრთ წოდებულ

სიმბოლურ დაკრძალვას: გათხრიდნენ სამარხს, ჩალსებდნენ მასში მათი რწმენით საიქიოს ცხოვრებისათვის აუცილებელ მორთულობას, და შემდეგ სამარხს ამოვსებდნენ მიწით. ადამიანი დაკრძალ



ულულად ითვლებოდა და, მუშასადავებ, შეეძლო საიქიოს ცხოვრების იმედი ჰქონოდა.

როგორც ჩანს, შობორნიის მიერ აღმოჩენილი ეტლიანი სამარხი ბრინჯაოს საუკუნის ასეთივე სიმბოლური სამარხი იყო.

## კოსმოსური კატასტროფების სიგნალები

სენსაციის მოყვარული ბურჟუაზიული პრესა მრავალჯერ იტყობინებოდა ვინმე რადიომოყვარულთა შესახებ, რომელთაც გაიგონეს სიგნალები სხვა პლანეტებიდან. მაგრამ ჩვეულებრივ აღმოჩნდებოდა, რომ კოსმოსიდან რადიოსიგნალები მიიწვევდნენ ატმოსფერულ დაბრკოლებებს ან გაუგებარ გადმოცემებს უცხო ქვეყნებიდან.

მაგრამ აღწევს თუ არა ჩვენამდე რადიოსიგნალები საპლანეტაშორისო სივრცეიდან?

იკრევა, რომ აღწევს. მაგრამ მათ გზავნიან არა შეგნებული არსებანი, არამედ ცის მნათობანი. ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი „ცის რადიოსადგურია“ ჩვენი მზე. რადესაც მზეზე დიდი ლაქები გამოჩნდებოდა და მკაფიო აფეთქებანი ხდებოდა, — ეს „ცის რადიოსადგური“ ახშობს დედამიწის ყველა სადგურს. რადიოტალღებს გზავნის ირმის ნახ-

ტომიც — ჩვენი ვარსკვლავთა სისტემა, ყველაზე ძლიერია რადიოგამოსხივება ამ სისტემის პირთიდან, რომელიც „ნიმუფება მოისარის თანავარსკვლავედში.“

გარდა ამისა, ცაში ვაფანტულია რადიოგამოსხივების რიგი წყაროები. ორი იმთავით თავის სიმძლავრით მზის თანაბარია. ჩვენ რომ შევეჭმოდნენ რადიოტალღების თვალთ დანახვა, როგორც სინათლის სხივებისა, მაშინ ჩვენს ცაზე დავინახავდით სა მზეს. გარდა ჩვენისა კიდევია — გეგისა და კასიოპეის თანავარსკვლავედში და რიგ უფრო მცირე მზეებს.

რა განსაკვირებ არ არის ეს, რადიომზეები იმყოფება იქ, სადაც არ არის კავშირი ვარსკვლავები. მას როგორც ვარსკვლავები არაა, რადიოგამოსხივება კი მზის თანაბარია? გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ მზის სისტემასთან შედარებით მახლობლად იმყოფება ათას გრადუსზე დაბალი ტემპერატურის მქონე უნიკალური რადიოვარსკვლავები, რომლებიც თითქმის არ გამოყოფენ სინათლის სხივებს. ფიქრობდნენ აგრეთვე, რომ რადიოვარსკვლავი სამყაროში ძლიერ ბევრია — მეტრ, ვიდრე მათი ვარსკვლავები.

ცის რადიოგამოსხივებას შეისწავლის რადიოსტრანომია — ძლიერ ახალგაზრდა მეცნიერება, რომელიც მხოლოდ 10 წლის წინათ შეიქმნა.

განვლო მცირე დრომ და საქირი ხდება ამ საკითხზე გამოქვეყნებული მასალების დამატება.

რადიოგამოსხივების წყაროები ახსნილია, მაგრამ სენია არა ვარსკვლავები, როგორც მცირე ხნის წინათ ფიქრობდნენ, არამედ ნისლოვანიები. მაგალითად, რადიოგამოსხივება სურის თანავარსკვლავებიდან იმთხვევა ეგრეთ წოდებულ კიბორჩხალისებურ ნისლოვანიებთან. იგი იმყოფება იმ ადგილას, სადაც 1054 წელს ანთო ზეახალი ვარსკვლავი. ჩინელი უძველესწერლების ცნობით, ეს ვარსკვლავი დღისითაც კი ჩანდა.

ზეახალი ვარსკვლავის ანთება ყველაზე გრანდიოზული კატასტროფაა სამყაროში, რომელსაც ჩვენ შერვაძლია დავაკვირდეთ. ვარსკვლავი თითქმის ფეთქდება. ის ანთება ისე, როგორც ჩვენი სისტემის ყველა ვარსკვლავი ერთად აღებულნი. ვარსკვლავის გავარვარებული ატმოსფერო იფანტება ყველა მიმართუ-

ლებით. უახლესი ზეახალი კურსი თანავარსკვლავედის აფეთქებიდან 800 წელი გავიდა, ხოლო მის მიერ გამოყოფილი ვაჭრები აფეთქების ადგილიდან ახლაც იფანტება ათას კილომეტრზე მეტი სიჩქარით წაშლი. თვით ვარსკვლავი დიდი ხანია „ჩაქრა“, მაგრამ მისგან გამოყოფილმა ვაჭრებმა შესამჩნევად ნისლოვანედობა შექმნეს. ამჟამად მისი განივა მქვს სინათლის წლის ტოლია (მოვიგონოთ, რომ სინათლის წელი ესაა მანძილი, რომელსაც სინათლე წლის განმავლობაში გადის; მანძილი დედამიწიდან მზემდე მხოლოდ 8 სინათლის წუთს შეადგენს).

რადიომზე კასიოპეის თანავარსკვლავედში, როგორც ჩანს, ემთხვევა მშშ წლის ზეახალ თანავარსკვლავედს. იმავე თანავარსკვლავედში 1572 წელს აინთო კიდევ ერთი ზეახალი ვარსკვლავი, რომელიც აღნიშნული იყო ასტრონომ ტიხო დე ბრაჰეს მიერ. ამ ადგილზე ნისლოვანედობა ჯერ არ ჩანს, მაგრამ რადიოგამოსხივება იქედან მოდის.

ამგვარად, რადიოტელესკოპები ჩვენ გვაცნობენ დიდი კატასტროფების შესახებ, რაც მრავალი საუკუნის წინათ მოხდა.

სხვებისაგან განსხვავებით, რადიომზე

გედის თანავარსკვლავედში არა დაკავშირებული ახალ ვარსკვლავებთან. ის ემთხვევა შორეულ ვარსკვლავთა სისტემას. რატომ სახელდობრ ვარსკვლავთა ეს სისტემა გზავნის ასე მრავალ რადიოტელესკოპს, ზედრად მეტს, ვიდრე სხვა ჩვენთან მახლობელი ვარსკვლავთა სისტემები? მეცნიერები გამოთქვამენ სხვადასხვა მოსაზრებებს. შესაძლებელია ამ სისტემაში მიმდინარეობს ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი ფიზიკური მოვლენები, რომლებიც ძლიერ რადიოგამოსხივებას იწვევენ. შესაძლებელია, ჩვენ წინაშეა ორი შეჯახე-



ბული ვარსკვლავთა სისტემა, სადაც ერთ-მანეთზე მიყოლებით ფეთქდება ერთ-მანეთზე დაჯახებული ვარსკვლავები. შეიძლება, აღმოჩნდეს სხვა განმარტებებიც. სალაგაზრდა მეცნიერება—რადიოასტრო-

ნომია სწრაფად ვითარდება და ყოველდღე ახალი აღმოჩენები მოაქვს. ამ მეცნიერების უკანასკნელმა მიღწევებშია დიდი მიმდინარეობა სსრ კავშირის მეცნიერებთა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. ლ. გინზბურტის სტატია „რადიოასტრონომია“, მოთავსებული ჟურნალ „პირიოდას“ 1954 წლის № 5-ში.

### ძვირფასი აღმოჩენები ქვის სამეტყლოში

რამდენიმე წლის წინათ ქალაქ ობოლეს მახლობლად, დაბა ნოვაია პრაღეცსკაია ვესში, ცემენტის ქარხნის ქვის სამეტყლოში ძვირფასი პალეონტოლოგიური აღმოჩენები გააკეთეს.

მიოცენის გეოლოგიურ ფენებში აღმოჩენილ იქნა მრავალრიცხოვანი ნაშთები სხვადასხვა ცხოველებისა, რომლებიც დაახლოებით 15 მილიონი წლის წინათ ცხოვრობდნენ. ყველაზე საინტერესო მონაპოვარს წარმოადგენს ნაშთი მასტოდონტისა — ძუძუმწოვარ ცხოველ-გვიანტისა, რომელიც ხორთუმიანთა ჯგუფს ეკუთვნოდა.

მიოცენის დროს მასტოდონტები უმთავრესად ცხოვრობდნენ მესამეულ პერიოდში. მასტოდონტის ნაპოვნი ნაშთები შესაძლებლობას იძლევა გამოვარკვიოთ, რომ ეს ცხოველები 5 მეტრამდე სიმაღლის იყვნენ და 30 ტონას იწონიდნენ.

მასობრივი ყოველთვიური მეცნიერულ-პოპულარული

## ქურნალი მუხნოიკაბა გ ბაქია

საქართველოს სსრ მემცენიკაბათა აკადემიის ოკაგნო. მიიღება ხელისმოწერა 1956 წლისათვის

ხელისმოწერის პირობები:

1 თვით . . . . .	5 მან.
6 თვით . . . . .	30 მან.
1 წლით . . . . .	60 მან.

ხელისმოწერა მიიღება „სოიუზპრესის“ ყველა განყოფილებაში

# განუსი მკითხველთა შუკითხვებზე

ს. შუპრუმი (ბიატურის რ-ნი). ანბ. შ. ჩაჩანიძის

კრაქი ძველთაგანვე ცნობილი ვაზის ყველაზე მნიშვნელოვანი დაავადებაა; იგი რამდენიმე სახელოდებით არის ცნობილი: ოდი, ვაზის წრანება და მილდე (უკანასკნელი სახელოები ინგლისურია და ოხს ნიშნავს). კრაქი ვაზის ყველა ჯონს ააფედის და ფართოდ არის გავრცელებული იქ, სადაც კი ვაზის კულტურას მისდევენ. მისი სამშობლო ამერიკაა, სადაც პირველად აღმოჩენილი იქნა 1864 წელს. ამერიკიდან ევროპაში გავრცელდა ფილოქსერის საწინააღმდეგო ამერიკული ვაზის საძირკების გაძიობისასთან ერთად. საფრანგეთში იგი აღმოჩენილი იქნა 1878 წელს, აქედან კი მთელს ევროპას მიედო. რუსეთში კრაქი პირველად 1880—85 წლებში გაჩნდა და შავი ზღვის სანაპიროებზე. საქართველოში იგი აღმოჩენილი იქნა 1881 წელს.

კრაქით დაავადების გამოწვევი სოკოა — *Plasmopara viticola Ber. et D. Poni* რომლისაგანაც ვაზის ყველა მწვენი ნაწილი ავადდება; უმთავრესად კი — ფოთლები, თანაც ყვავილი, ტოტები (ჩქები) და დასრულებული მტკნეებიც კი. დაავადებისას ფოთლებზე ჩნდება მოყვითალო ლაქები, რომლებიც შემდგომში ქვედა მხარეს თეთრ ფიფქს იფარებენ. ფოთლებზე მოყვითალო ლაქები შემდეგ ყვეისფერი ხდება და ბოლოს მთლიანად ხმდება. ძლიერი დაავადების შემთხვევაში მთელი ფოთლები დაფარულია ლაქებით, რომლებიც შემდგომში ხმდება და სცივდა.

კრაქი უფრო საშიშია ყვავილების დროს, რადგან მთელი ყვავილი იფარება თეთრი ფიფქით, შემდგომი კი ყვავილები სცივდა და მხოლოდ მთავარი ყუნწი რჩება. ფოთლების დაზარალება ვაზის ნორმალური ზრდა-განვითარება ირღვევა, რაზეც ვერ შეიძლება. თუ ძლიერი დაავადება რამდენიმეჯერ განმეორდა, შესაძლებელია ვაზი გახმეს კიდევ. ყვავილებების და მტკნეების დაავადება მოსავლის შემცირებას იწვევს; გადარჩენილი მოსავალი უხარისხია — ყურბანი კარგად არ მიიფდება და ღვინოც დაბალი ხარისხის გამოდის.

კრაქის გამოწვევი სოკოს გამრავლება და გავრცელება ზაფხულის განმავლობაში ხდება. ფოთლების ქვედა მხარეს განვითარებული ფიფქი სოკოს ნაყოფიანობას წარმოადგენს, რომელიც დატოტვილ ე. წ. კონიდათქარებისა და ზედ განვითარებული მომრგვალო, უფერული, მრავალი კონიდიის პორებისა ანუ კონიდიებისგან შედგება. თუ კონიდიები გაჩენისთანავე მოხვდა წყლის წვეთში, მისი შთავასი ვალაქიყევა 4—8 ზოისპირად; ზოისპირები რამდენიმე ხანს მოძრაობენ წყალში, შემდეგ შეჩერდებიან და იძლევიან ზრდის მიღებს, რომლებიც შემდეგ ფოთლის ბაგეტიდან შეიჭრებიან ვაზის ქსოვილში და გამოიწვევენ დაავადებას (ინფექციას).

კონიდიებისაგან ზოისპირების განვითარებულად და დაავადების განმარტველად საჭიროა სიბოთი არა ნაკლებ 130 °C და სინესტრე. თუ ეს ორი ფაქტორი არ იქნა, ისე კონიდიებიდან ზოისპირების განვითარება არ მოხდება. კონიდიებიდან ზოისპირების განვითარება რამდენიმეჯერ ხდება ზაფხულის განმავლობაში და ამის შესაბამისად ვაზის დაავადებაც რამდენიმეჯერ ხდება.

გვიან შემოდგომაზე ჩამოცივნილ ფოთლებში (სოკოს სქილობრივი განვითარების შედეგად) ე. წ. ზოისპირები გენთარდება. ამ სახით სოკო იზარტება. ჩამოცივნილ ფოთლებში ლაქება, მისი ქსოვილი უშდება, ზოისპირები კი რჩებიან ნიადაგზე. ზოისპირები გაზაფხულზე წვიმის შეხედვისასებდენ ნიადაგზე, მონახდებიან ვაზის ფოთლებს და აავადებენ ვაზს.

ვაზაფხულზე კრაქის პირველი გაჩენა ზოისპირებით არის გამოწვეული. შემდეგი დაავადებები კი კონიდიები და აქედან განვითარებული ზოისპირებით ვრცელდება.

თუ ვაზაფხულზე დღეღამური საშუალო ტემპერატურა 130-ზე მეტია და ამისთანავე დამე წვიმაც მოვიდა, დაავადებას (ინფექციას) აუცილებლად ექნება ადგილი. კრაქის გაჩენა და მისი დაავადების სიძლიერე დამოკიდებულია მეტეოროლოგიურ პირობებზე. რამდენადაც ზაფხული ნესტიანია, იმდენად დაავადება ძლიერია და ხშირი იქნება. კრაქის გავრცელების ხელშეწყობი პირობებია აგრეთვე ვაზთა შორის მცირე მანძილი, ვაზებში სხვა კულტურების თესვა (სიმინდი, კიტრი და სხვ), გაფრჩქენისა და ახვევის დავიანება, ნიადაგის დაუმუშავებლობა, ხშირი რწყევა და სხვ.

კრაქის წინააღმდეგ საბრძოლველად ბორდოს სითხის ხმარობენ, რომლის შესხურება ორი მეთოდით წარმოებს:

1. კალენდარული მეთოდი, როდესაც კლიმატური მონაცემების მიხედვით სოკოს საინფექციო პერიოდთან დაკავშირებით (სოკოს ვაზის ქსოვილში გავრცელების მომენტთან) ვაზის გაჩენისა და მისი დაავადების ხელშეწყობი პირობების გავრცელების ადგილებზე, კალენდარული მეთოდით წამლობა მოითხოვს მეტეოროლოგიური მონაცემების ყოველდღიურ ზუსტ აღრიცხვას, რისთვისაც საჭიროა სპეციალური ხელნაწყოები, სამაგვიროდ წამლობის დღეების დადგენა ზუსტად და ხდება და წამლობათა რაოდენობა ხშირად შემცირებულია, რაც იწვევს საგრძნობ ეკონომიას. მაგრამ წამლობის ამ მეთოდმა ჩვენში ჯერ კიდევ ფეხი ვერ მოიკადა.

2. უფრო მეტი პოპულარობით სარგებლობს წამლობა ვაზის ფენოლოგიური ფაზების მიხედვით. ამ დროს პირველი წამლობა წარმოებს მაშინ, როდესაც ვაზის ფოთლოი თავის ნორმალურ სიდიდის 1/3-ს მიიღვეს, ან როდესაც ყლორტა დაახლოებით ერთი მესამედის სიგრძისაა. მეორე წამლობა წარმოებს ყვავილობამდე (დაუმუშავლია წამლობის ჩატარება ყვავილობაში, რადგან ბორდოს სითხე ძლიერ აზიანებს ყვავილებს და მოსავალი საგრძნობლად კლებულობს). მესამე წამლობა ყვავილობის შემდეგ; მეთოდი — მესამე წამლობიდან ორი კვირის შემდეგ. ნესტიან-წვიმიანი ზაფხულის შემთხვევაში მიმართვენ მეხუთე და ზოგჯერ მეექვსე წამლობასაც, რომელიც ტარდება წინა წამლობიდან ორი-სამი კვირის შემდეგ.

საქართველოს სხვადასხვა კუთხეებისათვის წამლობათა რაოდენობა სხვადასხვაა:

1. კახეთში, მარნეულის და ქარაღლი 4-5-ჯერ
2. რაჭა-ლეჩხუმში — 4-5-ჯერ
3. იმერეთში — 5-6-ჯერ
4. უბრეგოში, სამეგრელოში, აფხაზეთში და აჭარაში — 5-7-ჯერ. წამლობის დროს უნდა ვეცადოთ, რომ ბორდოს სითხე შესუსტებულ იქნეს განსაკუთრებით ფოთლების ქვედა მხარეს და მტკნეებზე.

არის შემთხვევები, როდესაც მეურნე წამლობას ჩაატარებს 4-5-ჯერ და ზოგჯერ მეტჯერაც, მაგრამ ეწინაშე კრაქი მთელი ძლიერი არის მოღვეული. ეს გარემოება გამოწვეულია წამლობის ვადების დაუცველობით, ან ბორდოს სითხის ცუდად დამზადებით.

ვაზის კრაქის წინააღმდეგ საბრძოლველად ბორდოს სითხის 1%-იან ხსნარს ხმარობენ. ბორდოს სითხეს ხშირად „შაბიამის“ ან „ვენახის წამალს“ უწოდებენ.

ბორდოს სითხის 1%-იანი ხსნარის შემადგენლობა შემდეგნაირად:

1. სიღრმის შაბამანი — 1 კვ.
2. ჩაქურბული კირი — 0,75 კვ.
3. წყალი — — — 100 ლიტრი.

**დამადების წეხი.** შაბამის საჭირო რაოდენობა იხსნება წყალში, ხის ან თიხის კურბულში ჩაიყიდება პარკით. ცალკე კურბულში წყალში იხსნება კირი და კარგად აირევა. ასეთი კარწყალი საცერში ვატარებთ თანდათანობით დესტუმბვა შაბამის ხსნარს და გზობთ მოირევა. შაბამის ხსნარი თანდათან მიღრევა და საბოლოოდ ზაცი ციფერი გახდება. შაბამის ხსნარის მევა რეცქეია თანდათან ვაღვაჯერ ნიტრალურში და შემდეგ სუსტ ტუტე რეცქეიალ. შემოწმება შეიძლება ლამესის ქაღალდით. წითელი ლამესის ქაღალდი იღებება ღია ლურჯ ფერად.

დამადებული ბორდოს სითხე იმ დღეებ უნდა იქნეს შესხურებული. ერთ დღეზე მეტ ხანს დაკევივის შემთხვევაში — იგი კარგავს თავის თვისებებს (ამორფული ნალექი კრისტალური ხდება, რითაც იცვლება ბორდოს სითხის კონცენტრაცია) და შესხურება დაუშვებელია.

**ი. ნახსკრივილი**


**ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

**ს. შარძია. ბ. გიორგაძის**

**თქვენ კითხულობთ: რატომ არის პოლარული დღეები და პოლარული ღამეები და რა მიზეზით იხსნება.**

ამის გასაგებლად საჭიროა გავიხსენოთ, რომ დედამიწა მისი ღერძის გარშემო მოძრაობასთან ერთად მოძრაობს მზის ირგვლივაც. დედამიწის ბრუნვა ღერძის გარშემო იწვევს დღე და ღამის წარმოშობას, ხოლო მზის ირგვლივ მოძრაობა — წელიწადის დროთა ცვლას. გზა, რომელზედაც დედამიწა მოძრაობს მზის ირგვლივ, წარმოადგენს შეკრულ მრუდს, რომელსაც ელიფსისებური ფორმა აქვს. მას დედამიწის ორბიტი ეწოდება.




წარმოვიდგინოთ დედამიწის ღერძის პერპენდიკულარული მდებარეობა დედამიწის ორბიტის სიბრტყისადმი, მაშინ მზის სხივები ვერტიკალურად მხოლოდ ეკვატორზე დაეცივება და დღე და ღამე დედამიწაზე ყველაგან და ყოველთვის თორმეტთორმეტი საათი იქნებოდა. ასეთ პირობებში არავითარ პოლარულ დღეებშია და პოლარულ ღამეებს არ მივიღებდით. ამასთან ერთად ეკვატორიდან ჩრდილოეთით და სამხრეთით თანაბრად დაცილებული ადგილები თანაბრად გათბებოდა და წელიწადის დროთა ცვლასაც არ ექნებოდა ადგილი.



**ნახ. 1.** დედამიწის ოთხი ძირითადი მდგომარეობა მზის გარშემო მოძრაობისას

სინამდვილეში დედამიწის ბრუნვის ღერძი დახრილია დედამიწის ორბიტის სიბრტყისადმი 66° 30'-ით და ამ მდგომარეობას ყოველთვის ინარჩუნებს მზის ირგვლივ მოძრაობისას (იხ. ნახ. 1). სწორედ ესაა ძირითადი მიზეზი პოლარულ დღეებისა და პოლარულ ღამეების არსებობისა. მოცემულ მოვლენათა თვალსაჩინოდ წარმოდგენისთვის განვიხილოთ ნახ. 1 და 2.

21 მარტს მზე ზენიტში ეკვატორზეა და ამიტომ სხივები შეველიად ეცემა ეკვატორს და ამის გამო გაშუქებას პირობები ირივე (ჩრდილო და სამხრეთ) ნახევარსფეროში ერთნაირია. დღე და ღამე თანაბალია და 12-12 საათით განისაზღვრება. დედამიწის ბნელი და განათებული ნაწილებს გამოყოფი სიბრტყე გადის პოლუსებზე (იხ. ნახ. 2-გ.). 21 მარტიდან მზის ზენიტური მდგომარეობა თანდათან ინაცვლებს ეკვატორის ჩრდილოეთით და 22 ივნისს ზენიტშია ჩრდილო ტროპიკზე, ამის გამო მაქსიმალური გაშუქებულია ჩრდილო ნახევარსფერო, მთლიანად გაშუქებულია ჩრდილო პოლუსი და მთელი ჩრდილო პოლარული წრის სეგმენტი. ამავე დღეს სრულიად საწინააღმდეგე პირობებშია სამხრეთი ნახევარსფერო, ე. ი. მინიმალურადაა გაშუქებული სამხრეთი ნახევარსფერო.



**ნახ. 2.** დედამიწის მდებარეობა მზის სხივებისადმი 22 ივნისს (ა), 22 დეკემბერს (ბ), 21 მარტსა და 23 სექტემბერს (გ)

მთლად სიბნელეში იმყოფება სამხრეთი პოლუსი და სამხრეთი პოლარული წრის სეგმენტი. ამგვარად, ჩრდილო ნახევარსფეროში გვაქვს პოლარული დღეები, ხოლო სამხრეთ ნახევარსფეროში — კი პოლარული ღამეები (იხ. ნახ. 2. ა).

22 ივნისიდან 23 სექტემბრამდე მზის ზენიტური მდგომარეობა ჩრდილო ტროპიკიდან თანდათანობით სამხრეთით ინაცვლებს და 23 სექტემბერს აღწევს რა ზენიტში, ეკვატორზე მეორდება 21 მარტის ანალოგიური სურათით (იხ. ნახ. 2. გ.). 23 სექტემბრიდან მზის ზენიტური მდგომარეობა სამხრეთ ტროპიკიკამდე იხრება და 22 დეკემბერს გვაქვს 22 ივნისის საწინააღმდეგე მდგომარეობა. ამ დღეს მზის სხივები შეველიად ეცემიან სამხრეთ ტროპიკს. მაქსიმალურად განათებულია სამხრეთი ნახევარსფერო, სამხრეთი პოლუსი და სამხრეთი პოლარული წრის სეგმენტი, ამიტომ ჩვენს სამხრეთ ნახევარსფეროში გვაქვს პოლარული დღეები, ხოლო ჩრდილო ნახევარსფეროში პოლარული ღამეები (იხ. ნახ. 1 და 2-ბ). 22 დეკემბრიდან მზის ზენიტური მდგომარეობა კვლავ ეკვატორისკენ იხრება და 21 მარტს ეკვატორს თანხვდება.

ამგვარად, 21 მარტიდან 23 სექტემბრამდე ჩრდილო ნახევარსფეროში 6-თიანი პოლარული დღეები გვაქვს, ხოლო სამხრეთ ნახევარსფეროში კი — 6-თიანი პოლარული ღამეები. 23 სექტემბრიდან 21 მარტამდე კი ზემოაღნიშნულ საწინააღმდეგე მოვლენისთან გვაქვს სიქე.



გ ა რ ე კ ა ნ ზ ე: ივანე ვლადიმერის-ძე ნინურისის პორტრეტი

№ 10 ოქტომბერი 1955

**ნ. კეცხოველი**  
ბუნების დიდი გარდამქმნელი . . . . . 1

**გ. სვანიძე**  
სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ინდუსტრიალიზაცია:  
1. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა . . . . . 6

ატომური ენერჯია მშვიდობიანი მიზნებისათვის . . . . . 11

**თ. სააკაშვილი**  
გამოჩენილი მეცნიერი—გრიგოლ მიხეილის-ძე მუხაძე . . . . . 15

**კ. გოგიშვილი**  
მეცნიერების თანამედროვე შენედელებანი ამინდზე და მის წი-  
ნასწარმეტყველებაზე . . . . . 19

**ვ. მაჭარაძე**  
რუსეთის არტილერიის ნოვატორი სიმონ ჩოლოყაშვილი . . . . . 24

**დ. ფურცელაძე**  
**ი. ასლანიშვილი** . . . . . 27

**დ. ჯომარჯიძე**  
ქვანახშირის სქელი ფენის დამუშავება . . . . . 30

**გ. ჩანგაშვილი**  
**ხ. აბოვიანი** და **დიდი არარატის დაბერობა** . . . . . 35

**კ. ცხადაძე**  
მდ. ივრის და „თბილისის ზღვის“ წყლების მინერალიზაციის  
დინამიკა 1953-54 წწ. . . . . 37

**ი. შექმარიაშვილი**  
დაშტეხანი და ჩათახი წინათ და ახლა . . . . . 39

**ი. კაბანაძე**  
სურამის გვირაბი . . . . . 43

თავისუფალ ღროს . . . . . 45

ბასუხი მეთხველთა შეიხებზე . . . . . 47

ჩანართის მე-2—მე-3 გვ.ზე: თ. პისარ-  
იევისკის—კრისტალთა სამყაროში

სარედაქციო კოლეგია: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი რ. დვალის (რედაქტორი), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი გ. კუპრაძე, პროფესორი ვ. კაბაბაძე, დოცენტი მ. მიტინაშვილი, ინჟინერი ბ. ზურაბანიძე, ინჟინერი უ. ჯაბაძე, მ. ფულაძე (რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი).  
კ. ძარბაშვილი (მხატვრული რედაქტორი)

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლეხელის ქ. № 22. ტელეფ. № 3—46—49

Ежемесячный научно-популярный журнал «Мецниერба და техника»  
(на грузинском языке)

ქალაქის ზომა 60×92,3 სან. ფ., 1 ფურცელზე 73 000 სასტამბო ნიშანი.  
ხელმოწერილია დასაბედად 15. 11. 55 წ. უფ. 07636, შეჯ. №1401, ტირაჟი 7000  
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სტამბა, თბილისი, ავ. წერეთლის ქ. №3/  
Типография Академии Наук Грузинской ССР, Тбилиси,  
ул. А. Церетели № 3/5

ՅՆՆ 5 ՅՆԵ.

Երկրորդ 3-38/35

